ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

1 ივლისიდან!
„ახალი თაობა“ + საოჯახო სამზარეულო ტომი 5
2 ლარი და 30 თეთრი




ორშაბათი, 1 ივლისი, 2013 №153 (6154) ფასი: 30 თეთრი

# მასობრივი ცემა-ტყეპა ნინოწმინდაში

გვ.3

## რატომ დააკავეს ვაჰაგან ჩახალიანის ძმა



გვ.4

## გელა ნიკოლაიშვილი: „ხელისუფლება სიტუაციაზე კონტროლს კარგავს“

გვ.3





ქუთაისში გამართულ პრაიმერიში დავით ბაქრაძე გაიმარჯვა გვ.3

## ვინ იქნება ნაციონალების საპრეზიდენტო კანდიდატი — ბაქრაძე, ბარამიძე, ჯაფარიძე თუ მალაშხია?

## თბილისის მერიის მაღალჩინოსნებს პატიმრობა შეეფარდათ

გვ.2

გვ.2



ილია II: „საქართველო აუცილებლად გავა სამშვიდობო გზაზე და იქნება ბედნიერი“



## მიხეილ ნანეიშვილი: „ნაციონალები შანტაჟზე გადავიდნენ“

გვ.2

დავით უსუფაშვილი: „მართლმადიდებლობა ჩვენი ნაციონალური იდენტობა და ღირებულებაა“ გვ.2





გვ.5

## მამუკა გიორგაძე: „პოლიტიკურად გაკოტრებული ნაცმოძრაობის ოპოზიციაში ყოფნა „ქართული ოცნების“ ინტერესშია“



გვ.3

კახელი გლეხები აქციების რევოლუციით იმუქრებიან

ISSN 1987-9385

**2** დღეიდან მშობიარობა უფასო იქნება

**6** ვინ დააბრუნებს ემიგრანტებს სამშობლოში

**11** ევროპარლამენტი აშშ-ის სადაზვერვო სამსახურის საქმიანობით უკმაყოფილებას გამოთქვამს

**7** მარიამ ხუცურაული: „თეო ქუმსიაშვილი უნიკალური მოვლენა იყო“

# მიხეილ ნანეიშვილი: „ნაციონალები შანტაჟზე გადავიდნენ“

ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ ყოფილ დეპუტატთან, პროფესორ მიხეილ ნანეიშვილთან

*— ბატონო მიხეილ, როგორ შეაფასებთ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს?*

— დღეს მთელ მსოფლიოში საშინელი სიღატაკეა პოლიტიკური აზრისა და ამ აზრის გამტარებელი პიროვნებების. იმ მდგომარეობის გათვალისწინებით, რაშიც ვიყავით, შეიძლება, ვიღაცამ თქვას, რომ ივანიშვილი ღმერთმა გამოგვიგზავნა. მდგომარეობიდან, რომელშიც ჩვენივე უთავბოლობით, უპასუხისმგებლობით აღმოვჩნდით, რთული აღმოჩნდა გამოსვლა. ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა. ამ მძიმე ჟამს გამოჩნდა პიროვნება, რომელმაც სწორედ დიდი პასუხისმგებლობა იტვირთა. ახალ ხელისუფლებაში, რასაკვირველია, კადრების სიმწირე იგრძნობა. ბუნებრივია, ივანიშვილი მამაზეციერად ვერ გადაიქცევა, ადამიანია და ცდება, თუმცა, არ სცოდავს. არ შემიძლია არ ვთქვა ყბადაღებულ კოჰაბიტაციაზე.

*— არ მოგწონთ თანაცხოვრების პროცესი?*

— შეუძლებელია. ეს სიტყვა შემოაგდეს და დღეს ყველა გაიძახის. ცოტა მეტი ხომ უნდა ვიაზროვნოთ?! არასამთავრობო სექტორმა, როდესაც სააკაშვილის „ვარდების ხელისუფლება“ მოვიდა ქვეყნის სათავეში, დასვა კითხვა — კოჰაბიტაციაზე დასავლეთმა ხმა ამოიღო მაშინ, როდესაც ყველას იჭერდნენ? 2003 წელს ყოველდღე ტელევიზიით აჩვენებდნენ ნიღბიანებს, როგორ ჰყავდათ ხელბორკილებდადებული მინისტრები და როგორ ტენიდნენ მანქანებში, ადამიანებს როგორ უცვივდებოდნენ სახლებში, როგორ მიარბენინებდნენ, ამაზე რატომ არ იღებდნენ ხმას? მაინტერესებს, ამ კითხვაზე გამცეს ვინმემ პასუხი. არადა, მაშინ პრეზიდენტი იყო შევარდნაძე, რომელზეც სწორედ დასავლეთი ამბობდა, რომ არა შევარდნაძე, ცივი ომის საკითხი ასე ვერ გადაწყდებოდაო. ვინმემ ხომ უნდა დასვას კითხვა — მაშინ სად იყავით?

*— თქვენ ამბობთ, რომ ორმაგი სტანდარტია?*

— ასე გამოდის, მაგრამ ამაზე კითხვას არავინ სვამს. მთელი ამ ხნის განმავლობაში უმეცართა დიდი გუნდი იყო ხელისუფლებაში, პრეზიდენტის მეთაურობით. დიდი უმეცრებაა, აბა, რა არის, როდესაც პრეზიდენტი ამბობს, თურქეთში



სამი საუკუნეა „სულიკოს“ მღერიანო. „სულიკო“ აკაკი წერეთელმა მე-19 საუკუნის მიწურულს, 1895 წელს დაწერა და მუსიკა მე-20 საუკუნეში დაიწერა.

*— კოჰაბიტაციაზე მოწოდება რამდენიმე დღის წინ ნატოს გენერალურმა მდივანმა რასმუსენმაც გააკეთა...*

— ჩვენ რომ მოგვიწოდებენ, თვითონ სააკაშვილს მოუწოდებენ? რა კოჰაბიტაციას ეწევა პრეზიდენტი ამით, დაინტერესდა ვინმე? რატომ არ ინტერესდება ვინმე, რომ ყველა კანონს, რასაც პარლამენტი იღებს, სააკაშვილი ვეტოს ადებს, მაგრამ გაგიჟებულია, რომ რამდენიმე თვეში პრეზიდენტი აღარ იქნება. პრეზიდენტის ირგვლივ არიან ადამიანები, რომლებიც თვალსაჩინოდ გვატყუებენ. გამოდიან და უკვირთ — ასე გაუგებრად როგორ აპატიმრებენო. თვითონ როგორ აპატიმრებდნენ. ეს ძალიან კარგად ახსოვთ ადამიანებს. ჩვენ ხომ ვიცით არაერთი გახმაურებული საქმე, მკვლელობები, რომლებიც მაშინ მოხდა და რომელსაც მხოლოდ დღეს იძიებენ. როგორ, ვინმე ფიქრობს, რომ დღეს სააკაშვილი და მისი გუნდი კოჰაბიტაციის ხასიათზეა? არა მგონია, ასე იყოს.

*— რის ხასიათზე არიან, როგორ ფიქრობთ?*

— შანტაჟის.

*— პარლამენტის სხდომებისთვის ბოიკოტი შანტაჟია?*

— რასაკვირველია, შანტაჟია. ყოფილი ხელისუფლება რასაც აკეთებს, ყველაფერი მიმართულია იმისკენ, რომ როგორმე ახალ ხელისუფლებას საქმე გაუფუჭოს.

*— პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შეიძლება მეორე დღესვე გადავდგეო. მართალია, მერე განმარტა, რას გულისხმობდა, მაგრამ თქვენ რას იტყვით?*

— როგორ შეიძლება, ეს წარმოუდგენელია. თუ ხელისუფლებაში ყოფნა არ უნდა, წავა, რასაკვირველია, მაგრამ ბატონ ივანიშვილს უნდა ვუთხრა, რომ საქართველოს ამ მდგომარეობაში დატოვება შეუძლებელია. ეს დიდი უპასუხისმგებლობა იქნება. მართალია, ეს განცხადება გააკეთა ივანიშვილმა, მაგრამ არავინ ფიქრობს, რაზეა საუბარი, ოღონდ ყვირილი და ქოთქოთი ატყდეს ქვეყანაში.

*— რას ელოდებით ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, შეძლებს ივანიშვილი და მისი გუნდი დემოკრატიული პროცესების წარმართვას, ნაბიჯების გადადგმას?*

— სააკაშვილის მომხრეები სააკაშვილს დავით აღმაშენებელს ადარებდნენ, მე ივანიშვილს არავის ვადარებ. მე ვამბობ, რომ პოლიტიკოსისთვის საჭირო ყველა თვისება აქვს ივანიშვილს.

*— არადა, პირიქით ამბობენ.*

— ყოველ შემთხვევაში, ჩანს, რომ ის პოლიტიკოსია, სწორად აზროვნებს. შეძლებს თუ არა? — ეს ადამიანი ყველაფერს აკეთებს, რომ შეძლოს, მაგრამ ყველას მაგივრად ვერ იმუშავებს. „ქართული ოცნების“ შემადგენლობა ძალიან ჭრელია, არათანაბარი ღირსებით. თუმცა ყველაფერი ქართველ საზოგადოებაზეა დამოკიდებული. ყველა, სათითაოდ, თითოეულმა ჩვენგანმა საქართველო უნდა გამოვიყვანოთ ამ მდგომარეობიდან. ჩვენ დავსხდეთ და დაველოდოთ, როდის გამოგვიყვანს ამ ჩიხიდან ივანიშვილი, ასე არ გამოვა. ეს მონების, პარაზიტების ფსიქოლოგია უფროა, ვიდრე მოაზროვნის. როდესაც ქვეყანას ასეთი ლიდერი ჰყავს, როგორიც ივანიშვილია, თანამშრომლობით, მხოლოდ საქართველოზე ფიქრით და არა თანამდებობაზე დანიშვნის ოცნებით შეგვიძლია, ქვეყანა მძიმე მდგომარეობიდან გამოვიყვანოთ. მხოლოდ ერთი ადამიანი ვერ გვიშველის, თუ ჩვენც, როგორც საზოგადოებამ, ვერ ვივარგეთ. თითოეულმა ადამიანმა უნდა გააცნობიეროს საკუთარი ვალდებულება და პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე. მაშინ ყველაფერი გამოგვივა.

# ილია II: „საქართველო აუცილებლად გავა სამშვიდობო გზაზე და იქნება ბედნიერი“



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის განცხადებით, საქართველო აუცილებლად გავა სამშვიდობო გზაზე და იქნება ბედნიერი.

ამის შესახებ უწმინდესმა სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო წირვის დასრულების შემდეგ ბრძანა.

# ილია II-მ მრევლს გუშინდელი დღესასწაული მიულოცა

„ყველას გილოცავთ ყოველთა წმინდათა ხსენების დღეს. ეს არის ყოველი ჩვენგანის ანგელოზის დღე. ღმერთის წყალობით, საქართველო აუცილებლად გავა სამშვიდობო გზაზე და იქნება ბედნიერი“, — ბრძანა პატრიარქმა.

გუშინვე ილია მეორემ 9 გვარის წარმომადგენლები და საქართველოს 19-წლამდელთა საფეხბურთო ნაკრები დალოცა.

პირველი

# დღეს პეტრეპავლობის მარხვა იწყება

დღეიდან პეტრეპავლობის მარხვა იწყება. დიდ მარხვასთან შედარებით, ეს მარხვა მსუბუქია და თევზით ხსნილია, ოთხშაბათისა და პარასკევის გარდა.

პეტრეპავლობის მარხვის ხანგრძლივობა ცვალებადია. წლევანდელი მარხვა 12 დღიანია.

როგორც სამების საკათედრო ტაძარში მამა თეოდორე გოგოლაძემ ბრძანა, პეტრეპავლობის მარხვის ხანგრძლივობა აღდგომის დღესასწაულთან არის დამოკიდებული „ეს მარხვა არ არის ისეთი მძიმე, როგორიც შობის, ან აღდგომის მარხვა. ამ მარხვაში დაშვებული არის თევზი, ოთხშაბათისა და პარასკევის გარდა“,-აღნიშნა მამა თეოდორე გოგოლაძემ.

პეტრეპავლობის მარხვა 13 ივლისს დასრულდება.

მედიანიუსი

# თბილისის მერიის მაღალჩინოსნებს პატიმრობა შეეფარდათ

თბილისის მერიის მაღალჩინოსნებს რუსთავის რაიონულმა სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. მოსამართლებით გადაწყვეტილებით, მათ წინასწარი პატიმრობა 2 თვის ვადით შეეფარდათ.

მერიის მაღალჩინოსნების მომდევნო სასამართლო პროცესი 23 აგვისტოსაა ჩანიშნული.

შეგახსენებთ, რომ თბილისის მერიის კუთვნილი თანხების მითვისება — გაფლანგვის ფაქტზე საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა თბილისის მერის მოადგილე დავით ალავიძე, თბილისის განვითარების ფონდის თავმჯდომარე დავით ავალიანი, თბილისის მერიის შესყიდვების სამსახურის უფროსი ალექსი თაბუაშვილი და მთაწმინდა — კრწანისის გამგებლის მოადგილე დიმიტრი ჩხეიძე დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, მათ სხვა პირებთან ერთად, მიითვისეს და გაფლანგეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხა 48 930 822 ლარი.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით თავისუფლების 7-დან 11 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

პირველი

# დავით უსუფაშვილი: „მართლმადიდებლობა ჩვენი ნაციონალური იდენტობა და ღირებულებაა“



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ათენს ეწვია, სადაც მართმადიდებლობის საპარლამენტაშორსიო ასამბლეის მე-20 საიუბილეო სხდომას დაესწრო.

პარლამენტის თავმჯდომარე მისასალმებელი სიტყვით წარსდგა 25 ქვეყნის პარლამენტის წევრის და მოწვეული სტუმრის წინაშე. მისასალმებელ სიტყვაში მან ხაზი გაუსვა მართმადიდებლობის საპარლამენტაშორსიო ასამბლეიის მუშაობისა და საიუბილეო დეკლარაციის მნიშვნელობას.

„მართმადიდებლობა არის ჩვენი ნაციონალური იდენტობა და ღირებულება. მთავარია გადაწყვეტილების მიღების პროცესში ღირებულებების მიხედვით ვიხელმძღვანელოთ, ეს ჩევნ მშვიდობისა და განვითარებისათვის გვესაჭიროება,“ — აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია მეორის მისალმება და მომავალში აღნიშნული ორგანიზაციის შეხვედრის საქართველოში გამართვის სურვილი გადასცა.

სხდომის დასასრულს მართმადიდებლობის საპარლამენტაშორისო ასამბლეის წევრმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს საიუბილეო დეკლარაციას.

საქართველოს მხრიდან მართმადიდებლობის საპარლამენტაშორსიო ასამბლეას პარლამენტის წევრები ზაქარია ქუცნაშვილი და დიმიტრი ხუნდაძე ესწრებოდნენ, მოწვეული სტუმრის რანგში ასაბლეას პროტოპრესვიტერი, მამა გიორგი ზვიადაძე ესწრებოდა.

მედიანიუსი

# ვიქტორ დოლიძე ეუთოს გენერალურ მდივანს შეხვდა



საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე ეუთოს გენერალურ მდივანს, ლამბერტო ზანიერს შეხვდა. ოფიციალური ინფორმაციით, მხარეებმა განიხილეს საქართველოში არსებული მდგომარეობა და მართლმსაჯულების აღდგენის აუცილებლობაზე ისაუბრეს.

ვიქტორ დოლიძემ აღნიშნა, რომ წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით ახალი ხელისუფლება მზად არის ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებს ეუთოს მონიტორინგის მისია აკვირდებოდეს და აქვე აღნიშნა თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეუთოს სადამკვირვებლო მისიების გამოგზავნის აუცილებლობა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ბატონი ზანიერი მიესალმა რომ შეხვედრას ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენელი ერთად ესწრებოდნენ.

მედიანიუსი

# დღეიდან მშობიარობა უფასო იქნება

დღეიდან, 1 ივლისიდან, საყოველთაო დაზღვევით მოსარგებლეთა და იმ პირთათვის, ვისაც სადაზღვევო პაკეტი არ აქვს, მშობიარობა უფასო იქნება.

„მშობიარობის დაფინანსება პირველი ივლისიდან უფასო იქნება იმ კონტინგენტისთვის, რომელიც დაზღვეული არ არის და არც 28 თებერვლამდე ჰქონდა დაზღვევა“, — აღნიშნა ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ.

მისი თქმით, მშობიარობის ფასთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტრო ყველა სახელმწიფო სამშობიარო დაწესებულებას დაუკავშირდა და ფასიც მათთან შეთანხმებით დადგინდა.

„რაც შეეხება ფასწარმოქმნის მოდელს, ჩვენ დავუკავშირდით, პრაქტიკულად, ყველა სახელმწიფო სამშობიარო დაწესებულებას და შევთავაზეთ მოეწოდებინათ ფასები როგორც ფიზიოლოგიურ მშობიარობაზე, ისე გართულებასა და საკეისრო კვეთაზე. ფასებს შორის განსხვავება არის, თუმცა მათთან შეთანხმება მოხდა და საშუალო ფასი დადგინდა. ზოგ სამშობიაროში ფასები უფრო მაღალია, ზოგში უფრო დაბალი. პირობითად, მშობიარობის ღირებულება ზოგ სამშობიაროში 1 500, ზოგში 600 ლარი იყო. ჩვენ ეს სტატისტიკა ავიღეთ და ქვედა ზღვარი, ანუ რეალური თანხა დავადგინეთ“, — აღნიშნა დავით სერგეენკომ.

თუ ვინმეს უფრო მაღალტექნოლოგიურ კლინიკაში მშობიარობის სურვილი ექნება, უფასო მშობიარობის პროგრამით სარგებლობა შეეძლება, მაგრამ ფასზე განსხვავებას თავად გადაიხდიან.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მასობრივი ცემა-ტყეპა ნინოწმინდაში

## რატომ დააკავეს ვაჰაგან ჩახალიანის ძმა

შორენა მარსაგიშვილი



**პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული ვაჰაგან ჩახალიანი კვლავ ყურადღების ცენტრშია. შაბათს ნინოწმინდაში მომხდარი ინციდენტის დროს რამდენიმე ათეული ახალგაზრდა დააკავეს. ერთ-ერთი დაკავებული ჩახალიანის ძმაა.**

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ამბავს დიდი ალიაქოთი მოჰყვა. ნაციონალებმა მაშინვე დაიწყეს გოდება, ხომ ვამბობდით, გამოვა თუ არა ვაჰაგანი, საქმეები ცუდად წავაო. მავანი ეთნიკური შუღლის გაღვივებაზეც ალაპარაკდა. არადა, აქ ეთნიკური შუღლი არაფერ შუაშია. ის, რაც ჯავახეთში მოხდა, ეთნიკური დაპირისპირება სულაც არ არის. ამ ამბავზე მოგვიანებით, ახლა კი თავად ვაჰაგანის პოზიცია მოვისმინოთ, რომელიც ძმის დაკავებას პოლიტიკურ მოტივებს უკავშირებს და სააკაშვილ-მერაბიშვილს სომეხ მოსახლეობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ვითარების დაძაბვაში ადანაშაულებს.

– 28 ივნისს ნინოწმინდის რაიონის სოფელ გონდურაში მომხდარი ინციდენტის დროს სპეცრაზმელებმა ჩემი ძმა, არმენ ჩახალიანი დააკავეს. კანონის წინაშე ყველა თანასწორია, თუმცა ჩემი ძმის დაკავებასთან დაკავშირებული გარემოებები საფუძველს მაძლევს ვამტკიცო, რომ მომხდარი თვალსაჩინო პოლიტიკური მოტივებით განხორციელებული პროვოკატორული მოქმედებაა, რომლის ავტორები გახლავთ სააკაშვილი-მერაბიშვილის ნების ყოფილი შემსრულებლები, რომლებიც ჯერაც გარკვეულწილად ინარჩუნებენ გავლენას ადგილობრივ ძალოვან სტრუქტურებში. მაქვს საფუძველი იმის მტკიცებისა, რომ ასეთი პროვოკაციული ნაბიჯით ზემოაღნიშნული წრეები ცდილობენ, ხელოვნურად დაძაბონ ვითარება სომეხ მოსახლეობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის და ორმხრივი უნდობლობის პირობებში აღადგინონ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დათმობილი პოზიციები, – ვკითხულობთ ჩახალიანის მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში.

მისი თქმით, მომხდარი მეტწილად შედეგია იმისა, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება წინა რეჟიმის მხრიდან ჯავახეთის სომეხი მოსახლეობის მიმართ გატარებული დანაშაულებრივი პოლიტიკის გასამართლების, სამართლიანობის აღდგენის, სომხებით დასახლებულ რაიონებში კანონის უზენაესობისა და დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცების პრინციპულ საქმეში დღემდე საჭირო განსაზღვრულობასა და პოლიტიკურ ნებას ვერ ავლენს.

– მსურს ვირწმუნო, რომ ის ძალები, რომლებმაც დაგეგმეს და განახორციელეს ჩემი ძმის დაკავებასთან დაკავშირებული მოქმედებები, მცდარნი აღმოჩნდებიან საკუთარ გათვლებში და მათი პროვოკაცია ჩავარდება. კიდევ ერთხელ ვამტკიცებ, რომ ვმოქმედებდი, ვმოქმედებ და მომავალშიც ვიმოქმედებ ექსკლუზიურად კანონიერების ფარგლებში. ვაცხადებ, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, გავაგრძელებ რეგიონში სრულყოფილი დემოკრატიის განმტკიცებისადმი, ჯავახელი სომხების მოქალაქეობრივი, ენობრივი, საგანმანათლებლო, რელიგიური და კულტურული უფლებების დაცვისადმი მიმართულ ჩემს პოლიტიკურ საქმიანობას, – აცხადებს ჩახალიანი.

ჩახალიანი რომ თავის საქმიანობას გააგრძელებს, ამაში ეჭვი არავის გვეპარება. რაც შეეხება იმ ინციდენტს, მას პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვს და ამ ყველაფერში დამნაშავე უიმედო სიყვარულია.

„ახალი თაობისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ვაჰაგან ჩახალიანის ძმის, არმენის მეგობარს ერთი გოგო ჰყვარებია ნამეტნავად, რომელსაც გულისსწორად სხვა აურჩევია. შუამავლებიც გააგზავნეს, მაგრამ გოგოს მშობლებმა უარი უთხრეს. უარი როგორ გვაკადრესო და რამდენიმე ათეული კაცი წაუყვანიათ ქალის მოსატაცებლად. ქალის მომტაცებლებს ნინოწმინდის რაიონის სოფელ გონდურას მოსახლეობა მედგრად დახვდა, ატყდა ხელჩართული ჩხუბი, რომელშიც, ჩვენი წყაროს ცნობით, ასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა.

ასეთ მასობრივ ჩხუბს პოლიცია, ბუნებრივია, ვერ დააიგნორებდა და ჩხუბის მონაწილეები დააკავეს. ასეთი რამ სხვა რეგიონში რომ მომხდარიყო, მას დიდი რეზონანსი არ მოჰყვებოდა, მაგრამ ჯავახეთი ცოტა სპეციფიკური რეგიონია და აქ ხელისუფლებას ფრთხილი ნაბიჯების გადადგმა მართებს, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლიციამ რეაგირება არ მოახდინოს.

# ქუთაისში გამართულ პრაიმერიში დავით ბაქრაძემ გაიმარჯვა

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსავლენად პრაიმერის ფარგლებში გამართული პირველი კონფერენციის გამარჯვებული დავით ბაქრაძე გახდა.

გამარჯვებული ოთხ კანდიდატს შორის ფარული კენჭისყრით იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის დელეგატებმა გამოავლინეს. ბიულეტენების რაოდენობა 387-ს შეადგენდა. ბაქრაძემ დელეგატებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

„ჩვენი მთავარი ამოცანა იყო არა ის, რომელი კანდიდატი გაიმარჯვებდა, არამედ ყველასთვის გვეჩვენებინა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ვითარდება, წინ მიდის და რაც დღეს ჩვენ გავეკეთეთ, არ მომხდარა აქამდე არც ჩვენი და არც სხვა პარტიების ისტორიაში. ჩვენ დღეს დემოკრატიულად, ღია დებატებით და ფარული კენჭისყრით გამოვავლინეთ პირველი რეგიონული კონფერენციის გამარჯვებული და ვფიქრობ, დღეს გამარჯვებულია თითოეული ჩვენგანი და ჩვენი პარტია“, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

**პირველი**

# ვინ იქნება ნაციონალების საპრეზიდენტო კანდიდატი – ბაქრაძე, ბარამიძე, ჯაფარიძე თუ მალაშხია?

შორენა მარსაგიშვილი



**ნაციონალებს საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევა ძალიან გაუჭირდათ. დიდი ვაებისა და წვალების შემდეგ გადაწყვიტეს, რჩეულის გამოსავლენად პრაიმერი ჩაეტარებინათ. პრაიმერის ჩატარებაზე ძირითადად მას შემდეგ ალაპარაკდნენ, რაც პროექტი „ვანო მერაბიშვილი“ ჩავარდა.**

ყველამ კარგად ვიცით, რომ ნაციონალების საპრეზიდენტო კანდიდატი ვანო მერაბიშვილი უნდა ყოფილიყო. მისი კანდიდატურის დასახელება 19 აპრილის აქციაზე იგეგმებოდა. ის აქცია სწორედ მერაბიშვილის ორგანიზებით ჩატარდა. იმ ღონისძიებაზე მიხეილ სააკაშვილი მისვლას არ აპირებდა, მაგრამ შუა აქციის დროს პრეზიდენტი რუსთაველზე მივიდა და ყველაფერი ჩაშალა. მისი მისვლა მერაბიშვილს არ მოეწონა და, როცა პრეზიდენტი სიტყვით გამოდიოდა, იქაურობა დატოვა.

პროექტ ვანო მერაბიშვილის ჩაშლას ნაციონალები ოფიციალურად არ ადასტურებენ. კულუარებში კი ამაზე ბევრს საუბრობდნენ მაშინ, მერე დადგა მაისი და ვანო მერაბიშვილიც დააკავეს. ნაციონალებმა მაშინ თქვეს, ვანო ისევ ჩვენი კანდიდატი იქნებაო. აპირებდნენ, რომ მასაც მიაღებინებდნენ პრაიმერიში მონაწილეობას, ბოლოს გადაიფიქრეს.

საპრეზიდენტო კანდიდატს ნაცმოძი პრაიმერის მეშვეობით გამოავლენს. პრაიმერში მონაწილეობას დავით ბაქრაძე, გია ბარამიძე, ზურაბ ჯაფარიძე და შოთა მალაშხია მიიღებენ.

ერი ნაციონალების საპრაიმერო კანდიდატების დასახელებას დიდი სიხარულით შეხვდა. განსაკუთრებული ჟრიამული შოთა მალაშხიას კანდიდატურამ გამოიწვია. ამ უქმეებზე სოციალურ ქსელებში მხოლოდ შოთა მალაშხიაზე საუბრობდნენ.

ნაციონალებს არჩევნების ჩატარება სამართლიანად არ გამოსდიოდათ. ვნახოთ, რამდენად სამართლიანი იქნება პრაიმერი. აქ გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი პარლამენტის ყოფილ სპიკერ დავით ბაქრაძეს აქვს. რომელიც, თავის მხრივ, ხალხს ნაციონალებიდან ყველაზე ნაკლებად აღიზიანებს.

არანაციონალურად განწყობილი ერის გაღიზიანებას არც მალაშხია იწვევს, მაგრამ მთელი ერი მაინც სიცილით ჩაბჟირდა. ისე, ამ სიცილ-სიცილში, შესაძლოა, სწორედ მალაშხიამ გამოჰკრას საპრეზიდენტო კანდიდატობას ხელი.

შოთა მალაშხია მომავალს იმედიანად უყურებს. მისი განცხადებით, ძირითადი თემა სამუშაო ადგილები, ეკონომიკის აღორძინება იქნება და მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რა დრო დასჭირდება, რომ ეს ყველაფერი ბოლომდე იქნეს მიყვანილი.

– საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებულია და ის მიდგომები, რომელიც დღევანდელ ხელისუფლებას აქვს, რომ ვერ გაარკვია, რომ ორი რუსეთი არ არსებობს და არის ერთი იმპერიული რუსეთი. ეს პროცესია, რომელიც ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ. მეორეა შიდა სახელმწიფოებრივი პრობლემები, რომლებსაც ასევე მოვლა და ბოლომდე განმტკიცება სჭირდება. ძირითადი თემა ეს იქნება სამუშაო ადგილები, ეკონომიკის აღორძინება და ამისთვისაც მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რა დრო დასჭირდება, რომ ეს ყველაფერი ბოლომდე იქნეს მიყვანილი, – აცხადებს მალაშხია.

ყოფილი სპიკერი დავით ბაქარაძე კი მიიჩნევს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში არასახელისუფლებო გუნდის წარმომადგენელმა უნდა გაიმარჯვოს. მისი თქმით, კანდიდატს უნდა შეეძლოს მთავრობასთან კონსტრუქციული მუშაობა.

– ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი უნდა იყოს სწორედ ასეთი. ერთი მხრივ, მას უნდა შეეძლოს მთავრობასთან კონსტრუქციული მუშაობა იმ მიზნით, რომ ყველაფერი გააკეთოს იქ, სადაც ეს სჭირდება ქვეყნის ინტერესებს და, მეორე მხრივ, უნდა შეეძლოს მთავრობის გაკონტროლება, რომ მთავრობის ძირითადი საქმიანობა იყოს ხალხის კეთილდღეობა. მიმაჩნია, რომ ამ გადმოსახედიდან ნაციონალურ მოძრაობას, როგორც მთავარ ოპოზიციურ ძალას, ნამდვილად აქვს შანსი და პერსპექტივა, რომ იყოს წარმატებული. მე, ჩემი მხრივ, ვმონაწილეობ ამ პრაიმერში. ვნახოთ, როგორი იქნება პარტიის არჩევანი, – განაცხადა ბაქარაძემ.

ნაციონალების საპრაიმერო კანდიდატებს მეოცნებეებიც გამოეხმაურნენ. მათ ჯერ არ იციან, ვინ იქნება ნაცმოძის რჩეული, მაგრამ, დარწმუნებული არიან, რომ ისინი არჩევნებს ვერ მოიგებენ.

ვიცე-პრემიერ კახა კალაძის შეფასებით, საპრეზიდენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს არანაირი შანსი არ აქვს.

– ნაციონალურ მოძრაობას საპრეზიდენტო არჩევნებში არანაირი შანსი არ აქვს, რომ მათმა კანდიდატმა გაიმარჯვოს. ჩვენ ვიცით მოსახლეობის დამოკიდებულება ნაციონალური მოძრაობის მიმართ. ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს 9-წლიანი პერიოდი, როდესაც ისინი ხელისუფლებაში იყვნენ და ამ ადამიანების მიმართ ხალხში ძალიან დიდი ზიზღია. ასე რომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მათ კანდიდატს არავითარი შანსი არ აქვს, – განაცხადა კალაძემ.

იმავეს ფიქრობენ სხვა მეოცნებეებიც. დეპუტატ ზურაბ აბაშიძეს ეჭვი არ ეპარება, რომ მათი კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი არჩევნებს დამაჯერებელი გამარჯვებით მოიგებს

ნაცმოძის წევრი ზურაბ ჯაფარიძე კი იმედოვნებს, რომ „ქართული ოცნების“ მიმართ მოლოდინი გაქარწყლდება და ეს მათ რეიტინგზე საკმაოდ ნეგატიურად აისახება.

– მოსახლეობაში არსებობს საკმაოდ მაღალი მოლოდინი „ქართული ოცნების“, როგორც პოლიტიკური გუნდის მიმართ იმ დაპირებებთან მიმართებით, რომელიც ამ გუნდმა გასცა, თუმცა, ეჭვი მაქვს, რომ ეს მოლოდინი გაქარწყლდება და ეს მათ რეიტინგზე საკმაოდ ნეგატიურად აისახება. ამიტომ მე ყურადღებას არ მივაქცევდი, ახლა კონკრეტულად რა მაჩვენებლები არსებობს. წინ არის კამპანია და ვნახოთ, ამ კამპანიის მერე რა იქნება, – განაცხადა ჯაფარიძემ.

# კახელი გლეხები ატმების რევოლუციით იმუქრებიან

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი, გიორგი თარგამაძე კახეთში, გურჯაანის რაიონის რამდენიმე სოფელში სახელდახელოდ მოწყობილ ატმის ბაზრობებზე მოსახლეობას შეხვდა.

გლეხობა უკიდურეს უკმაყოფილებას გამოხატავს პროდუქტის შესაძენ ფასთან დაკავშირებით. შარშანდელთან შედარებით ატმის ფასი კიდევ უფრო ნაკლებია და მისი გასაღება კახელ გლეხებს ძალიან უჭირთ. მთელი კახეთის მასშტაბით ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს არც ერთი სამაცივრე ან საკონსერვო საწარმო, რომელიც შესაძლებელს გახდიდა გლეხების მიერ მოწეული პროდუქციის მიღებას, შენახვას, შეფუთვას ან საკონსერვო გადამუშავებას.

არსებული სიტუაცია ადგილზევე შეაფასა გიორგი თარგამაძემ. გაიხსენა შარშან ზუსტად ამავე დროს კახელ გლეხებთან მისი შეხვედრის დეტალები და გააკრიტიკა როგორც ძველი ასევე ახალი მთავრობა უმოქმედობისთვის და კახელი გლეხების ფაქტობრივი გაწირვისთვის.

გლეხების უმეტესობა ჟურნალისტებთან საუბრისას ადასტურებს იმას, რომ წელს ატმის გაყიდვა ორჯერ უფრო ნაკლებ ფასში უხდებათ, ვიდრე მისი მოყვანა დაუჯდათ. კახელი გლეხები ატმების რევოლუციით იმუქრებიან და მიმართავენ მთავრობას მიიღოს სასწრაფო ზომები, რათა ატმის სეზონი მთლიანად არ ჩავარდეს.

გიორგი თარგამაძემ გაიხსენა ვანო მერაბიშვილის ტყუილები, როცა იგი პრემიერ-მინისტრი იყო და კახელ გლეხებს პირდებოდა რომ უკრაინაში გაიტანდა მთელს პროდუქციას და იქ გაყიდდა, მაგრამ მხოლოდ წარსულზე ლაპარაკით გლეხების პრობლემა ვერ მოგვარდება. მათ აინტერესებთ რას აკეთებს ახალი მთავრობა რომელიც პირდებოდა, რომ ყველა რაიონში მინიმუმ ერთი საწარმო მაინც გაკეთდებოდა. ამ დროს დადგა სეზონი და ერთი პუნქტიც კი არ არსებობს მისაღები, სადაც გლეხებს ადეკვატურ ანაზღაურებას მისცემდნენ.

გიორგი თარგამაძემ მოუწოდა საქართველოს მთავრობას, რომ შეიმუშაოს და შეუდგეს ნაბიჯ– ნაბიჯ სერიოზული გეგმის განხორციელებას, რომელიც ადგილობრივი სამაცივრე და საკონსერვო მეურნეობის ინფრასტრუქტურის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ამ ეტაპზე კი სამი კონკრეტული თემაა, რაზეც სასწრაფო რეაგირებაა გასაკეთებელი. პირველი ეს არის ატმის პროდუქციაზე სუბსიდირება, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გაიცეს 10– 15 თეთრის ოდენობით, იმისთვის რომ მინიმალურად მაინც მოხდეს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც გლეხებს აქვთ.

მეორე, აუცილებელია, რომ ხელისუფლება, როგოც ცენტრალური ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, დაეხმაროს გლეხობას ატმის პროდუქციის ტრანსპორტირებაში საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

და მესამე, ეს არის ამ სპონტანური, კუსტარული ბაზრობების ნაცვლად ეგრეთ წოდებული „მწვანე ბაზრობების“ ორგანიზება, სადაც გლეხები მოახერხებენ მეტნაკლებად ცივილიზებულ, ნორმალურ გარემოში პროდუქციის გაყიდვას და არა ასეთ მძიმე პირობებში.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, თუკი შარშან ერთ-ერთი ძირითადი შემსყიდველი ამ პროდუქციისა აზერბაიჯანიდან გადმოსული გადამყიდველები იყვნენ, წელს მათი რაოდენობა განახევრებულია და როგორც გლეხები ამბობენ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ამისა არის ის რომ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის გამშვებ პუქტზე გაჩნდა დამატებითი გადასახადი, რომელმაც აზერბაიჯანელ გადამყიდველებს დაუკარგა ყოველგვარი ფინანსური მოტივაცია რათა საქართველოდან ქართველი გლეხის მიერ მოწეული ატმის პროდუქცია გადაიტანონ და გაყიდონ აზერბაიჯანში. ამ მხრივაც საქართველოს მთავრობის მხრიდანაც საჭიროა აქტიური ჩარევა, რათა ეს პრობლემა მაინც მოწესრიგდეს.

მთელი კასკადია დაგროვილი პრობლემებისა მაგრამ არ ჩანს არცერთი კონკრეტული გადაწყვეტილება და ნაბიჯი, რომელიც როგორც ძველ ასევე ახალ მთავრობას გადაედგა და ამის ეფექტი ყოფილიყო ამ სეზონზე . დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ატმის სეზონი და მოსავალი კახელ გლეხობას კვლავ ჩაუვარდა, კვლავ იზარალა და კვლავ უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. – აცხადებს თარგამაძე.

**მედიანიუსი**

2013, 1 ივლისი, №153

# გელა ნიკოლაიშვილი: „ხელისუფლება სიტუაციაზე კონტროლს კარგავს“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ადვოკატგელა ნიკოლაიშვილთან

***– ბატონო გელა, მერიის თანამშრომლების დაკავებამ და შემდეგ გათავისუფლებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ნაციონალურ მოძრაობაში, ასევე საზოგადოებაშიც კრიტიკის საგნად იქცა. ბევრმა ისიც თქვა, რომ ეს საბოტაჟი იყო. როგორია თქვენი, როგორც ადვოკატის შეფასებები?***

– მე ვფიქრობ, რომ იმ სტრუქტურების მხრიდან, ვინც ეს განახორციელა, უბრალოდ, ძალიან დიდ სიბრიყვესთან გვაქვს საქმე. მათ ან ელემენტარულად ვერ გათვალეს, ან სპეციალურად გააკეთეს. ახლა ეს საბოტაჟის თემა შეიძლება ცოტა სასაცილოდ ჟღერს ვიღაცებისთვის, მაგრამ, სულაც არ არის გამორიცხული, რომ ის ადამიანები, ვინც დარჩნენ ამ სტრუქტურაში და რომლებიც ნაციონალური მოძრაობის დიდი გულშემატკივრები არიან, შეეცადნენ, რომ სწორედ მათ წისქვილზე დაესხათ წყალი. სხვა მხრივ, რითი უნდა ახსნა, როდესაც მოწმის სტატუსით დაბარებული ბორკილებით მიგყავს, თუნდაც უბორკილოდ, მაგრამ იძულებით მიგყავს ადამიანი, ეს ბავშვმაც კი იცის, რომ არის ელემენტარული კანონის დარღვევა და მით უმეტეს, როცა ამხელა დელეგაციაა ჩამოსული ნატოსი და ეს აუცილებლად რეზონანსს გამოიწვევს. მე არ ვიცი, სხვა რითი უნდა ახსნა, ან დიდი სიბრიყვით და ან წინასწარ გამიზნული პროვოკაციული მოქმედებით. ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რომ ეს საბოტაჟი იყო, თუმცა ახლა რაიმე ვამტკიცო, ნამდვილად ეს ასეა, ძალიან ძნელია. როდესაც არა გვაქვს კონკრეტული ხელშესახები მტკიცებულებები, მაგრამ, იმდენად დიდი იქნებოდა ეს რომ სიბრიყვეს მივაწეროთ, რომ ეს ცოტა დაუჯერებელია, რომ ესეთი ბრიყვები და არაკვალიფიციური კადრი იყოს იმ სისტემაში, რომელმაც განახორციელა ეს დაკავებები.

***– რამდენად უნდა მოეთხოვოთ მათ პასუხი, ვინც ეს დაკავებები განახორციელა?***

– მე ვფიქრობ, რომ აუცილებლად უნდა მოეთხოვოთ პასუხი. განურჩევლად იმისა, ეს სიბრიყვის ნიშანია თუ საბოტაჟის, მათ პასუხი მაინც უნდა აგონ, ეს ბუნებრივია.

***– ფიქრობთ, რომ ბევრი ძველი კადრია და მათ ქმედებას ვერ აკონტროლებს ახალი ხელისუფლება?***

– არა, მე, უბრალოდ, არ გამოვრიცხავ ამას, მყარი მტკიცებულებები არა მაქვს ამის დასამტკიცებლად, მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ, მაგალითად, პროკურატურაში და პოლიციაშიც დარჩენილი არიან 80-90% ძველი კადრების, რომ აღარაფერი ვთქვათ სასამართლოზე, სადაც 100%-ია, ბუნებრივია, ეს ეჭვი ჩნდება. ეს ფაქტი, გონივრულ ეჭვს ნამდვილად იწვევს.

***– სამეგრელოდან ამოღებული იარაღის თემასაც მინდა რომ შევეხოთ, გუშინ ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა გააკეთა ასეთი განცხადება, საქართველო პარტიზანული ომისთვის ემზადებოდა და ასეთი სამალავები სხვაც ბევრიაო... როგორ ფიქრობთ, რამდენად ვიდექით ახალი ომის საფრთხის წინაშე?***

– ეს მე მიმაჩნია არადამაჯერებელ, სულელურ ახსნად, ვინაიდან საქართველოს რომ რუსეთთან ომისთვის მომზადება დაეწყო, ასეთ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო ის გარემოება, ის რეალური საფრთხე, რომელიც მართლა არსებობდა 2008 წელს. როცა პროვოკაციულად რუსეთიც მოქმედებდა და საქართველოც და ომამდე ასეთი პროვოკაციებით მივიდნენ. ომის შემდეგ უკვე რუსეთს არანაირი სურვილი, არანაირი არც საშუალება და არც მიზანი აღარ აქვს იმისა, რომ რაიმე ომი აწარმოოს. მას უნდა, რომ ის შეირგოს, რაც მიიტაცა. მას რომ სდომებოდა მთელი საქართველოს ოკუპაცია, ამაში ხელს არაფერი არ უშლიდა, 20 წუთში და საათ-ნახევარში, ტანკები თბილისშიც იქნებოდა. უბრალოდ, ეს არის რაღაცა სულელური ახსნა და, როგორც ჩანს, გათეთრება იმ დანაშაულებრივი ქმედებებისა, მე პირდაპირ ვიტყვი, რასაც ჰქვია აღურიცხავი, შავი იარაღის კონცენტრაცია სავარაუდო გაურკვეველი კრიმინალური დაჯგუფებების ხელში. ეს კრიმინალური დაჯგუფებები იყვნენ ლეგალიზებული, ე.წ. ზონდერბრიგადები და ჩვენ არჩევნებზე ვნახეთ კიდეც, რანაირი და როგორი სახის ომისთვის ემზადებოდნენ. მე ვფიქრობ, რომ ომისთვის თუ იყო მზადება, ეს იყო მზადება არა რუსეთთან, არამედ ომი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, ერთი მარტივი მიზეზის გამო, რომ რუსეთი ამ დროს აღარ აპირებდა რაიმე თავდასხმას. ამიხსენით ერთი საიდუმლო სამალავები რისთვის არის საჭირო, ერთადერთი პარტიზანული ომისთვის, როდესაც შემოვიდოდა რუსის ჯარი და ოც-ოცი, ორმოც-ორმოცკაციანი ჯგუფები სადღაც ტყეებში იქნებოდნენ და იმ ტყეებიდან თავს დაესხმებოდნენ რუსეთს. ეს ხომ ბავშვობის დროინდელი ომობანას თამაშის რეციდივია, მათი მხრიდან? როგორ შეიძლება წარმოიდგინო, რომ ამ ხელისუფლებას შეეძლო მათ პარტიზანული ომის წარმოება, როცა მართლა საწარმოებელი იყო ასეთი პარტიზანული ომი, როცა ორ დღეში სრულიად განიარაღდნენ, სრულიად პანიკაში მოექცნენ და იმიტომ რომ სამალავები არ ჰქონდათ?! რა შუაშია სამალავები? სამალავები კი არა, მთელი ბაზები დაუტოვეს და იქიდან თავქუდმოგლეჯილები გამოიქცნენ და ამ ავტომატებით და ხელყუმბარებით აპირებდნენ რუსეთის ჯარის დამარცხებას?! ეს არის სრული სისულელე. თუ ეს ჰქონდათ გულში, მაშინ ბრიყვები ყოფილან. ეს რაღაცა აბსურდულია და მე არ მესმის.



***– თქვენ ფიქრობთ, რომ ეს იარაღი წინასაარჩევნოდ გადაიმალა მას შემდეგ, რაც ივანიშვილი გამოჩნდა პოლიტიკურ არენაზე და მათ სულ სხვა რამე ჰქონდათ განსაზღვრული?***

– ყველა ნიშანი გვიჩვენებს, რომ სწორედ ასე იყო. რადგან, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, იმ კასრებში ჩაწყობილი იარაღით, ვერანაირ რუსეთის ჯარს ვერ დაამარცხებდნენ და საკუთარი ხალხის წინააღმდეგ კი ეფექტურად შეეძლოთ გამოეყენებინათ. აქედან გამომდინარე, ყველა მონაცემი იმაზე მიუთითებს, რომ სწორედ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ჰქონდათ მობილიზებული ეს სამალავები და იარაღი.

***– ბატონო გელა, კიდევ ერთ თემას მინდა რომ შევეხოთ, ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები, პარტიები ასახელებენ კანდიდატებს, ნაციონალები კი ძველ პოზიციაზე რჩებიან და პრაიმერს ატარებენ მთელი საქართველოს მასშტაბით კანდიდატის გამოსავლენად. მათი ერთ-ერთი კანდიდატი შოთა მალაშხიაა, ეს თემა საღადაოდ არ ჰყოფნის საზოგადოებას, სოციალური ქსელები აფეთქდა მსგავსი სტატუსებით. ამის მიუხედავად, ყველა ფიქრობს, მათი კანდიდატი ბაქრაძე იქნება. თქვენ რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?***

– მეც წავიკითხე ასეთი მოსწრებული ფრაზა ფეისბუქში – მალაშხია გადაარჩენს საქართველოსო. მე ვფიქრობ, რომ როდესაც 7 თუ 10%-იანი პარტიაა და მით უმეტეს მათი რეიტინგი ქვევით და ქვევით მიდის, იმიტომ რომ მათი დანაშაულები სულ უფრო მჟღავნდება, მათ, რასაკვირველია, არანაირი შანსი არა აქვთ იმისა, რომ რაიმე ხელშესახებ შედეგს მიაღწიონ არჩევნებში. მათი მთავარი მიზანი იქნება ახლა, რომ მეორე ადგილი დაიკავონ და დაფიქსირდნენ პოლიტიკურ მთავარ ოპოზიციურ ძალად. თუმცა ნაძალადევში ჩატარებული არჩევნების დროს ეს ვერ მოახერხეს, კახა კუკავამ დაიკავა მეორე ადგილი და მეც ვფიქრობ და თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ისინი მეორე ადგილს ნამდვილად ვერ აიღებენ. მათი კანდიდატი, სავარაუდოდ, ბაქრაძე იქნება, მაგრამ, ვინც არ უნდა იყოს, ციდან ჩამოსული ანგელოზიც რომ იყოს, რადგანაც ის იქნება ნაციონალური მოძრაობის სახელით, ბუნებრივია, ის ვერანაირ ხელშესახებ შედეგს ვერ მიაღწევს, მეორე ადგილს ნამდვილად ვერ დაიკავებს. მეორე ადგილზე გასვლის შანსები, სავარაუდოდ, უფრო მეტი ექნება დასახელებულ კანდიდატებს შორის ნინო ბურჯანაძეს.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ პირველი ადგილის აღება გაუჭირდება ნინო ბურჯანაძეს?***

– მე ვფიქრობ, რომ პირველ ადგილს, ამ სიტუაციაში, თუ ოქტომბრამდე რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მოხდა, ბურჯანაძე ვერ დაიკავებს. თუმცა, თუ პირველ ტურში 50%-იანი ზღვარი ვერ გადალახა მარგველაშვილმა, მაშინ უკვე გაუჩნდება ბურჯანაძეს შანსი, რომ მეორე ტურში დაამარცხოს მარგველაშვილი.

***– ასევე საუბარია პაატა ბურჭულაძეზე, თუმცა მას არც უარი უთქვამს და არც თანხმობა ამ შეთავაზებაზე...***

– პირდაპირ გეტყვით, რომ მე ამ საკითხს სერიოზულად არ განვიხილავ. შეიძლება, არის ვიღაც პარტიების სურვილი, ზოგი ამბობს, საპატრიარქოს კანდიდატიც არისო, ზოგი ამბობს, მესამე ძალის კანდიდატიაო, მაგრამ არ ხდება ასე, რომ „რასკრუტკა“ სჭირდება ნებისმიერ ადამიანს. თვითონ ბიძინა ივანიშვილსაც კი, რომელსაც ამხელა რეიტინგი ჰქონდა, ერთი წლის განმავლობაში მან აწარმოა მთელი კამპანია იმისათვის, რომ გაემარჯვა. მიუხედავად იმისა, რომ პაატა ბურჭულაძე პოპულარულია საქართველოში, ის, როგორც პოლიტიკოსი, არ არის პოპულარული და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკა და პოლიტიკოსობა სხვა რამეა. მე ვფიქრობ, რომ ბურჭულაძეს, ალბათ, ნათელაშვილიც კი აჯობებს, რომც დააყენოს კანდიდატურა. ამდენად, ვფიქრობ, იმდენად გონიერია ეს კაცი, რომ ამას არ გააკეთებს და არ წამოაყენებს საკუთარ კანდიდატურას.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ძირითადი დაპირისპირება მარგველაშვილსა და ბურჯანაძეს შორის გაიმართება?***

– დიახ, ყოველ შემთხვევაში, დღეს ასე ჩანს, იმიტომ რომ სხვა სერიოზული კანდიდატი ჯერჯერობით არ გამოკვეთილა. მე არც ვფიქრობ, რომ შეიძლება ვიღაცა ციდან ჩამოვარდეს და გამოიკვეთოს. რა მოცემულობაც გვაქვს, ეს არის და, კიდევ ერთხელ ვამბობ, ბურჭულაძის მსგავსად ვიღაცა რომც გამოჩნდეს უცაბედი კანდიდატი, ლაპარაკობენ ლევან ვასაძეზეც, მას, ალბათ, უფრო მეტი შანსი ექნება, თუ გამოჩნდა, ვიდრე ბურჭულაძეს, თუმცა გამარჯვების შანსი მასაც არ ექნება. სხვა კანდიდატები საერთოდ არ ჩანან, ნათელაშვილზე აღარაფერს ვიტყვი. ამ სიტუაციაში, ერთი მხრივ, იქნება მეორე ადგილისთვის ბრძოლა და, მეორე მხრივ, იმისთვის ბრძოლა, რომ 40%-ზე მეტი ვერ მიიღოს ოცნების კანდიდატმა. მეორე ტურის ჩატარება კი მართლაც საინტერესო იქნება, იქ უკვე სერიოზული კონკურენცია იქნება.

***– ბატონო გელა, აქ დგას კიდევ ერთი ასეთი საკითხი, რომ მარგველაშვილი ივანიშვილის კანდიდატურაა და ხალხი მხოლოდ ბიძინას გამო მისცემს ხმას. იმ შემთხვევაში, თუ ივანიშვილი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ წავა პოლიტიკიდან, ხომ შეიძლება, ამომრჩეველი დაფიქრდეს, თუკი მიდის ივანიშვილი, მაშინ რად უნდათ მარგველაშვილისნაირი პრეზიდენტი, რომელსაც არანაირი პოლიტიკური გამოცდილება არ აქვს?***

– კი, შეიძლება, ასეც დადგეს საკითხი, მაგრამ, საქმე ის არის, რომ ხალხი მე მგონი, არ ფიქრობს ისე, რომ ბიძინა ივანიშვილი რომ წავა, ეს ნიშნავს, რომ წავა საერთოდ პოლიტიკიდან. არასამთავრობო ორგანიზაციაში მყოფმა არანაკლები ძალით შეიძლება მოახდინოს გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე. ისე, რომ ბიძინა ივანიშვილი რჩება, როგორც აქტორი, როგორც მოთამაშე, შეიძლება, ოფიციალური სტატუსი მას არ ჰქონდეს, მაგრამ ის ძალიან ძლიერ გავლენას მოახდენს პოლიტიკურ პროცესებზე. აქედან გამომდინარე, არა მგონია, ხალხმა იფიქროს, რომ ბიძინა ივანიშვილი მიდის, მორჩა, აქეთ რესპუბლიკელებს ტოვებს, იქით მარგველაშვილი იქნება, იქ ვიღაცა პრემიერი იქნება და თვითონ არანაირ როლს არ შეასრულებს. მე ასე არ ვფიქრობ და, მე მგონი, ხალხიც არ ფიქრობს ასე, რომ ის ასე ადვილად გაერიდება ამ ქარიშხალს, რომელშიც ივანიშვილი შემოიჭრა. ეს არც იქნებოდა სწორი და თვითონაც აღნიშნა, რომ მისი წასვლა არ ნიშნავს თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩენას.

***– ასევე მინდა გკითხოთ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე. აქტიურად დადგა ეს საკითხი დღის წესრიგში. თქვენი აზრით, რამდენად არის შანსი, რომ გაიმართოს?***

– მე ვფიქრობ, სწორია ის პოზიცია, როცა ამბობენ, რომ თუ მიდის ბიძინა ივანიშვილი, მაშინ კიდევაც დანიშნოს საპარლამენტო არჩევნები, იმიტომ რომ ჩვენ მას მივეცით ხმა და არა მის გუნდს, რომელსაც ტოვებს. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ახლა უკვე გვიანია საპარლამენტო არჩევნების შემოდგომაზე დანიშვნა, მაგრამ, თუ მართლა ასე განვითარდა მოვლენები და ივანიშვილი მართლა წავიდა, რომ გაზაფხულზე, ადგილობრივ არჩევნებთან ერთად გაიმართოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიც. თუ ივანიშვილი მართლა წავიდა, მოვლენების ასეთი განვითარება რეალურია.

# კვალიფიციური სისტემური დანაშაულის შემოქმედი „კვალიფიციური ოპოზიცია“

ორიგინალური არ ვიქნები თუ ვიტყვი, რომ გასულ კვირაში სრულიად საქართველო, წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიერ ხელდასმულმა და წახალისებულმა კიდევ ერთმა უმძიმესმა დანაშაულმა შეძრა.

საქმე, როგორც ყველასთვის ცნობილია, უდიდეს და უმძიმეს სისტემურ დანაშაულს ეხება, ხოლო ამ დანაშაულის მტკიცებულების ხილვა, ნებისმიერი ადამიანისთვის, რაც არ უნდა ძლიერი ფსიქიკის იყოს ის, მაინც შოკისმომგვრელია.

რადგან სისტემურ დანაშაულზე ვსაუბრობთ, რისი აშკარა მტკიცებულებებიც სახეზეა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღნიშნულ ამაზრზენ ქმედებებში ბრალი ედება იმ სისტემის ყველა წარმომადგენელს, რომელსაც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი ერქვა, მიუხედავად იმისა, იცოდნენ თუ არა იმ საშინელებების შესახებ, რასაც სწორედ მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის ხელდასმით, ზოგიერთი უმდაბლესი სულის არსება ახორციელებდა.

ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვის რა დოზით მიუძღვის წვლილი იმ დანაშაულში, რომლის ენით გადმოცემაც კი უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს. დამნაშავეა ყველა, ვინც წინა ხელისუფლებას, რომლის პოლიტიკაც და სიძლიერეც მაგიდაზე გადასკოტჩილი ადამიანების გაუპატიურებას ემყარებოდა, – კბილებით იცავდა და მითუმეტეს, ორმაგად დამნაშავეა ყველა, ვინც სააკაშვილის გახრწნილ პოლიტიკას დღემდე უტიფრად ამართლებს.

საინტერესოა, როგორ გაგრძელებას ჰპოვებს „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერისა და პრეზიდენტობის კანდიდატის ნინო ბურჯანაძის ინიციატივა, – საკანონმდებლო დონეზე აიკრძალოს „ნაციონალური მოძრაობა,“ თუმცა ის, რომ ამ საქმეში მას საზოგადოების უდიდესი ნაწილის მხარდაჭერა ექნება – უდავოა.

შექმნილი რეალობიდან და ბოლო დროს გახმაურებული სკანდალური ჩანაწერებიდან გამომდინარე, გასაოცარია ახალი ხელისუფლების ზოგიერთი უმაღლესი თანამდებობის პირთა განცხადებები, რომლებიც წინა ხელისუფლებას ჯერ კიდევ გუნდრუკს უკმევენ და მათი მისამართით საქებარ სიტყვებს არ იშურებენ.

ახალი ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირები შემთხვევით არ მიხსენებია.

პირველ რიგში, ამ მიმართულებით პარლამენტის თავმჯდომარე და კონსტიტუციის თანახმად ქვეყნის ოფიციალურად მეორე პირი – დავით უსუფაშვილი იგულისხმება.

მოგეხსენებათ, დიდ ბრიტანეთში ოფიციალური ვიზიტის დროს გამართულ მრგვალ მაგიდაზე, საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ პარლამენტში ძლიერი და კვალიფიციური ოპოზიციაა წარმოდგენილიო.

ძნელი გამოსაცნობი ნამდვილად არ არის, თუ რომელი პოლიტიკური ძალა აქო და ადიდა უსუფაშვილმა და რომელი პოლიტიკური ძალა მოიხსენია „ძლიერ და კვალიფიციურ“ ოპოზიციად.

ის, რომ „ნაციონალური მოძრაობა,“ მას შემდეგ, რაც მან ავტორიტარიზმზე დამყარებული ერთპარტიული მმართველობის ბერკეტები დაკარგა, ძლიერ პოლიტიკურ ძალას აღარ წარმოადგენს, – ეჭვს აღარ იწვევს, თუმცა უნდა ვაღიაროთ რომ, მის წევრებს, რომლებიც დღეს საქართველოს პარლამენტში არიან წარმოდგენილნი, ცალკეულ სფეროებში კვალიფიკაცია ნამდვილად გააჩნიათ.

საქმე იმაშია, თუ რამდენად ემთხვევა მათი რეალური კვალიფიკაცია იმ კონტექსტს, რომლითაც პარლამენტის თავმჯდომარემ მათ მიმართ, ბრიტანეთში გამართულ მრგვალ მაგიდაზე ისაუბრა.

„საპარლამენტო ოპოზიცია“, კვალიფიციურ პოლიტიკურ ერთობად და მითუმეტეს ოპოზიციად, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განვიხილოთ, თუმცა ზოგიერთი მათგანი, როგორც აღვნიშნეთ, თავის საქმეში ნამდვილად კვალიფიციურია.

მაგალითად, ხათუნა გოგორიშვილისა და მიხეილ მაჭავარიანის ტანდემი, უდავოდ კვალიფიციური და ზეპროფესიონალია არჩევნების გაყალბების საქმეში. ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან, სწორედ ამ ტანდემს და მათ პლაცენტებს უკავშირდება არაერთი არჩევნების შედეგების, იქნება ეს საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო, – გაყალბება.

თუ ბატონი უსუფაშვილი საპარლამენტო ოპოზიციის შეფასებისას ამ კვალიფიკაციას გულისხმობდა, – ძნელია რომ მას არ დავეთანხმოთ.

საპარლამენტო ოპოზიციის კიდევ ერთი „კვალიფიციური“ წარმომადგენელი, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი გია ბარამიძეა.

სწორედ მისი კვალიფიციურობის დამადასტურებელია საქართველოს ერთ-ერთ მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები ოჯახის წინააღმდეგ ათამდე

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# თინა ხიდაშელი: „თუკი ასეთი შეწუხებულია ჩიორა თაქთაქიშვილი, ეს სხდომაზე უნდა გაეპროტესტებინა“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრის თინა ხიდაშელის განცხადებით, თუკი ჩიორა თაქთაქიშვილი შეწუხებულია, რომ ევროსაბჭოს სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა ანგარიშში საქართველოს ხელისუფლების მიერ აფხაზური და ოსური „პასპორტების“ ვალიდურობის აღიარების შესახებ ჩაწერეს, ეს სხდომაზე უნდა გაეპროტესტებინა.

ამის შესახებ ხიდაშელმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეიდან დაბრუნების შემდეგ განაცხადა.

„ესპ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა მცდელობას, რომ დღის წესრიგში შესულიყო „საქართველოში გაუარესებული მდგომარეობის შესახებ“ დებატები და საბედნიეროდ, მათი ეს მცდელობა ჩავარდა. ჩიორა თაქთაქიშვილი და გიორგი კანდელაკი არიან მონიტორინგის კომიტეტის წევრები. ეს ძველი პარლამენტიდან გადმოყოლილი წევრობაა. არც ერთი წარმომადგენელი „ქართული ოცნებიდან“ აღნიშნულ კომიტეტში არ არის. მხოლოდ ეს ორი ადამიანია. სხდომაზე, სადაც ეს ანგარიში გადიოდა, ხმა არ ამოუღიათ საერთოდ. კითხვა მაქვს ჩიორა თაქთაქიშვილთან: თუკი ასეთი შეწუხებულია, რომ ევროსაბჭოს სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა ასეთი რამ დაწერეს ანგარიშში, იქ, სხდომაზე რატომ არ გააპროტესტეს და რატომ არ მოითხოვეს ტექსტის შეცვლა? ჩვენ სამწუხაროდ, მონიტორინგის კომიტეტის სხდომებზე, რომელიც დახურულია, არ გვიშვებენ“, – განუცხადა ჟურნალისტებს თინა ხიდაშელმა.

თავის მხრივ კი, საპარლამენტო უმცირესობის წევრი ჩიორა თაქთაქიშვილი აცხადებს, რომ „შეიტყო ძალიან შემაშფოთებელი ინფორმაცია, რომ ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა აფხაზეთისა და ოსეთის მიერ გაცემული პასპორტები აღიაროს, როგორც ვალიდური დოკუმენტეები საქართველოს ტერიტორიაზე, რაც ძალიან შემაშფოთებელი საკითხია“. ამასთან, მისივე თქმით, საკითხის განხილვაზე როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ისე უმცირესობის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

**პირველი**

# მამუკა გიორგაძე: „პოლიტიკურად გაკოტრებული ნაცმოძრაობის ოპოზიციაში ყოფნა „ქართული ოცნების“ ინტერესშია“

შორენა კოწოწაშვილი

**სახალხო პარტიის ლიდერი მამუკა გიორგაძე საგამოძიებო ორგანოების მხრიდან დედაქალაქის მერიის 23 თანამშრომლის დაპატიმრება-გაშვებაში საბოტაჟის ნიშნებს ხედავს და ხელისუფლებას ამ საქმის სერიოზული გამოძიებისკენ მოუწოდებს.**

**გიორგაძე უკმაყოფილებას აფიქსირებს სამართლიანობის აღდგენის პროცესისადმი და მიაჩნია, რომ შეგნებულად შეიძლება ხდებოდეს სააკაშვილის მაღალჩინოსნების საქმეების პროცედურული სამართალდარღვევებით „შეკერვა“.**

**რაში იხდიან ნაციონალები ფულს და რას სახის გარიგება იკვეთება მოქმედ და ყოფილ ხელისუფლებას შორის, ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „სახალხო პარტიის“ ლიდერ მამუკა გიორგაძესთან.**

***– ბატონო მამუკა, რას შეფასებას მისცემდით ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებს, რომელსაც საპარლამენტო უმცირესობა პოლიტიკურ ტერორად აფიქსირებს და გაუმართლებლად მიაჩნია სამართლებრივი დევნის მსგავსი ფორმები იმავე რასმუსენის ვიზიტის ფარგლებში...***

– რასმუსენის ვიზიტმა და მასთან დაკავშირებით განვითარებულმა მოვლენებმა რეალურად ქართული პოლიტიკური ცხოვრების რაობა დაგვანახვა. პირველი: საქართველოს ხელისუფლების, გინდა ძველის, გინდა ახლის დამოკიდებულება ნატოში გაწევრიანების საკითხისადმი ვერ გასცდა აისაფის ოპერაციაში საქართველოს მონაწილეობის თემას, არადა, ნატო ამდენი ხნის განმავლობაში, მით უმეტეს ბოლო ვიზიტის დროს რასმუსენის პირით პირდაპირ და ცალსახად გვიცხადებდა და განაცხადა დღესაც, რომ ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობა – ეს არ არის ბილეთი ნატოში. ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ამისთვის საერთაშორისო თანამეგობრობა ძალიან მადლობელია. ეს არის ძალიან კარგი საქართველოსთვის, მაგრამ მთავარი არის ის რეფორმები, რომელიც ქართულმა მხარემ უნდა განახორციელოს.

***– ანუ სააკაშვილმა თავის დროზე აისაფის პროგრამასთან მიმართებით არასწორი გათვლა გააკეთა?***

– სამწუხაროდ, სწორედ ესაა, რომ არც სააკაშვილი და არც დღევანდელი ხელისუფლება არ საუბრობს იმასთან დაკავშირებით, რა რეფორმებზეა საუბარი, რას ითხოვს ნატო ჩვენგან, ჩვენ ყველაფერზე ვსაუბრობთ. ვსაუბრობთ ჩვენი ბიჭების მონაწილეობაზე აისაფის პროგრამაში, ჩვენი კონტინგენტის რაოდენობაზე, პრაქტიკულად, ყველაფერზე ვსაუბრობთ, გარდა იმისა, თუ რას ითხოვს ნატო ჩვენგან. იქნებ ერთხელ მაინც გავმართოთ დიალოგი ამ თემასთან დაკავშირებით და ღიად და ცალსახად გამოიკვეთოს ის საკითხები, რასაც ნატო ჩვენგან ითხოვს ნატოში ჩვენი მიღების სანაცვლოდ. დავფიქრდეთ, იქნებ ეს ის თემებია, რომელიც საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია. დარწმუნებული ვარ, ეს სწორედ ის თემებია, რომელიც საქართველომ ისედაც უნდა განახორციელოს, თუ მას აქვს სურვილი იარსებოს, როგორც ცივილიზებულმა სახელმწიფომ. ეს არის ელემენტარული დემოკრატიული მოთხოვნები. ეს არის ის თემები, რომელიც საქართველომ თვითონვე, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა უზრუნველყოს: რეალური თვითმმართველობის დამკვიდრება, კანონის უზენაესობა, კონკურენტული და ჯანსაღი გარემო, განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება და ა.შ. ამას ითხოვს ნატო ჩვენგან. პრაქტიკულად ითხოვს იმას, რაც საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებში შედის. ხელისუფლება ამას ამ საზოგადოებას უმალავს ან იგნორირებას აკეთებს და მთავარი აქცენტი გადააქვს ავღანეთში ჩვენს მონაწილეობაზე, თითქოს რადგან ჩვენ ავღანეთის ოპერაციაში ვმონაწილეობთ, ეს არის ერთადერთი და უპირობო გარანტი იმისა, რომ მიგვიღებენ ნატოში. ამის გამო არ მიგვიღებენ. ხელისუფლებას აქვს სურვილი იმისა, რომ დისკუსია არ დაიწყოს ჩვენთან ზემოაღნიშნულ მნიშვნელოვან საკითხებზე, იმიტომ რომ ეს ყველაფერი არც სააკაშვილის და არც დღევანდელ ხელისუფლებას რატომღაც არ უნდა, რომ საქართველოში დანერგოს.

***– რატომ არ უნდა უნდოდეთ ამ საკითხებზე მსჯელობა?***

– იმიტომ, რომ კონკურენტულ გარემოში მათ რეალურად გაუჭირდებათ ხელისუფლებაში.

***– რატომ ფიქრობთ, რომ არც მოქმედი ხელისუფლების ინტერესებში შედის?***

– სამწუხაროდ, ჩვენ ვნახეთ, რომ ხელისუფლების 9-თვიან პერიოდში არ ყოფილი დისკუსია, ფაქტობრივად, თუნდაც ამ ორდღიანი ვიზიტის დროს საქართველოს მხრიდან არ დასმულა საკითხი, რაში უნდა დაგვეხმაროს ნატო ან როგორ უნდა დაგვეხმაროს ამ პრობლემების მოგვარების გზაზე. გარკვეულწილად, მოვალეობის მოხდის მიზნით იქნა ღონისძიება ღონისძიებისთვის ჩატარებული და ამას ხელს უწყობდა ის ფონი, რომელიც განვითარდა ამ ე.წ. მასობრივ სანახაობითი დაჭერების ფონზე, რაც, პრაქტიკულად, სხვა არაფერია, თუ არა ღიად, დიპლომატიური ენით ცალსახა უარყოფითი დამოკიდებულება იმ საკითხების მიმართ, რომელ საკითხებსაც აყენებს ნატოს ხელმძღვანელობა საქართველოსთან მიმართებით. პრაქტიკულად, ნატოს ხელმძღვანელობა ჩვენგან იმას ითხოვს, რაც ქართულმა სახელმწიფომ ისედაც უნდა გააკეთოს – დამნაშავე უნდა დაიჭიროს, მაგრამ მოხსნას ყოველგვარი ეჭვი პოლიტიკურ დევნასთან დაკავშირებით. ხელისუფლება კი, პირიქით, დამნაშავეს არ იჭერს და აძლიერებს ეჭვებს, რომ ეს არის პოლიტიკური დევნა. სხვას რას უნდა მივაწეროთ 23 ადამიანის მოწმედ დაბარება ხელბორკილების დადებით და მსგავსი სპექტაკლით, რაც განხორციელდა და შემდეგ ამ ხალხის გამოშვება, საღამოს მერე ისევ დაჭერა?! ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ხელისუფლება ამას სპეციალურად აკეთებს, რათა საერთაშორისო თანამეგობრობამ რაღაც გარკვეული პერიოდის შემდეგ თვითონ თქვას ჩვენზე უარი და საქართველოს ხელისუფლებამ მერე თავი გაიმართლოს, რომ იცი რა, ჩვენ ყოველთვის გვინდოდა ნატოში ყოფნა, მაგრამ არ მიგვიღო. აი, ასეთი შთაბეჭდილება იქმნება მსგავსი დემარშებით. ჩვენ გვახსოვს ნატოს კომიტეტის ვიზიტის წინ კალანდაძის დაპატიმრება. კალანდაძე დღესაც გარეთ არის, არანაირი გამოძიება არ მიმდინარეობს. რა აუცილებლობა იყო მაშინ კალანდაძის დაპატიმრება? დღეს კალანდაძე ქალაქში ჩვეულებრივ მოძრაობს, არანაირი პრობლემა არ არის, მაგრამ მაშინ ამ დაკავებამ ამხელა აჟიოტაჟი გამოიწვია, ისევე, როგორც მერიის ამ 23 თანამშრომლის დაჭერამ. თუ არ იყო გათვალისწინებული ამდენი ადამიანის დაჭერა და მხოლოდ 4 ადამიანი იყო ეჭვქვეშ, შე კაი დედმამიშვილო, დანარჩენ 19-ს რატომ აკავებ მოწმედ ამ ფორმით?! ხომ იცი, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას ამაზე ძალიან უარყოფითი რეაქცია ექნება. ეს ყოველივე აღძრავს პოლიტიკურ ეჭვს იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, მსოფლიო თანამეგობრობას აჩვენოს, რომ აქ მიმდინარეობს, ოპოზიციური ძალის დევნა, მეორე მხრივ, ხელშეწყობა იმასთან დაკავშირებით, რომ ნაცმოძრაობა არის ერთადერთი ოპოზიცია ქვეყანაში. აქ რომ იყოს საუბარი იმაზე, რომ ნაცმოძრაობა ერთ-ერთი რიგითი ოპოზიციაა და ხელისუფლება აჩვენებდეს დანარჩენი პოლიტიკური პარტიების საქმიანობას, ხელს უწყობდეს ამ პარტიებს, მაშინ ამას დასავლეთი გაიგებდა, რომ რამდენიმე ოპოზიციური პარტიიდან ნაცმოძრაობა ერთერთის მიმართ არის ეჭვები, რაც ბუნებრივი და ლოგიკური იქნებოდა. მაგრამ როცა კოალიცია ერთადერთად წარადგენს ნაცმოძრაობას და ამ ერთადერთის მიმართ ხდება მსგავსი მასობრივ-სანახაობითი ქმედებები, ბუნებრივია, ეს დასავლეთში ეჭვს აღძრავს, მეორე მხრივ, ეს არის პირდაპირი ხელშეწყობა ნაცმოძრაობის. გარკვეული დევნა ადამიანებს ერთმანეთთან უფრო მეტად აკავშირებს. გარკვეულწილად, ეს ქმედებები საზოგადოებაში ხაზს უსვამს ნაცმოძრაობის ერთადერთობას და ა.შ.



***– ანუ თქვენ ნაციონალების მაღალჩინოსნების დაპატიმრებას პოლიტიკური დევნის რანგში არ განიხილავთ.***

– რა თქმა უნდა, არა. რეპრესიები არ ხორციელდება. იქმნება რეპრესიების ილუზია.

***– ამას პროკურატურა და საგამოძიებო ორგანოები ვერ აცნობიერებენ? „საქართველოს გზის“ ლიდერი ფიქრობს, რომ ის, რაც თბილისის მერიის თანამშრომლების დაკავებასთან დაკავშირებით ვიხილეთ, ძველი ხელისუფლების კადრების მხრიდან განხორციელებული საბოტაჟი იყო. იზიარებთ ამ მოსაზრებას?***

– პირველი: თუ ეს საბოტაჟი იყო, ხელისუფლებამ მიიღოს გადამჭრელი ზომები, მაგრამ პირიქით მოხდა. ხელისუფლებამ გაამართლა ეს ქმედება; მეორე – პრაქტიკულად ეს აჩვენებს, რომ შეგნებული მოედებაა იმის საჩვენებლად, რომ საქართველოში არაჯანსაღი ვითარება განვითარდეს. თუ ამას ნაცმოძრაობის დაფინანსების გაზრდას და იმ სხვა პრივილეგიებს, რომელიც ნაცმოძრაობას აქვს დღეს, ნათლად მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ პოლიტიკურად გაკოტრებული ნაცმოძრაობა აწყობს ხელისუფლებას ოპოზიციაში; და მესამე – არ გამოირიცხება გარკვეული ფინანსური დაინტერესებაც. გარკვეულწილად, ხელოვნურად ხდება საქმის ჩაფუშვა, იმიტომ, რომ ასეთი პროცედურული დარღვევებით გაგზავნილი საქმე სასამართლოში, ბუნებრივია, ჩაიფუშება. შესაბამისად, დამნაშავეები პასუხისმგებლობას აიცილებენ. ამაში კი შეიძლება ეს ხალხი ფულსაც კი იხდიდეს. როდესაც ასეთი სერიოზული ეჭვები ჩნდება იმ ორგანოების მიმართ, რომელიც წესით მოწოდებული უნდა იყვნენ დამნაშავეთა დასასჯელად, რა თქმა უნდა, გვაქვს საფუძველი ყველანაირ ვერსიის შესახებ ვიმსჯელოთ. ეს ყველაფერი ეჭვებს აღძრავს, რომ შეგნებული მოქმედებაა იმისათვის, რომ საქართველოში არაჯანსაღი სიტუაცია განვითარდეს. თუ ამას მივამატებთ ნაცმოძრაობის დაფინანსების გაზრდას, იმ სხვა პრივილეგიებს, რომელიც საპარლამენტო უმცირესობას აქვს დღეს ქვეყანაში, ნათლად მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ პოლიტიკურად გაკოტრებული ნაცმოძრაობა „ქართულ ოცნებას“ აწყობს ოპოზიციაში.

# ზაფხულის კიდევ ერთი ლამაზი დღე „ფონდი ნატახტარისგან“

კომპანია „ნატახტარმა“ გალვანის, წილკანისა და თბილისის მცირე საოჯახო ტიპის სახლების 10-დან 18-წლამდე 34 აღსაზრდელს უმასპინძლა და კიდევ ერთი ზაფხულის ლამაზი დღე აჩუქა.

აქტივობა ფონდი „ნატახტარის“ საქველმოქმედო პროექტის – „იზრუნე მომავალზე“ ფარგლებში განხორციელდა, რომელიც მიზნად მზრუნველობამოკლებული ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციას ისახავს. ამიტომაც სიტყვა „ნატახტარი“ მზრუნველობამოკლებულ მოზარდებში დიდი ხანია დადებით ემოციას იწვევს. ეს გასაკვირიც არ არის და იმ დღემაც დაადასტურა, როდესაც კომპანიამ მოზარდებს უმასპინძლა.

მოზარდებმა მართლაც დაუვიწყარი დღე გაატარეს. იმის გარდა, რომ გაეცვნენ „ნატახტარის ლიმონათის“ წარმოების პროცესს, შესანიშნავადაც გაერთნენ. მოხატეს ქარხნის ადმინისტრაციული შენობა, დააგემოვნეს ყველა არომატის ლიმონათი და ამაში ხელი მცირე დროით წამოსულმა კოკისპირულმა წვიმამაც კი ვერ შეუშალა.

მოზარდებს, რომელმაც კომპანიამ საჩუქრად ასევე სპეციალურად დამზადებული კეპები და მაისურები გადასცა, სახეზე ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდათ. ისინი აღფრთოვანებული ვერ მალავდნენ მასპინძლების გულისხმიერებას და ჩვენთან საუბარში სამადლობელ სიტყვებს არ იშურებდნენ.

შეგახსენებთ, რომ კომპანია „ნატახტარმა“ ფონდი „ნატახტარი“ 2011 წლის ნოემბერში დააფუძნა და მზრუნველობამოკლებული მოზარდების მხარდაჭერისკენ მიმართული საქველმო-



ქმედო პროექტის „იზრუნე მომავალზე“ განხორციელებაც სწორედ ამ დღიდან დაიწყო. პროექტი ხორციელდება ასოციაცია „ჩვენი სახლი - საქართველოს“ მხარდაჭერითა და საქართველოს პატრიარქის თანადგომითა და ლოცვა-კურთხევით.

პროქტში ჩართულნი არიან 15-18 წლის მოზარდები. მისი სიძლიერე ისაა, რომ თითოეული მოზარდი თითოეული ქეისია და ეს ქეისი არ იხურება სანამ მოზარდი დამოუკიდებლობას არ მიაღწევს. ამ შემთხვევაში ყურადღება უფრო იმ მოზარდებზეა გავამახვილებული, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ეროვნულ გამოცდებს და ინსტიტუტებსა თუ უნივერსიტეტებში ისწავლიან.

ორი წლის განმავლობაში შეგროვებულმა თანხამ 243.000 ლარი შეადგინა. მოზარდები იღებენ სრულ სერვისს: ხელობის შესწავლა, საგნებში მომზადება, მართვის მოწმობის აღება, სტაჟირება, ინვენტარისა და სახელმძღვანელოების შეძენა, გზის ხარჯი.

2012 წელს მუშაობა მიმდინარეობდა 72 მოზარდთან. აქედან 10 ქეისი უკვე დახურულია – 6 ბენეფიციარი მუშაობს, ხოლო 4 გოგონა გათხოვდა და უკვე დაადგა დამოუკიდებელ ცხოვრებას. დანარჩენი 62 მოზარდიდან 4 დასაქმებულია და მათ უკვე შეუძლიათ დამოუკიდებლად თავის რჩენა. 10 მათგანი უკვე მზად არის საქმიანობას შეუდგეს, 2 მათგანს სამსახური სტქმუხელში ელოდება, ხოლო 6 ეროვნული გამოცდებისთვის ემზადება.

ფსიქოლოგიური სამსახური ზრუნავს მოზარდების უნარის შეფასებაზე, ფიქრობს, თუ რომელი პროფესია შეესაბამება ამა თუ იმ მოზარდს, მაგრამ მთავარი მიზანი მათი დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება და სწორ გზაზე დაყენება.

# ვინ დააბრუნებს ემიგრანტებს სამშობლოში

როლანდ ხოჯანაშვილი

ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით მომრავლდა საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციები. საზოგადოების აზრით, მათი უმეტესობა არაფერს აკეთებს, გარდა გრანტების შეჭმისა. ხუმრობით „ენჯეოებს“ „შენ ჩემის ასრვიანო“-ებს ეძახიან, რადგან ასეთი ტიპის ორგანიზაციების რეგისტრაცია 108 ლარი ღირს. სატელევიზო ეთერი ყოველდღიურად ახალ-ახალ არასამთავრობო ორგანიზაციებს გვაცნობს, თუმცა რეალურად მათი გაკეთებული საქმე იშვიათად უნახავთ. „ახალი თაობის“ ინტერესის სფეროში ამჯერად მოექცა „მე დავბრუნდები“. მისი რეგისტრაცია 25 ნოემბერს მოხდა და ძირითადად ემიგრაციულ საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის მიერ განხორციელებული რამდენიმე პროექტი (ემიგრანტთა ფსიქოსეანსები, ონლაინ კონსულტაციები, ანტიტრეფიკინგული აქციები) დამფუძნებელთა სახსრებით განხორციელდა. ამ ეტაპზე შედარებით ამბიციური და ნოვაციური პროექტის შესახებ გვესაუბრება დამფუძნებელი ინა ასანიძე.



**ანა ასანიძე:**

–ჩვენ არ გვაქვს საგრანტო პროექტებიდან მიღებული დაფინანსება. 2006 წლიდან 2012 წლის ოქტომბრამდე იძულებული ვიყავი წავსულიყავი ემიგრაციაში აშშ-ში. მანამდე ე.წ. „ვერის საძმოს“ წევრებმა მეუღლე ჩამიცხრილეს კუსტბის მიდამოებში. „ვაკის სოსისის“ მეპატრონე ბათურა კვირიკაძე ჩემს თვალში მკვლელია... ძმისა და მშობლების გარდაცვალების შემდეგ უკვე იძულებული გავხდი, ემიგრანტის მძიმე ხვედრი გამეზიარებინა რუსეთშიც. ვიცი, რამდენად ძნელია ემიგრანტის ცხოვრება, ისიც, არალეგალურად. ნოსტალგიის გარდა ჩვენ გვტანჯავდა იმის განცდაც, რომ შვილებისთვის იმდენ დროს ვერ ვნახულობდით, რამდენიც საჭიროა და როცა სამშობლოში დავბრუნდი, გადავწყვიტე, რომ ამ პრობლემისათვის რამდენადმე მიმექცია ყურადღება.

***– როგორც ვიცი, თქვენ უკეთებთ ორგანიზებას 15 ემიგრანტი ბავშვის სამკვირიან ქართულ ტურს...***

– უკვე ეს საკითხი გადაწყვეტილია. 17 ივლისს უკვე ემიგრანტი ბავშვები ისტორიულ სამშობლოში ჩამოვლენ და ვუზრუნველყოფთ მათ მრავალმხრივად. შეირჩა კონკურსის წესით აშშ-ს, იტალიის, ბელგიის, საფრანგეთის, კვიპროსის, რუსეთის, საბერძნეთისა და თურქეთის ემიგრანტთა შვილები, მათ საქართველოში ბევრი სიურპრიზი ელოდებათ.

***– რა პრინციპით შეარჩიეთ ეს ბავშვები?***

– როცა გადავწყვიტეთ ამ პროექტის განხორციელება, გამოვაცხადეთ კონკურსი, რომელიც ითვალისწინებდა მცირე მოცულობის მიზნობრივი ტექსტის დაწერას. ერთი ბავშვის საკონკურსო ტექსტში ასეთი რამე იკითხება: საქართველო ადგილია, სადაც ყველაზე კარგად ვგრძნობ თავს. მიუხედავა იმისა, რომ მე ჩემს ქვეყანაში არ ვცხოვრობ და მშობლიური ენა არც თუ ისე კარგად ვიცი. საქართველო მაინც ჩემი სახლია, ადგილია, სადაც არ მიცხოვრია, მაგრამ მიყვარს. ვერც იმით დავიკვეხნი, რომ ჩემი ასაკის ქართველი ბავშვების მსგავსად ვიცი საქარველოს კუთხეები, მათი ადგილმდებარეობა თუ ისტორია, მაგრამ ის ვიცი, რომ ჩვენმა წინაპრებმა იმისთვის რომ საქართველოში გვეცხოვრა, უამრავი იშრომეს და ამისთვის ბევრი პატრიოტის სისხლიც დაიღვარა. მე ეს ყოველთვის მეცოდინება რაც და როგორც არ უნდა მოხდეს. ბოლოს მაინც მე იქ ვიცხოვრებ, იქ მოვკვდები, სადაც მშობლიური ფესვებია, სადაც ჩემი ნამდვილი სახლია და სადაც ზუსტად ჩემნაირები არიან, დიახ, ჩემნაირები. მე ხომ ისევე, როგორც თქვენ, ქართული სისხლი მაქვს! მეც ხომ ქართველი ვარ!

***– თქვენს პროექტს მხოლოდ საქართველოს გაცნობითი ხასიათი ექნება?***

– არა, ეს იქნება კომპლექსური ღონისძიება, რომელსაც ტურისტულ-საგანმანათლებო დანიშნულებაც ექნება. ვაპირებთ, რომ ბავშვებთან ურთიერთობა ჰქონდეთ მაღალი კვალიფიკაციის ადამიანებს. ჩვენი სახელმწიფო ენის შესწავლის საკითხს ამ სამკვირიან ტურს დიდი მნიშვნელობა ექნება. ბავშვები ქართულენოვან გარემოში ბევრად უფრო კარგად აითვისებენ მშობლიურ ენას, ზუსტი წარმოდგენა შეექმნებათ ჩვენს ეთნოგრაფიაზე. როცა ისინი წავლენ საზღვარგარეთ, აუცილებლად მიღებულ ცოდნას გაუზიარებენ სხვებსაც.

***– რა აქტივობები გაქვთ დაგეგმილი სამი კვირის განმავლობაში?***

– გვექნება ექსკურსიები კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, სვანეთსა და ქართლში. მოინახულებენ მუზეუმებს, თეატრებს, ჩაუტარდებათ ლექცია-ტრენინგები ქართულ ენაში, ხელოვნებაში, ისტორიაში. ანაკლიაში ორი კვირით დაისვენებენ ახალგაზრდულ ბანაკში (უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის დიასპორის და კავკასიის საკითხების კომიტეტი).

***– თუ არის დაგეგმილი საზოგადო მოღვაწეებთან მათი შეხვედრა?***

– ჩამოსვლიდან მეორე დღეს პატრიარქს შეხვდებიან, დაგეგმილია პარლამენტარებთან შეხვედრაც, დასკვნით ეტაპზე კი გაიმართება მცხეთაში კონცერტი 3 აგვისტოს ქართველი მომღერლების მონაწილეობით.

# ზესტაფონელები ზესტაფონის გადასარჩენად ერთიანდებიან

## „ბიზნესში მეჯღანუაშვილების ეპოქა უნდა დასრულდეს!“

შორენა გონგლაძე

ზესტაფონში დიდი ამბები ტრიალებს. ზესტაფონლები კარგა ხანია შველას ითხოვენ. წინა ხელისუფლებას საამისოდ არაფერი გაუკეთებია. ხალხს ახალი ხელისუფლების იმედი აქვს. ამის მიუხედავად ზესტაფონელებმა გადაწყვიტეს თავადაც გაერთიანდნენ მშობლიური მხარის გადასარჩენად. ეს გადაწყვეტილება მათ პარტია „თეთრების“ ლიდერს თემურ შაშიაშვილს გააცნეს.

შაშიაშვილი ზესტაფონიდან იმედიანი განწყობით დაბრუნდა. გუშინ მან საგანგებო განცხადება გაავრცელა.

– მოაზროვნე და მამულისმოყვარული ზესტაფონლები დიდ ბრძოლას იწყებენ ზესტაფონის გადარჩენისათვის. ეს იქნება სამამულო ბრძოლა ბიზნესში მოპარპაშე მეჯღანუაშვილების და პოლიტიკაში გადავარდნილი ყვარყვარეების ეპოქის დასრულებისათვის. როგორც ჩანს, ბევრისთვის პატრიოტიზმი და ბრძოლა საქართველოსათვის პარლამენტში მოხვედრისთანავე, თანამდებობაზე დანიშვნისთანავე მთავრდება.. ამის კარგი მაგალითი ზესტაფონია... სამადაშვილისა და მისი მაფიოზური კლანის წინააღმდეგ ბრძოლით პარლამენტსა და თანამდებობებზე მოხვედრილნი – კარგად შეერწყნენ ფერომაფიას, მისი მფარველნი გახდნენ... აღარ ახსოვთ არც ზესტაფონი, არც საქართველო, არც გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი ხალხი... ჭკვიანური და სწორი შეფასება გააკეთეს ზესტაფონელებმა, როცა თქვეს, რომ ქვეყნის ბიზნესი დღეს თითქმის მთლიანად ეკუთვნის სოლომონ ისაკიჩებს, რომლებიც გარდამავალ პერიოდში არნახული ფულით, არნახული სიჩქარით შობენ ყვარყვარეებს.

ყვარყვარიზმის ეპოქის ზეპირსიტყვიერების შედევრია დღევანდელი ერთ-ერთი გამგებლის ნათქვამი – მე ავტოკალამი ვარო. რაზეც მის მოადგილეს კვერი დაუკრავს – მე კიდევ ფურცელიო. ერთი ფანქარია, მეორე – ფურცელი. იქ, სადაც სოლომონ ისაკიჩია, არ არის გამგებელი, არ არის პოლიციის უფროსი, არ არის პროკურორი... არის სოლომონ ბატონის მიერ დასმული ყვარყვარეს კლონი, ნამდვილ ყვარყვარეზე გაცილებით უსუსური და ამაზრზენი, ფულიანი ბატონის მონა და ლაქია, – აცხადებს „თეთრების“ ლიდერი.

მისი თქმით, ქვეყნის დამანგრეველ ამ განწყობას წერტილი უნდა დაესვას. შაშიაშვილი იმედოვნებს, რომ ეს პროცესი ზესტაფონიდან დაიწყება.

– ეს არის მოზროვნე ზესტაფონელთა განწყობა: დაიწყო მოძრაობა „ზესტაფონის გადარჩენის კომიტეტის“ შექმნისათვის... იგი მოსამზადებელი მუშაობის დამთავრებისთანავე ორი კვირაში შეიქმნება დიდ სახალხო შეკრებაზე... 10 დღის შემდეგ გამოვა გაზეთი-მოწვევის ბარათი, რომელშიც მოცემული იქნება რაიონში არსებული მდგომარეობის დეტალური ანალიზი... ეს გაზეთი დიდი მოწოდება იქნება მთელი საქართველოსათვის, რათა ყველა ქალაქსა და რაიონში დავიწყოთ ბრძოლა „მოქკავშირ-აღორძინება-ნაცმოძრაობის“ მიერ დანიშნული ნომენკლატურული ბიზნესმენების წინააღმდეგ...ეს იქნება ბრძოლა მამულისათვის, ბიზნესში გალაღებული ნუვორიშებისა და პოლიტიკაში გადავარდნილი მედროვეების ეპოქის დასრულებისათვის.



ზესტაფონი მთელი საქართველოს გასაგონად აცხადებს: ბიზნესის და პოლიტიკის მედროვეთა მარწუხებისაგან განთავისუფლება არის საქართველოს მომავალი, ... ეს არის ბრძოლა საქართველოსათვის,... ეს არის გზის გახსნა ქართული ცნობიერების უჭკვიანესი უამრავი ადამიანისათვის, რომელთაც ვითომ ქართველმა უცხოეთის ემისრებმა წინსვლის და ქვეყნის მსახურების გზა დაუხშეს.

ზესტაფონლები თვლიან, რომ მათი ეს განწყობა ეს არის ბატონი ბიძინა ივანიშვილისადმი თანადგომა და არ ეჭვობენ, რომ მათ ექნებათ პრემიერის დიდი მხარდაჭერა. სწორედ ამიტომ ზესტაფონის გადარჩენის კომიტეტის შექმნისადმი მიძღვნილი სახალხო შეკრების მოწვევა – გაზეთის პირველ ეგზემპლიარსაც მას გაუგზავნიან.

ზესტაფონლები თვლიან, რომ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა დაასრულა ქართველ ხალხზე „ნაცების“ ბატონობა და მას ყველაზე უკეთ შეუძლია იმის დასრულება, რაც დღემდე ვერავინ შესძლო – ბიზნესში მეჯღანუაშვილების და პოლიტიკასში ყვარყვარეების დასრულება. ისინი ღრნიან ქართულ სულს, ებრძვიან სახელმწიფოს, წამებაში ჰყავთ ხალხი, მონობაში გამგებლები, მერები, გუბერნატორები, არაერთი მინისტრი და მაღალჩინოსანი და, რაც ყველაზე გამაოგნებელია, რეალურად ებრძვიან ახალ ქართულ სახელმწიფოს. უნდა ითქვას: ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ეს არის ნამდვილი ბრძოლა ზესტაფონისთვის, ეს არის ბრძოლა ქართული სულის დაბრუნებისათვის მეწარმეობაში, – აღნიშნავს თემურ შაშიაშვილი.

# კვალიფიციური სისტემური დანაშაულის შემოქმედი „კვალიფიციური ოპოზიცია“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ვერტმფრენითა და ათასამდე კბილებამდე შეიარაღებული სპეცრაზმელით დაწყებული შტურმი, რომლის დროსაც აბსოლუტურად უიარაღო ადამიანები დაიღუპნენ და ცეცხლმოკიდებულ სახლში გამოიწვნენ.

იმედია ბატონი უსუფაშვილი ინფორმირებულია იმ „კვალიფიციური ოპოზიციონერის“ მიერ ჩადენილი საგმირო საქმეების შესახებ, რომელმაც დილაუთენია, ოჯახს, სადაც ქალებს და მცირეწლოვან ბავშვებს ეძინათ, ინტენსიური საჰაერო და სახმელეთო ცეცხლი გაუხსნა, ხოლო მისმა „კვალიფიციურმა გმირებმა“ ოჯახის ერთ-ერთ ვერაგულად მოკლულ წევრს, იმის გამო, რომ ბეჭედი ვერ მოხსნეს, თითი მთლიანად მოაჭრეს, ერთ-ერთი დაღუპულის ცხედრის მაგიერ, კი, ოჯახმა მხოლოდ მისი ტანისამოსი დაიტირა.

ასეთ რამეს მხოლოდ „კვალიფიციური“ პირი თუ ჩაიდენდა, ხოლო ამ ამაზრზენი დანაშაულის ჩადენისა და ოჯახის ამოწყვეტის შემდეგ, ცხელი კუბდარით ყელის ჩაკოკლოზინების მოთხოვნა, კიდევ დამატებით კვალიფიკაციას საჭიროებდა. გია ბარამიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას ეს კვალიფიკაციაც აღმოაჩნდა და უსინდისოდ მოითხოვა ცხელი კუბდარი.

სხვათა შორის, მაშინდელი ცხელი კუბდარი, გია ბარამიძესა და მის შთამომავლებს პირს მომავალში აუცილებლად დასწვავს, თუმცა ამ შემთხვევაში, მთავარი, მისი „კვალიფიკაციის“ დანახვა და სათანადო დონეზე აღნიშვნაა.

უსამართლობა იქნებოდა არ აღვენიშნა ასევე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფლი ხელმძღვანელის გივი თარგამაძის „კვალიფიციურობაც,“ რომლის საფირმო ფრაზაც – „სულს ამოგხდით თქვე ნაძირლებო,“ ამ შეფასების ობიექტურობის უდავო მტკიცებულებას წარმოადგენს.

სხვათა შორის საპარლამენტო ოპოზიციის ამ „კვალიფიციური“ წევრის წინააღმდეგ, როგორც ვიცი ინტერპოლით საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული და სხვა თუ არაფერი, ბატონ უსუფაშვილს ამის შესახებ მაინც უნდა სცოდნოდა.

როცა დიდ ბრიტანეთში გამართულ მრგვალ მაგიდაზე, საქართველოს პარლამენტის თავმჯომარე კვალიფიციურ და ძლიერ საპარლამენტო ოპოზიციაზე საუბრობდა, მას სავარაუდოდ მხედველობაში აკაკი ბობოხიძეც ჰყავდა.

აღნიშნული პიროვნება ნამდვილად კვალიფიციურია უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მუშტი-კრივის გამართვის საქმეში და უსამართლობა იქნება, რომ მას ეს „კვალიფიკაცია“ დავუკარგოთ.

ასე, რომ პარლამენტის თავმჯდომარის მიერ დიდ ბრიტანეთში გაკეთებული განცხადება სიმართლეს მოკლებული ნამდვილად არაა და საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები, თავიანთი „ვიწრო სპეციალობით,“ – კვალიფიციურობის ნამდვილ ეტალონებს წარმოადგენენ.

აღარაფერს ვიტყვი ჩიორაზე, ნუგზარზე, აკოზე და გოკაზე.

ამ ჩამონათვალის ფონზე კი, დავით უსუფაშვილის განცხადება, ხუმრობას რომ თავი დავანებოთ, – ცინიკურად ჟღერს.

თუ „ნაციონალური მოძრაობა“ კვალიფიციური ოპოზიციაა, ეს ნიშნავს, რომ ის ჯანსაღი პოლიტიკური ძალაა, ჯანსაღი პოლიტიკური ძალა კი, იმ ავადმყოფურ ქმედებებს ნამდვილად არ სჩადის, რომლის ვიდეჩანაწერიც დიპკორპუსის, არასამთავრობო სექტორისა და მედიის წარმომადგენლებმა, ამ რამდენიმე დღის წინ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში იხილეს.

ამ შემთხვევაში ნაკლებად საინტერესოა აუპატიურებდა თუ არა არჩადენილი ტერაქტის ბრალდებით დაკავებულ უპატრონო გლეხებს პირადად გია ბარამიძე, მიხეილ მაჭავარიანი, გივი თარგამაძე ან მათი თანამოაზრენი. საინტერესო და მნიშვნელოვანი ისაა, რომ სწორედ ისინი იყვნენ იმ სისტემის ბურჯები, რომლის ლაქიებიც „აღიარებითი ჩვენების“ მოთხოვნით, მაგიდაზე გადასკოტჩილ კაცებს აუპატიურებდნენ.

ხოლო ამ სისტემის ბურჯების „ძლიერ და კვალიფიციურ“ ოპოზიციად მონათვლა, მინიმუმ პარლამენტის თავმჯდომარის პოლიტიკურ ან სამართლებრივ ახლომხედველობაზე მიუთითებს.

არადა დავით უსუფაშვილს, ვერც პოლიტიკურ და მითუმეტეს ვერც სამართლებრივ სიბეცეს, ვერავინ დასწამებს.

რჩება ერთადერთი ვერსია: – დავით უსუფაშვილმა აღნიშნული განცხადება დასავლეთისთვის, პოლიტიკური აუცილებლობიდან გამომდინარე, სპეციალურად გააკეთა.

ასეთ შემთხვევაში მას, როგორც ქვეყნის ოფიციალურად მეორე პირს, ის მაინც უნდა უზრუნველეყო, რომ ეს განცხადება პრესსამსახურს საჯარო არ გაეხადა.

აღნიშნული განცხადებით, პარლამენტის თავმჯდომარემ საზოგადოების თვალში ნდობის ძალიან დიდი ნაწილი დაკარგა, რაც მას ადრე თუ გვიან, აუცილებლად შემოუბრუნდება.

სხვათა შორის, არსებული ინფორმაციით, 2011 წელს, იმ ოპოზიციურ ლიდერებს შორის, ვინც მიხეილ სააკაშვილს „თავგამოდებით“ ებრძოდა, დავით უსუფაშვილი ერთადერთი იყო, ვინც 26 მაისს რუსთაველის გამზირზე, ხალხის გვერდით დადგომის ინიციატივით გამოვიდა.

ეს ფაქტი, მის პოლიტიკურ ბიოგრაფიაში რა თქმა უნდა პოზიტიურ მომენტად ჩაიწერება, თუმცა, მით უფრო გასაკვირია, რამ აიძულა იგი, „სისტემური დანაშაულის იდეოლოგიური“ ბურჯები „კვალიფიციურ ოპოზიციად“ მოეხსენიებინა.

რაც შეეხება თავად საპარლამენტო ოპოზიციას და საერთოდ პარლამენტში წარმოდგენილ პოლიტიკურ სპექტრს, ის ქართველი ხალხის დამოკიდებულებას ნამდვილად არ ასახავს და აუცილებლად გადახედვას საჭიროებს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მიუხედავად საერთაშიროსო საზოგადოების მიერ დემოკრატიულად აღიარებისა, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები, ინერციით მოქმედი კლასიკური ავტორიტარიზმის პირობებში ჩატარდა.

რომ დავკონკრეტდეთ, 2012 წლის 1 ოქტომბერს, ხალხში ჯერ კიდევ დიდი იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანერგილი შიშის გავლენა, ასევე, ყოფილი მთავრობა აკონტროლებდა პოლიტიზირებული სახელმწიფო უწყებების და მათგან პირველ რიგში ძალოვანი უწყებების ხმებს, ასევე გავრცელების არეალით ყველაზე მომცველ ელექტრონულ მედიასაშუალებებს.

ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები რაღა თქმა უნდა, ქართველი ხალხის რეალური განწყობის ამსახველად არ შეიძლება ჩაითვალოს და ის აუცილებლად, ახალი, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებით უნდა გადაიხედოს.

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ კი, პარლამენტის თავმჯდომარეს, ვინც არ უნდა იყოს ის, ნამდვილად ექნება საფუძველი განაცხადოს საპარლამენტო ძალების სიძლიერესა და კვალიფიციურობის შესახებ. დღევანდელი პარლამენტის პირობებში კი, დამეთანხმებით, ამის შესახებ საუბარი აშკარად არარეალურია და მით უფრო გასაოცარია, როცა ამაზე აქცენტს ქვეყნის მეორე პირი აკეთებს.

ბოლო პერიოდში აღმოჩენილი ვიდეომასალების შინაარსიდან და სხვა ბევრი ფაქტორიდან გამომდინარე კი, უფრო უპრიანი იქნებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების არა კვალიფიკაციაზე, არამედ მათი სისხლის სამართლის დანაშაულებრივ ხარისხზე გვემსჯელა.

ალეკო ჩუბინიძე
სააგენტო „ნიუსპრესი“

# მარიამ ხუცურაული: „თეო ქუმსიაშვილი უნიკალური მოვლენა იყო“

შორენა მარსაგიშვილი

ხვალ, 2 ივლისს, თეო ქუმსიაშვილის წიგნისა და აუდიოდისკის წარდგინება გაიმართება. ამ წიგნის იდეის ავტორი და რედაქტორი შესანიშნავი პოეტი მარიამ ხუცურაული გახლავთ, რომელიც თეოს კარგად იცნობდა. მათ მრავალი წელი გაატარეს ერთად. როგორც ამბობს, გაცნობის დღიდან შვილივით შეიყვარა და დღემდე შვილივით უყვარს. მასზე საუბრისას დღემდე ეტირება, ამის მიუხედავად, სურს, რომ ხალხმა თეოს შემოქმედება იმ ტრაგიზმის გარეშე შეაფასოს, რომელმაც მთელი საქართველო შეძრა. თეოს შემოქმედებას დღესაც უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს. დღეს ბევრი მღერის მის სიმღერებს, ოღონდ თეოსნაირად ვერ მღერიან. მარიამ ხუცურაული ძალიან წუხს, რომ დღეს მათი შესრულებით უფრო ხშირად ისმის თეოს სიმღერები, ვიდრე ავტორის შესრულებით. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ამ პროექტის განხორციელება. როგორ შეერქვა თეოს მთის ბულბული, როგორ გაიცნეს ერთმანეთი და რა კითხვებს უნდა გასცეს ამ წიგნმა პასუხი, ამ თემებზე მარიამ ხუცურაული „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**მარიამ ხუცურაული:**

— ამ გოგოში უამრავი ნიჭი იყო თავმოყრილი. მას ყველა პირობა ჰქონდა, დიდი ხელოვანი რომ გამხდარიყო. მე არ მიკვირს, რომ მას დღეს ამდენი მიმბაძველი ჰყავს. ბევრი მღერის მის სიმღერებს. სიმღერების გავრცელება დღეს პრობლემა არ გახლავთ. გულსატკენია, რომ დღეს მათი შესრულებით უფრო ხშირად ისმის თეოს სიმღერები, ვიდრე ავტორის შესრულებით. მე მაქსიმალურად ვკრძალავ იმ სიმღერების შესრულებას, რომლების თანაავტორი ვარ თეოსთან ერთად და არა იმიტომ, რომ არ მინდა, ვინმემ იმღეროს. არ მინდა, იმიტომ რომ თეოს საკადრისად არ მღერიან. სწორედ ამის გამოც უფრო დაჟინებით გადავწყვიტეთ ამ წიგნისა და აუდიოდისკის გამოცემა. არ გვინდა, დაიკარგოს ის, რასაც თეო აკეთებდა. ამ იდეის განხორციელებაში დაგვეხმარა გამომცემლობა „საუნჯე“. მეჩვენება, რომ ეს თავისი არსით არის ძალიან კარგი პროექტი. წიგნი 3 ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი არის აუდიოდისკი, რომელიც ყდაზე დევს. მასზე ჩაწერილია თეონას სიმღერები მისი შესრულებით, ხალხური და სხვა ავტორების სიმღერები, რომელსაც თეო მართლა ძალიან კარგად ასრულებს. თეომ ბევრი სიმღერის ჩაწერა ვერ მოასწრო. ამიტომ ამ დისკში შევიტანეთ საოჯახო ჩანაწერებიც. ისინი შესაძლოა ხარვეზით არის ჩაწერილი, მაგრამ იქ თეოს უნიკალური ხმა ჟღერს. სტუდიურად მან ამ სიმღერების ჩაწერა ვერ მოასწრო. მეორე ნაწილი ამ წიგნისა გახლავთ თეოს ლექსები. მისი მოკლე შემოქმედებიდან ის ლექსები ამოვარჩიეთ, რომლებშიც თეო შეიცნობა, როგორც სამომავლოდ დიდი პოეტური პოტენციის მქონე ადამიანი. სულ 24 ლექსი არის წარმოდგენილი. წიგნის მესამე ნაწილში შესულია თეოზე დაწერილი უამრავი ლექსი, მოგონება თუ მიძღვნები. გვინდა, რომ ამ წიგნმა ყველა კითხვას გასცეს პასუხი, რაც თეოზე გაჩნდება. მე მჯერა, რომ მისი შემოქმედება ასი წლის შემდეგაც პოპულარული იქნება და ვიღაც რომ დაინტერესდება, ვინ იყო თეო ქუმსიაშვილი, ამ წიგნმა უპასუხოს.

მინდა, რომ ეს ტრაგიზმის ნილაბი ჩამოშორდეს. თეოს ამქვეყნიდან ნაადრევი გარდასვლის გამო რომ მიეცეს რამე შეღავათი, ნამდვილად არ სჭირდება. ის უკვე მაშინ იყო დიდი ხელოვანი, როცა ჩვენ შორის დადიოდა და მისი არსებობის შესახებ ბევრმა არც კი იცოდა.

***— ადამიანები თავიანთ ტრაგიკულ ბედს წინასწარ გრძნობენ ხოლმე. თეოს შემთხვევაშიც ასე იყო?***

— თეოს ორმოცი ახალი გასული იყო, დედამისმა მისი ლექსების ხელნაწერები რომ მომცა. თავის სიცოცხლეში არც თავის ნამღერს თვლიდა არაფრად და არც ლექსს. სულ იმას ამბობდა, რას დამდევენ ეს ჟურნალისტები, ნეტავ რა მომღერალი მე ვარო. მეც ძალიან გვიან ჩამივარდა მისი ლექსები ხელში. ეს ლექსები 12-15 წლის ასაკში აქვს დაწერილი. ეს არის პატარა გოგონას შემოქმედება, რომელიც ძალიან დაღდასმულია მელანქოლიით, პესიმიზმით. რაღაცნაირად ბედისწერული ლექსებია, ეტყობა, თავის ქვეცნობიერში დაატარებდა იმას, რაც მომავალში ელოდა. თავად იყო ან ძალიან მხიარული, ან ძალიან სევდიანი. საშუალო მისთვის არ არსებობდა. თუმცა სევდა ძირითადად შიგნიდან მოდიოდა და იშვიათი იყო ასეთი. ეს ლექსები რომ ვნახეთ, ვთქვით, რომ მისგან კარგი პოეტიც გამოვიდოდა. ბოლო ლექსები, რომლებიც თავად აამღერა, კარგი პოეზიის ნიმუშებს წარმოადგენს. მათ შორის გამოვყოფდი: „ოდა თელავს“; „მარტო სიმღერით გითხარ“; „იორზე ნამღერი“; „ინათებს ჩემო“; „რამდენი მალოდინე“.

***— თეოს მთის ბულბული თქვენ შეარქვით?***

— მთის ბულბული მას ძია იოსებ ჯაბანიშვილმა შეარქვა. ეს იმ პერიოდში მოხდა, როცა თეოს შესახებ მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა თუ იცოდა. იცოდა იმ ხალხმა, ვინც ფოლკლორით იყო დაკავებული. მისი სიმღერები უკვე ჩაწერილი იყო. ეს დისკები გადავამრავლე და ჩვენებს დავურიგე. შუაფხოშიც ავიტანე და იქაურებსაც მოვასმენინე. ძია იოსებმა მაგნიტოფონი აივანზე გამოდგა და მაღალ ხმაზე უსმენდა თეოს ნამღერს, თან ისე ეფერებოდა თეოს, თითქოს იქ ყოფილიყო. ამბობდა, აქაურობას ეკუთვნის შენი ხმის სმენაო, რა კარგია ცაბაურთას რომ ჰყავხარ ასეთიო. პირველი ძია იოსები იყო ვინც თქვა, ეს პატარა მთის ბულბული გვყოლიაო. მე მაქვს ლექსი „ჩემი ფშავლის ქალა გალობს“. იქ არის ფრაზა: „ამ ცამზეს გაუმრავლდი ბულბულის ცალო“, ეს არის ძია იოსების სიტყვები. მთის ბულბული შეერქვა ასე. ჩემს მთის ბულბულს დავიწყება არ უწერია. არასამთავრობო კავშირი „ჩვენი ფშავი“ თიანეთის მუნიციპალიტეტის ინიციატივით ავტორ-შემსრულებელთა ფესტივალს ატარებს. მას სახელად „სიონის ზარები“ ჰქვია. იმ პირველ ანსამბლსაც ასე ერქვა, რომელშიც თეო მღეროდა. გადაწყდა, რომ ეს ფესტივალი ყოველი წლის ზაფხულში სიონში გაიმართება. დაწესებულია 3 ნომინაცია. თეოს სახელობის პირველი პრემია საუკეთესო საავტორო სიმღერისთვის. იქნება მეორე პრემია ახალი ქართული სიმღერისთვის და მესამე პრემია თეოს სიმღერის საუკეთესო შესრულებისთვის.

***— წიგნში, რომლის წარდგინებაც ხვალ, 2 ივლისს მოხდება, თეოზე ბევრი მოგონებაა. თქვენ როგორ გაიხსენებთ თეოს, როგორ გაიცანით ერთმანეთი?***



— თეოზე უსასრულოდ შემიძლია ვისაუბრო. ახლა კი იმავეს გავიმეორებ, რა მოგონებაც ამ წიგნში მიწერია: მაშინ ჯერ კიდევ სიონში, იმ ერთ პატარა ოთახში ვატარებდით ხოლმე ზაფხულებს და სიონელებისგან ვყიდულობდით ნატურალურ პროდუქტს. ერთ დილას, ჩვეულებისამებრ რომ დავიარებოდი ბაზარში რძისა და ხაჭოს საყიდლად, ჩემი ყურადღება 6-7 წლის შავტუხა გოგონამ მიიქცია, ბებიის ხნის ქალთან ერთად სოფლის შარას რომ მოუყვებოდა. ბავშვს ლურჯად ჭრელ ჩითის კაბაზე შეცრეცილი წითელი ჟაკეტი ეცვა და ეტყობოდა, დილის სუსხისაგან სციოდა. ერთსა და იმავე დახლთან შევჩერდით და ყველს რომ ვსინჯავდი გემოთი, დიდქალურად, საყვარლად მითხრა: ქალბატონო დეიდა, ეს მოუხდელი რძისააო.

ამ ქალბატონო დეიდაზე სიცილი ვარ შევიკავე, მაგრამ იმწამსვე შევამჩნიე ბავშვის არაჩვეულებრივად ლამაზი, ციდან ჩამოკრეფილი ვარსკვლავების ნამსხვრევებით სავსე თვალები. არა, სავსე კი არ ჰქონდა, ძალიან ლამაზ ჭრილში პირდაპირ თვალებად ესხდა ვარსკვლავები. არაბუნებრივად უელავუცინოდა, რაც დილის სუსხსა და წელანდელ მის ნათქვამს ნაკლებად ესადაგებოდა. ასე გავიცანი და მერე ველარ დავივიწყე. ამ ერთი შეხვედრით დავიმახსოვრე და მესამე-მეოთხე შეხვედრით უკვე შევიყვარე ეს ვარსკვლავთვალება გოგო, ანგელოზივით რომ ღუღუნებდა და წლიდან-წლამდე, ზამთარ-ზაფხულ თავისზე დიდი და თურმე ნათხოვარი ფანდურით დადიოდა სიმღერის მასწავლებელთან. მისი უილბლობა და ბედი თუ უბედობა იყო, სხვა რა უნდა დაარქვა, როცა სიცოცხლეში საკუთარი ფანდურიც ვერ ეღირსა — მისთვის ყველაზე საჭირო ინსტრუმენტი.

ასე თუ იყო განზრახული უფლისაგან, რომ ჩვენი ცხოვრება ძალიან გადაეჯაჭვა ერთმანეთს...

გაცნობიდან ძალიან მალე ჩემი ბიძაშვილი მათი რძალი გახდა და ახლა უკვე მარტო შორიდან კი არ ვაკვირდებოდი, უშუალოდ ვეხებოდი და მეხებოდა მისი ცხოვრება.

ერთხელ მამამისს ისიც შევბედე, მე მომეცით-მეთქი ეს გოგო გასაზრდელად, დასაკვალიანებლად და ფეხზე დასაყენებლად და უარი მივიღე. ეს უარი გონებამ კი გაიკვირვა და უხმოდ კიდეც გააპროტესტა, რადგან ბავშვის მომავლისათვის ასე აჯობებდა, მაგრამ იქვე გულმა გაიგო და გაამართლა. მეც, ალბათ, ასე მოვიქცეოდი. შორიახლოდან, როგორც შემეძლო, მაინც ვზრუნავდი და ბოლომდე ვიხარჯებოდი მისთვის.

მისი ოჯახი და წინაპრები — ერთპირად ყველა მღეროდა და არც მისი სიმღერა უკვირდა ვინმეს. ჩვეულებრივად, კანონზომიერებად, გენეტიკურ ნიშნად თვლიდნენ. არადა, ეს ბავშვი ბევრად მეტი იყო. გენეტიკური ნიშნით გამორჩეული მისი და-ძმანი იყვნენ. თეო უნიკალური მოვლენა იყო თავისი ნიჭითა და წინააღმდეგობრივი ხასიათით. ერთ წამს რომ ხალხის ჯარის სული და გული იყო, მეორე წამს სავსებით სწყდებოდა რეალობას, განდგომილი, განაპირებული, ხალხს გაურბოდა და თავის საოცნებო, ბუნებრივ მდგომარეობაში ეფლობოდა.

პირველად ასეთ თეოს მის ბავშვობაში შევესწარი. დაბის განაპირას, ლამის ტყის პირას, მათი ძველი სახლის აივანზე იდგა იმავე ლურჯადჭრელი კაბით, სიფრიფანა, თხელი, ასაფრენი ჩიტივით ცისკენ თავ და ხელებაშვერილი და არაამქვეყნიური ხმით არამიწიერსავე, უსიტყვო მელოდიას მღეროდა.

მიწაზე არ იყო. ვერც ცაში. გამტარი იყო ცასა და მიწას შორის. მხოლოდ მისთვის გასაგებ ბგერებს მელოდიად გარდაქმნიდა და გალობდა. არაფრით განსხვავდებოდა უფლისჩიტასგან. ჩემი მთის ბულბული — ფშავლისქალა გალობდა...

ჩვენ კიდევ... შვილობა, ცოლობა, დობა, დედობა, მეგობრობა, ნათესაობა დავავალეთ, მოვინდომეთ, ჩვენნაირი, ჩვეულებრივი ადამიანივით მიწაზე, ოჯახზე, ქმარ-შვილსა და საზოგადოებრივ აზრზე ბედნიერებად სახელდებული ხუნდით მიჯაჭვულს ეცხოვრა. ყოველდღიური წვრილმანებით გაბეზრებულს, მარტო ჟამი-ჟამ მიეყურადებინა მხოლოდ მისი სმენისათვის განკუთვნილი სხვა სამყაროს ჟღერისათვის...

მეორედ ჩემთან შევესწარი მის გალობას, ბუნებასთან მის თანაზიარობას.

ქვედა ეზოში, დიდი პანტის ქვეშ ვისხედით. ის ჯარჯით სავსე, ძალიან ლამაზი, მწიფე და სურნელოვანი იჯდა და ჯარჯისავე პერანგს ქარგავდა.

მე ლექსებს ვუკითხავდი. დროდადრო მომანათებდა თავის ვარსკვლავთვალებს და უცნაურად იღიმოდა, მერე მავთულბადის მიღმა, თავიანთ მიტოვებულ ეზოში, მსხმოიარე მწიფე გულაბებს გახედა და მოინატრა: ნეტა, მამაჩემი ამ გულაბების ნამყენებს გააკეთებდესო. აქ რომ სახლს ავაშენებთ, ამეებს არ დავაჭრევინებო. ჰოდა, იმ გულაბებით ხელსავსემ, წყაროთხევიდან ამომავალმა, ჯერ კვლავ ის არამიწიერი ხმა გავიგონე, მერე ივრის გაღმა, ვანათის ლურჯ გორს თვალმიშტერებული თეოც დავინახე.

საქარგავი კალთიდან დასცურებოდა, იჯდა გადანათებული, გადაკაშკაშებული, ხელები ისევ მზისა და ცისკენ ჰქონდა გაწვდილი და კვლავ უსიტყვოდ გალობდა.

სასწაული სანახავი იყო ბუნებასთან მისი სრულ ჰარმონიაში ყოფნა-ქმნადობის პროცესი. ყველაზე ლამაზი, ყველაზე სრულქმნილი, ყველაზე ნამდვილი, ყველაზე თვითონ მაშინ იყო.

ახლოს რომ მივედი, დღემდე გულსა და ყურში შემორჩენილი ის მელოდია დამთავრებული ჰქონდა. შემომცინა და დაინანა, ფანდური რომ წამომეღო, ახალი სიმღერის მელოდიას გიმღერებდიო. მაშინ გავიგე, რომ ფანდურს, რომელიც მე მუდამ მისი მეგონა, მეზობლებისაგან თხოულობდა ნახევარწლობით. მაშინვე დაერქვა იმ პანტას „თეოს საფანდურე“ და დღესაც, პავლიკოსაგან ბოლმიან გულზე მოჭრილსა და იქვე მიგდებულს, ისევ „თეოს საფანდურე“ ჰქვია.

ამ პანტის ქვეშვე ყავის ფინჯნით მჯდომარს მითხრეს თეოს ტრაგიკული სიკვდილის ამბავი ზუსტად ერთი წლის მერე.

ელდა თუ იყო, რამაც სიმართლის უშუალოდ უბედური დედამისისაგან გასაგებად, გაუაზრებლად, სირბილით გამატარა სიონამდე გზა მხოლოდ იმ სასწაულზე გაოცებით, რომ ამ ამბის გაგებამდე ათი წუთით ადრე ვკითხულობდი თეოს ნამღერის მოსმენით აღტაცებული ბაზელის უმაღლესი მუსიკალური კოლეჯის დირექტორის მიერ უჩვეულოდ და ძალიან საბედისწეროდ გამოთქმულ შეფასებას: „ეს არქაული ტემბრი არის ღმერთის წყალობა და რა ბედნიერია ერი, ვისაც დღეს კიდევ მიეცა ეს ხმა სამყაროდან. ასეთ ხმას არ შეიძლება გამოსცემდეს მიწიერი არსება. სასწრაფოდ მაჩვენეთ ეს გოგონა!“

ათი წუთის წინ და რა ვიცოდი, რომ იმ წუთებშიც, როცა ჰანს ფიუეგი ამას წერდა, თეო აღარ იყო მიწიერი. მის მგალობელ სულს ფრთა ჰქონდა გაშლილი იმ ცისა და იმ სამყაროსაკენ, საითაც მუდამ გაიყურებოდა და რომელსაც ერთვოდა მომღერალი, საიდანაც იყო მიწაზე მოვლინებული არამიწიერი ჰანგების სასწაულებრივი ხმით ჩვენთვის სამღერლად და აქ დასატოვებლად.

## „შავნაბადამ“ გურიაში იმღერა

ეკა ირემაშვილი

ანსამბლმა „შავნაბადამ“ გურიაში, ლანჩხუთის კულტურის ცენტრში, სოლოკონცერტი გამართა.

ანსამბლის პრესსამსახურის მაიკო ღუღუნიშვილის განცხადებით, კონცერტზე წარმოდგენილი იყო ლანჩხუთელი მომღერლების, ხუხუნაიშვილების მიერ შესრულებული სიმღერები, რომელიც 1913 წელს ინგლისურმა ფირმამ „გრამაფოუნ“ ჩაიწერა.

— ერთი საუკუნის შემდეგ ანსამბლმა „შავნაბადამ“ ლანჩხუთში პირველად შეასრულა ეს სიმღერები. ხუხუნაიშვილების რეპერტუარიდან შესრულდა „ხასანბეგურა“, „აი ოდელიე“, „ყარანა“ და „მაყრული“. ასევე კონცერტში მონაწილეობდნენ ადგილობრივი მომღერლები და ხუხუნაიშვილების სახელობის სალოტბარო სკოლის მოსწავლეები. საყურადღებოა ისიც, რომ სიმღერებში იქნა ანსამბლის მიერ შეტანილი ინტერპრეტაციები და არა ზუსტი კოპირება, — განმარტა მაია ღუღუნიშვილმა.

ფოლკლორული ანსამბლი უკვე 8 წლისაა. მისი წევრები ბიჭუნათა ანსამბლების „მართვესა“ და „ბიჭების“ აღზრდილები არიან. ანსამბლის რეპერტუარი მოიცავს როგორც ხალხურ სიმღერებსა და დასაკრავებს, ასევე საეკლესიო გალობას.

ანსამბლის წევრები თბილისის ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში გალობენ. ისინი ტაძრის საპატრიარქო გუნდის შემადგენლობაში შედიან და მონაწილეობას იღებენ კათოლიკოს-პატრიარქის მიერ შესრულებულ ყველა ღვთისმსახურებასა და მომლოცველობით მოგზაურობაში, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ.

ანსამბლის პრესსამსახურის წარმომადგენლის თქმით, ანსამბლმა სოლოკონცერტი კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართა. ლანჩხუთს ანსამბლი „შავნაბადა“ სოლოკონცერტით ამჯერად უკვე მეორედ ეწვია. კონცერტის მედიაპარტნიორობა კი საზოგადოებრივმა რადიო 1-მა ითავა.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# ალმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის მინისტერიალი დასრულდა

ეკა ირემაშვილი

თბილისში ალმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის მინისტერიალი დასრულდა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ და ევროკომისარმა განათლების, კულტურის მულტილინგვალიზმისა და ახალგაზრდობის საკითხებში ანდრულა ვასილიუმ სპეციალურ პრეს-კონფერენციაზე შეაჯამეს ალმოსავლეთ პარტნიორობის მეოთხე პლატფორმის ფარგლებში კულტურის პირველი მინისტერიალი და მედიის წარმომადგენლებს სამომავლო გეგმები გააცნეს. მინისტერიალის ფარგლებში ბოლო დღეს გაიმართა რამდენიმე სესია, რომელთა თემები იყო: კულტურა, როგორც პოლიტიკური რეფორმებისა და სოციალური განვითარების ვექტორი; კულტურა, როგორც ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის ვექტორი; ევროკავშირის ინსტრუმენტები და საერთაშორისო თანამშრომლობა – სამომავლო პერსპექტივები.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ევროკავშირის მიერ ორგანიზებული, ალმოსავლეთ პარტნიორობის – მოლდოვა, უკრაინა, ბელორუსი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი – მეოთხე პლატფორმის ფარგლებში კულტურის პირველი მინისტერიალი თბილისში გაიმართა.

– აღნიშნული მაღალი რანგის კონფერენცია წარმოადგენს მნიშვნელოვან ეტაპს ალმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში კულტურის როლის წარმოჩენისა და რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოს მდგრადი განვითარებისთვის კულტურის როლის გააზრებისა და ზოგადად, ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გზაზე. კულტურის მინისტერილი ალმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში პირველად გაიმართა და ალმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონს ოფიციალური ვიზიტით პირველად ეწვია განათლების, კულტურის, მულტილინგვალიზმისა და ახალგაზრდობის საკითხებში ევროკომისარი ანდრულა ვასილიუ, – განაცხადა გურამ ოდიშარიამ.

მინისტერიალის ფარგლებში სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში შედგა კულტურული ღონისძიებები, რომელიც გურამ ოდიშარიამ გახსნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ მინისტერიალში მონაწილე მიწვეული სტუმრები. პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი იყო ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტი და ოქროს ფონდის დათვალიერება.

ამავე ღონისძიებების ფარგლებში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი შეხვდა პოლონეთის რესპუბლიკის კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის მინისტრს ბოგდან ზდროჟევსკის. მხარეებმა ისაუბრეს რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე, მათ შორის, პოლონელი ექსპერტების ჩართვის შესაძლებლობაზე კულტურის პოლიტიკაზე მუშაობის გაზიარების თვალსაზრისით; კულტურული მემკვიდრეობის სფეროში გამოცდილების გაზიარებაზე რეაბილიტაციის კუთხით; მრავალწლიანი დაბალპროცენტიანი კრედიტზე ძეგლებზე განსახორციელებელი სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის; შემოქმედებით ინდუსტრიებზე მუშაობის გამოცდილების გაზიარებაზე; კულტურის პოპულარიზაციის კუთხით გამოცდილების გაზიარებაზე, კერძოდ, პოლონეთში არსებული ადამ მიცკევიჩის ინსტიტუტის მუშაობის მოდელის გააზრებაზე; ომის დროს, ან ზოგადად ქვეყნიდან უკანონოდ გატანილი ან დაკარგული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ნივთების დაბრუნებაში გამოცდილების გაზიარებაზე; მთარგმნელობით თანამშრომლობაზე, რაც გულისხმობს პოლონელი მწერლების ქართულად და ქართველი მწერლების პოლონურ ენაზე თარგმნას და ბოლგარსკების სასახლის, გარიყულაში, რესტავრაციის თემაზე.

გურამ ოდიშარია სომხეთის კულტურის მინისტრს ჰასმიკ პოღოსიანსაც შეხვდა. საუბარი შეეხებოდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და სომხეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროებს შორის, 2013 წლის 17 იანვარს გამფორმებულ ხელშეკრულებას რომელიც ორ ქვეყანას შორის 2013-2015 წლებში კულტურის სფეროში თანამშრომლობას გულისხმობს. მხარეებმა ასევე ისაუბრეს საქართველოში სომხური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და სომხეთის ტერიტორიაზე ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის შესახებ.

მინისტერიალის ფარგლებში შედგა შეხვედრა ლიტვის კულტურის მინისტრთან შარუნას ბირუტისთან. ამ შეხვედრაზეც მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის გეგმებზე ისაუბრეს.

როგორც მინისტერიალის დასასრულს გახდა ცნობილი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია ჟურნალისტებს კიდევ ერთხელ შეხვდება და სამინისტროს საქმიანობას გააცნობს. მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრა პროექტის „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობა“ ფარგლებში პირველ ივლისს გაიმართება.



როგორც „ახალ თაობას“ კულტურის სამინისტროში განუცხადეს, გურამ ოდიშარია ისაუბრებს სამინისტროს პოლიტიკაზე, უკვე განსაზღვრულ პრიორიტეტებზე და ამ მიმართულებით განხორციელებულ და დაგეგმილ პროგრამებსა და პროექტებზე.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა პირველი შეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან 24 აპრილს გაიმართა, სადაც უკვე განხორციელებული პროექტები გააცნო და ასევე იმ პრიორიტეტებზე ისაუბრა, რასაც სამინისტრო მომავალში განახორციელებს.

გურამ ოდიშარია რამდენიმე დღით, სამუშაო ვიზიტით, საქართველოს რეგიონებს სტუმრობდა. ჩამოსვლისთანავე მინისტრი, მოადგილეებთან ერთად, პირადად შეხვდა კინორეჟისორ ლევან ანჯაფარიძეს, რომელიც უკვე რამდენიმე დღეა კულტურის სამინისტროს წინ შიმშილობს და თავად მოისმინა მისი პრეტენზიები. რეჟისორმა, მინისტრის რჩევით, ოფიციალური წერილით მიმართა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

როგორც ცნობილია, რეჟისორი პროტესტს უცხადებს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ კონკურსს და რამდენიმე დღეა, კულტურის სამინისტროს წინ სწორედ ამის გამო შიმშილობს.

გურამ ოდიშარიამ საკითხი მოადგილეებთან და აპარატის უფროსთან ერთად განიხილა. შეხვედრის შედეგად გადაწყდა, რომ მინისტრის ბრძანების საფუძველზე კულტურის სამინისტროში შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც განიხილავს ლევან ანჯაფარიძის საჩივარს.

კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა საპატრიარქოს ფოლკლორულ ანსამბლ „ბასიანის“ სოლოკონცერტი, სადაც შედგა ანსამბლის უახლესი ნამუშევრის, აუდიო ალბომის „102 ქართული ხალხური სიმღერა და ტრადიციული საგალობელი“ პრეზენტაცია.

საქართველოს საპატრიარქოს ფოლკლორული ანსამბლი „ბასიანი“ ჩამოყალიბდა 13 წლის წინ უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით. სახელწოდება „ბასიანი“ ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი რეგიონიდან მომდინარეობს. ეს მხარე ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე, ქალაქ ერზრუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით იმყოფება. 1203 წელს სწორედ აქ მოხდა საქართველოს სამეფო ლაშქრის სახელოვანი ბრძოლა თურქების წინააღმდეგ. მოპოვებულმა გამარჯვებამ კიდევ უფრო განამტკიცა იმდროინდელი საქართველოს პოზიციები ახლო აღმოსავლეთში. ანსამბლი „ბასიანი“ თბილისის ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდის შემადგენელი ნაწილია და პატრიარქის მიერ ყოველ აღვლენილ ღვთისმსახურებაში მონაწილეობს. ბასიანი დაკომპლექტებულია ახალგაზრდა მომღერლებით საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. მათი უმრავლესობა ტრადიციული მომღერალთა ოჯახის წარმომადგენელია. ამასთან ერთად, ანსამბლის წევრებს ბავშვობიდან აქვთ გავლილი საშემსრულებლო სკოლა ხალხური სიმღერის სხვადასხვა ანსამბლში. „ბასიანი“ ასრულებს ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ტრადიციულ საგალობლებს, აცოცხლებს მათ უნიკალური საარქივო, ფონო და სანოტო ჩანაწერებიდან, ასევე უშუალოდ შეისწავლის სიმღერებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოღვაწე უფროსი თაობის გამოჩენილი ლოტბარებისა და მომღერლებისაგან. ანსამბლი ეწევა აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილ ეთნომუსიკოლოგებთან. თავისი მოღვაწეობის მანძილზე, სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალის მიწვევით „ბასიანმა“ იმოგზაურა მსოფლიოს 20-მდე ქვეყანაში და გამართა 200-ზე მეტი კონცერტი, – განმარტავენ კულტურის სამინისტროში.

ამჟამად ანსამბლის წევრები არიან გიორგი დონაძე (ანსამბლის ხელმძღვანელი), ზურა წკრიალაშვილი (ხელმძღვანელის თანაშემწე), გელა დონაძე (ანსამბლის დირექტორი), პაატა ცეცხლაძე (ანსამბლის სოლისტი), გიორგი გაბუნია (კრიმანჭული, გამყივანი), ელიზბარ ხაჩიძე (კრიმანჭული), ბეჟან მესხი, ლაშა მეტრეველი, ზურაბ მექვაბიშვილი, გიორგი მექვაბიშვილი, სერგო ურუშაძე, გიორგი ხუნაშვილი, ირაკლი ტყვაცირია, შოთა აბულაძე და ბათუ ლომინაძე.

მარტში ანსამბლმა კონცერტი გამართა დიმიტრი შოსტაკოვიჩის სახელობის სანკტ-პეტერბურგის აკადემიური ფილარმონიის დიდი დარბაზში, სადაც ჩატარდა საერთაშორისო ფესტივალი „მართლმადიდებლური მუსიკის აკადემია“. ღონისძიება ალექსანდრე ნეველის სახელობის ლავრის 300 წლისთავისადმი მიძღვნილ დიდმარხვის კონცერტებს, ყველიერის კვირას დაეთმო.

ანსამბლმა თავის ერთგულ მსმენელს ისიც აუწყა, რომ შეიქმნა „ბასიანის“ ოფიციალური იუთუბი არხი, სადაც შესაძლებელია სიახლეების გამოწერა და ანსამბლის უახლესი ვიდეოების გაცნობა.

# გია ბუღაძემ მასტერკლასი ჩაატარა

ეკა ირემაშვილი

ქართველმა მხატვარმა გია ბუღაძემ დაინტერესებული საზოგადოებისთვის მასტერკლასი ჩაატარა. ახალგაზრდული ორგანიზაცია „არტ ვეი“-ის პროექტის ფარგლებში „მასტერკლასები თანამედროვე ხელოვნებაში“ მორიგი ღონისძიება გაიმართა.

– ამჯერად ჩვენ დაინტერესებულ საზოგადოებას შევთავაზეთ მასტერკლასი თანამედროვე მსოფლიო მხატვრობის მიმართულებით, რომელსაც უძღვებოდა ქართველი ფერმწერი გია ბუღაძე. მასტერკლასის ფარგლებში, ბატონმა გიამ პროექტის მონაწილეებს გააცნო თანამედროვე მხატვრები, მათი შემოქმედება, თანამედროვე მხატვრობის ძირითადი მიმართულებები და პერსპექტივები, – განაცხადა პროექტის კურატორმა ნინო ჩხაიძემ.

მისივე თქმით, ამ პროექტის მიზანია ახალგაზრდების დაინტერესება, გააქტიურება და ინფორმირება თანამედროვე ხელოვნების სფეროსთან დაკავშირებული საკითხებით. პროექტის ფარგლებში უკვე ჩატარდა ორი მასტერკლასი თანამედროვე კლასიკური მუსიკისა და თეატრის მიმართულებით, ხოლო მორიგი და საბოლოო, პროექტის დასკვნითი ღონისძიება ჩაინიშნა თანამედროვე მსოფლიო კინოსთან დაკავშირებით, რომელსაც უძღვებოდა ცნობილი კინომცოდნე გოგი გვახარია.

პირველი სემინარი მაისში ჩატარდა და ის მოწვეულმა თეატრმცოდნემ ლაშა ჩხარტიშვილმა ჩაატარა. მან ახალგაზრდებს თანამედროვე მსოფლიო თეატრთან დაკავშირებით ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა, ისაუბრა თანამედროვე მსოფლიო თეატრის ჟანრების, ტენდენციების, ფორმების და პერსპექტივების შესახებ.

პროექტის ფარგლებში, ასევე, დაიგეგმა სემინარები თანამედროვე კინოს, მუსიკისა და სახვითი ხელოვნების მიმართულებით, რომელსაც გაუძღვებიან: კინო – გოგი გვახარია;

სახვითი ხელოვნება – გია ბუღაძე; მუსიკა – ხათუნა მანაგაძე.

– ჩვენ გვსურს ახალგაზრდების ინფორმირება თანამედროვე ხელოვნების მიღწევებით, მათი გააქტიურება აღნიშნული კუთხით და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზების ხელშეწყობა. პროექტი ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში, აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, – აღნიშნავს ნინო ჩხაიძე.

# კითხვის დღე გალაკტიონს მიეძღვნა

ეკა ირემაშვილი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ინიციატივით, მორიგი კითხვის დღე ქართული პოეზიის მეფედ აღიარებულ გალაკტიონ ტაბიძესა და მის შემოქმედებას მიეძღვნა.

ღონისძიება ამჯერად თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში ჩატარდა, სადაც შეკრებილებმა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება ერთობლივად განიხილეს. როგორც ცნობილია, კითხვის დღეს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნი“ და ინტელექტუალური კლუბი „წიგნის მეგობრები“ ერთობლივად ატარებენ.

კითხვის დღეს ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა და შეხვედრის დასაწყისში ახალგაზრდებმა ბიბლიიდან ერთი თავი წაიკითხეს და მხოლოდ შემდეგ დაიწყეს გალაკტიონის პოეზიის განხილვა.

ისევე, როგორც გასულ შაბათს, ამ ღონისძიებასაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ესწრებოდა. მასთან ერთად თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში იმყოფებოდნენ სპეციალურად ამ ღონისძიებაზე მიწვეული სტუმრები და ასევე მხატვარი და მწერალი რეზო ემილიანე ადამია.

– გალაკტიონი უდიდესი პოეტია. მართალია, თავად პოეტს არ ვიცნობდი, თუმცა შემიძლია მისი ცხოვრებიდან რამდენიმე ეპიზოდი მოვყვე. ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ გალაკტიონის შესახებ, მაგრამ გალაკტიონი მაინც სულ სხვა არის. გალაკტიონი, უპირველეს ყოვლისა, დიდად მორწმუნე ადამიანი იყო. თქვენ იცით, რომ აღსასრული მისი ძალიან რთული იყო: ის გადავარდა თუ გადააგდეს, თუ რა მოხდა. ძალიან მძიმედ აწვა ეკლესიას ის ფაქტი, რომ გალაკტიონს არ ჰქონდა წესი აგებული და ჩემ დროს მოხდა მისთვის წესის აგება. ის ადამიანი, რომელმაც დაწერა დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ, როგორ შეიძლება ღმერთმა არ შეიწყალოს?! მოხარული ვარ, რომ დღეს ჩვენ ერთად ვართ და ვიხსენებთ მის სახელს. რამდენიც არ უნდა ვიკითხოთ, ჩვენ მაინც ვერ მივწვდებით მის სიმაღლეებსა და სიღრმეებს. მაგრამ გალაკტიონი ძალიან ახლოს არის ჩვენთან, განსაკუთრებით ჩემთან, იმიტომ, რომ მე აღვავლინე პირველი ლოცვა გალაკტიონისთვის. მისი სული შეგეწიოთ თქვენ და საქართველოს. მე მოხარული ვარ, რომ დღეს ჩვენ ერთად ვართ და ვიხსენებთ მის სახელს და ეს

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## განცხადებები

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ პაციენტისგან ფარულად მის ულუფა საკვებში, წვენებში, წვნიანებში, წყალში ფხვნილის, ნაყენისა და წვენების სახით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-65-43-66; 577-34-62-94 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა, ლამბლიოზი-ჭიები, ნაღვლის ბუშტის ანთება, ნაღვლის წვენის დისკინეზია, ნაღვლის ბუშტიდან შლაკებისა და წვრილი კენჭების გამოდევნა, გაუვალობა, შებერილობა, ღვიძლის გასუფთავება, ნაწლავების გაწმენდა მცენარეული, უსაფრთხო, ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ: 599-65-43-66; 577-34-62-94 ექიმი ნინო.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათკვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ვაკისაუზთან ევროსტანდარტით აშენებულ ახალ სახლში, 78 კვ. 3/18, ყველანაირი ტექნიკით, საკუჭნაო-გარდერობით, 24-საათიანი დაცვით, ეზოს ვიდეო-კონტროლით. ფასი 1000 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

# ფედერაციამ გუნდებს გადასახადი მოუხსნა

სასტუმრო „ჰოლიდეი ინში" ჩატარდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 22-ე ყრილობა, რომელზეც განსახილველად გატანილი იყო 10 საკითხი.

1. ყრილობის დღის წესრიგის დამტკიცება;
2. პრეზიდენტის მოხსენება;
3. სფფ-ის 22-ე ყრილობის ოქმის დამტკიცება;
4. წინა ყრილობიდან სფფ-ის აღმასკომის მიერ გაწეული საქმიანობის აუდიტი;
5. აუდიტის დასკვნის დამტკიცება;
6. ფინანსური ანგარიშის დამტკიცება;
7. ბიუჯეტის დამტკიცება;
8. დამოუკიდებელი აუდიტის დანიშვნა;
9. სფფ-ის აღმასრულებელ კომიტეტში არსებული ვაკანსიის შევსების შესახებ;
10. სფფ-ს წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

ყრილობას დაესწრო უეფას აღმასკომის წევრი სლოვაკი ფრანტიშეკ ლავრინეცი.

მასმედია ყრილობას საწყისი 15 წუთი დაესწრეს. მარტვილის „მერანის" პრეზიდენტმა ფრიდონ ინჯიამ დასაწყისშივე დღის წესრიგში ცვლილების შეტანა და რიგგარეშე არჩევნების საკითხზე მსჯელობა მოითხოვა. თუმცა, კენჭისყრის შედეგად, მხარი არავინ დაუჭირა.

როგორც შემდეგ გაირკვა, გადაწყდა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები იმ შემთხვევაში ჩატარდება, თუ ამას სფფ-ის სუბიექტთა ორი მესამედი მოითხოვს.

ამჟამად ფედერაციის სუბიექტთა რაოდენობა 35-ია და მათ წარმომადგენლებს ყრილობაზე ხმის უფლება აქვთ. შესაბამისად, მინიმუმ 24-მა დელეგატმა უნდა მოითხოვოს, რომ რიგგარეშე არჩევნები გაიმართოს. აქამდე პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნა სუბიექტების მეხუთედს შეეძლოთ, თუმცა, ამის გარდა, კიდევ დამატებითი პროცედურები იყო გასავლელი.

ყრილობის დელეგატთა გადაწყვეტილებით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ყოფილი მინისტრის ლადო ვარძელაშვილისა და დავით ნამგალაურის ნაცვლად აღმასკომის წევრად თბილისის „დინამოს" პრეზიდენტი რომან ფიფია და ვეტერანი ფეხბურთელი სერგო კუტივაძე აირჩიეს. აღმასკომში კიდევ ერთ წევრად იმერეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვალერი მანაგაძე დაამტკიცეს.

სიჭინავას თქმით, აღმასკომის 3-4 წევრით გაზრდა იგეგმება. ამიერიდან ფეხბურთის ფედერაციის ნებისმიერ სუბიექტს უფლება ექნება, რომ აღმასკომში თავისი კანდიდატურა დააყენოს და არჩევნები გადაწყვეტს, მას მხარს დაუჭერენ თუ არა. მისი განმარტებით, ასეთი ნაბიჯი იმიტომ გადადგეს, რომ საფეხბურთო კლუბებს აღმასრულებელ კომიტეტში მეტი წარმომადგენელი ჰყავდეთ.

პრესკონფერენციაზე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა დომენტი სიჭინავამ განაცხადა, რომ უმაღლესი ლიგის კლუბებს ჩემპიონატში მონაწილეობის საწევრო თანხა, 40.000 ლარი მოეხსნათ. მომავალ სეზონი სტარტს 10 აგვისტოს აიღებს და უმაღლეს ლიგაში 12 გუნდი ითამაშებს. კვლავ შენარჩუნებულია პირველი ეტაპის დასრულების მერე ექვსეულებად დაყოფის პრინციპი. განვლილი სეზონის მსგავსად, საპრიზო ფონდი მილიონი ლარი იქნება. გამკაცრდება კლუბების ლიცენზირების პროცესი და ვინც ფედერაციის მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს, საშინაო მატჩების ჩასატარებლად სხვა არენის ქირაობა მოუწევს.

ყრილობას არ დასწრებია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი. სფფ-ის პრეზიდენტის განმარტებით, მინისტრმა არაერთხელ განაცხადა, რომ ფედერაციის მუშაობაში არ ერევა და არც დაუპატიჟებიათ, თუმცა მან და არველაძემ სპორტის სამინისტროს დახმარებისთვის მადლობა გადაუხადეს.



**ზვიად სიჭინავა, სფფ-ს პრეზიდენტი:**

— აღმასკომში მივიღეთ ორი წევრი — ლადო ვარძელაშვილის ნაცვლად რომან ფიფია, ხოლო დავით ნამგალაურის ნაცვლად სერგო კუტივაძე. წესდებაში შევიდა ცვლილება, ამიერიდან ნებისმიერ კლუბს ექნება უფლება, წარმოადგინოს თავისი კანდიდატურა აღმასკომში. შესაძლოა წევრების რიცხვი გაიზარდოს და 3-4 დაემატოს. როგორც იცით, სამინისტროსთან ერთად ვმუშაობთ სოლიდარობის პროექტზე, რომლის მიხედვითაც ყველა კლუბი თანაბრად უნდა დაფინანსდეს. გვპირდებიან, რომ წლის ბოლომდე გადაწყდება ეს საკითხი. უმაღლესი ლიგის კლუბებს საწევრო გადასახადი (40.000 ლარი) მოეხსნება. საპრიზო თანხა კი ჯერჯერობით კვლავ 1 მილიონი ლარი იქნება. ვმუშაობთ იმაზეც, რომ ეროვნული ჩემპიონატი გაშუქდეს. იყოს გამოყოფილი სატელევიზიო დრო ამ მატჩებისთვის. ეროვნული ჩემპიონატი 10 აგვისტოს დაიწყება. 2 აგვისტოს კი გაიმართება აღმასკომის სხდომა. მანამდე ჩვენ შევამოწმებთ სტადიონებს. არც ერთი კლუბი, რომელიც არ აკმაყოფილებს შიდა ლიცენზიას, არ იქნება დაშვებული ჩემპიონატში. არსებობს სტადიონები, რომლებიც აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს. ასეთი შვიდია — ზესტაფონის, ქუთაისის, „მიხეილ მესხის", „დინამოს", „მეტალურგის", გორის, „ვიტ ჯორჯიას" სტადიონები. ჩვენ პოლიტიკის გარეშე ვმუშაობთ, ასე ვიყავით ბოლო სამ წელიწად-ნახევარი. ლევან ყიფიანმა განაცხადა, რომ არ ერევა სფფ-ს საქმიანობაში, შესაბამისად, ამიტომ არ ესწრებოდა ყრილობას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სამინისტრო ყოველთვის გვიწევდა დახმარებას.

არველაძის ინფორმაციით, თუ შარშან ფეხბურთის ფედერაციის ბიუჯეტი 13.800.000 ლარი იყო, წლეულს 7.000.000 ლარი იქნება.

**რევაზ არველაძე, სფფ-ს გენერალური მდივანი:**

— ბიუჯეტის პროექტი არის დაკომპლექტებული იმ თანხისგან, რაც ფედერაციამ მიიღო სახელმწიფოსგან. შარშანდელთან შედარებით, სფფ-ს დაფინანსება განახევრებულია. გასულ წელს 13,8 მილიონი ლარი იყო, ახლა არის 7 მილიონი. ცვლილებები არის აღმასკომის წევრების არჩევასთან დაკავშირებით. შემოვედით ინიციატივით, რომ არ იყოს აღმასკომის წევრების ჩანაცვლება, თითო წევრს ექნება უფლება, დაასახელოს თავისი კანდიდატი. ასევე ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, რიგგარეშე არჩევნები ჩატარდება იმ შემთხვევაში, თუ ყრილობის დელეგატების ორი მესამედი დაუჭერს მხარს, აქამდე ერთ მეხუთედს შეეძლო. ძალიან კონსტრუქციული და საქმიანი იყო დღევანდელი ყრილობა. თვალნათლივ იქნა ნაჩვენები გაკეთებული და გასაკეთებელი პროექტები. მნიშვნელოვანია, რომ ესოდენ დიდი რანგის სტუმარი გვყავს. ეს დოკუმენტაცია გაფორმდება და უეფასა და ფიფაში გაიგზავნება.

ფრანტიშეკ ლავრინეცი, უეფას დელეგატი:

— ჩვეულებრივი ვიზიტია, რომლითაც არა მარტო ვალდებულება მოვიხადეთ, ჩვენ დავაფიქსირეთ ჩვენი დამოკიდებულება ფედერაციის მიმართ, ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებ. მადლობა მინდა გადავუხადო სფფ-ს. კმაყოფილების გრძნობით მინდა ვთქვა, რომ ფედერაციის დამოუკიდებლობა სახეზეა. მათი მუშაობა მოგვწონს, კმაყოფილები ვართ, დღევანდელმა ყრილობამ ეს დაადასტურა.

# ლევან ყენია: „ბუნდესლიგაში დაბრუნება მინდა!"

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა ლევან ყენიამ დიუსელდორფის „ფორტუნასთან" 2 პლუს 1-წლიანი პრინციპით გააფორმა კონტრაქტი გააფორმა. 22 წლის ქართველი ფეხბურთელი გასულ ხუთშაბათს ჩავიდა გერმანიაში, სამედიცინო შემოწმება გაიარა და და მომდევნო დღეებში კონტრაქტიც გააფორმა.

ლევანი „ფორტუნაში" 10 ნომერი იქნება.

ყენიას ახალი კლუბი მეორე ბუნდესლიგაში თამაშობს. დიუსელდორფელებმა გასული სეზონი ბუნდესლიგაში ბოლოსწინა ადგილზე დაასრულეს და გავარდნენ.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგის საფეხბურთო კლუბ დიუსელდორფის „ფორტუნას" მთავარი მწვრთნელი მიხაელ ბიუსკენსი კმაყოფილია, რომ ლევან ყენიამ არჩევანი მის კლუბზე შეაჩერა.

**მიხაელ ბიუსკენსი:**

— ლევანი ჩვენთვის მისაღებია, როგორც ახალგაზრდა და პერსპექტიული ფეხბურთელი. ის სრულიად მიესადაგება „ფორტუნას" კონცეფციას — 22 წლისაა და ჯერ კიდევ თავისი კარიერის საწყის ეტაპზეა. თუმცა, დიდი გამოცდილება აქვს მიღებული და გერმანულ ფეხბურთს იცნობს, რადგან „შალკეში" თამაშობდა, თან გერმანულად საუბრობს. ყენიას ძლიერი მხარეა, რომ მას მწვავე პასის გაკეთება შეუძლია და მუდამ მეტოქის კარისკენ ეძებს გზას. გვიხარია, რომ ჩვენ აგვირჩია.

გერმანული გამოცემების ინფორმაციით, დიუსელდორფელებს ყენიას შეძენა 400.000 ევრო დაუჯდათ. მანამდე ისინი ქართველის სანაცვლოდ ლვოვის „კარპატის" 250000 ევროს სთავაზობდნენ და უარი მიიღეს.

გარდა ამისა, „კარპატის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ქართველი ფეხბურთელის „ფორტუნადან" სხვა კლუბში გადასვლის შემთხვევაში, ლვოველებს ტრანსფერიდან თანხის 30 პროცენტი ერგებათ.

ყენიამ ახალი გუნდის შემადგენლობაში ერთი მატჩის ჩატარება უკვე მოასწრო. „ფორტუნამ" ტესტ-მატჩში 12:1 მოუგო გერმანიის ობერლიგელ „ვესსელ ლაკჰაუზენს" და ერთი გოლი ლევან ყენიამ გაიტანა. 22 წლის ქართველმა ფორვარდმა ბოლო ნახევარი საათი გაატარა მინდორზე და შეხვედრაში ბოლო გოლი მიითვალა.

„ფორტუნას" ვებგვერდის ცნობით, მატჩის საუკეთესო გოლი სწორედ ყენიასი იყო.

კლუბის ვებგვერდზე ქართველი ფეხბურთელის ინტერვიუც გამოქვეყნდა.

***— გერმანიიდან ერთი წელია, რაც წასული ხართ. მაშინ ფიქრობდით, რომ უკან კვლავ დაბრუნდებოდით?***

— რა თქმა უნდა. ბუნდესლიგაში დაბრუნება ყოველთვის მსურდა. უკრაინაში ერთი წელი გავატარე. ეს სპორტული კუთხით ჩემთვის ძალიან კარგი იყო. მნიშვნელოვანია ის, რომ იქ კვლავ მქონდა თამაშის შესაძლებლობა. ახლა გერმანიაში ბედს კიდევ ერთხელ ვცდი და ამას მოუთმენლად ველი.

***— რამდენად წაგადგათ ლვოვურ კლუბში რეგულარულად თამაში?***

— ეს ჩემთვის მართლაც ძალიან კარგი იყო. ტრავმის გამო, სამწლიანი შესვენების შემდეგ, მნიშვნელოვანი იყო, მოედანზე დავბრუნებულიყავი და კვლავ მეთამაშა. ბოლოს და ბოლოს, შევძელი, რომ კვლავ დავიბრუნე საკუთარი ძალების რწმენა და ჩემი საუკეთესო სათამაშო ფორმის აღდგენის გზაზე ვარ.

***— როგორ განხორციელდა თქვენი ტრანსფერი „ფორტუნაში"?***

— ამაში გადამწყვეტი როლი მთავარმა მწვრთნელმა მიხაელ ბიუსკენსმა ითამაშა. ის ჩემი მწვრთნელი იყო „შალკეს" ახალგაზრდულ გუნდში, სადაც არაერთი მატჩი ჩამიტარებია. ამ ხნის განმავლობაში ერთად ბევრი ვიმუშავეთ. იგი ძალიან კარგი ადამიანი და მწვრთნელია.

***— კონტრაქტი რომ გააფორმეთ, კლუბის საშინაო არენა „ესპრიტ ზეც" იყავით. როგორია პირველი შთაბეჭდილება?***

— ეს მართლაც საუცხოო სტადიონია. ვიმედოვნებ, წარმატებული სეზონი გვექნება და ჩვენს საშინაო მატჩებს ბევრი გულშემატკივარი დაესწრება. ამ არენაზე პირველ თამაშს მოუთმენლად ველოდები.

***— რა მიზნები გაქვთ დიუსელდორფულ კლუბში?***

— ბუნდესლიგაში თამაში ყოველთვის ჩემი ოცნება იყო. კლუბში ბუნდესლიგაში დაბრუნება სურთ. შევეცდებით, ამ მიზანს ერთობლივი ძალისხმევით მივაღწიოთ.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | |
|---|---|
| ბრანი-ულფი | 6:1 |
| მიოლდე-სარპსბორგი | 3:1 |
| სტრომგოდსეტი-ტრომსო | 3:1 |
| სონგდალი-ჰონეფოსი | 1:1 |

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლიმერიკი-დანდალკი | 3:2 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| ტორონტო-სოლტ ლეიკი | 0:1 |
| ფილადელფია-დალასი | 2:2 |
| დ.დ.იუნაიტედი-ვანკუვერი | 0:1 |
| მონრეალი-კოლორადო | 3:4 |
| კანზასი-კოლამბუსი | 3:2 |
| სან ხოსე-ლოს ანჯელესი | 3:2 |
| ჩივასი-ნიუ ინგლანდი | 1:1 |

**ჩოგბურთი**

**უიმბლდონი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| დელ პოტრო-ზემლია | 7:5;7:6;6:0 |
| ჰაასი-ლოპესი | 4:6;6:2;7:5;6:4 |
| ფერერი-დოლგოპოლოვი | 6:7;7:6;2:6;6:1;6:2 |
| ჯოკოვიჩი-ჩარდი | 6:2;6:2;6:2 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| ლისიცკი-სტოსური | 4:6;6:2;6:1 |
| კანეპი-რისკე | 6:2;6:3 |
| ლი-ზაკოპალოვა | 4:6;6:0;8:6 |
| უილიამსი ს.-დატე კრუმი | 6:1;6:0 |

# მამუკა კვარაცხელია: „საჭიროა აფხაზეთის გუნდები!"

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგით 22-ე ყრილობაზე, სხვა საკითხებთან ერთად, რიგგარეშე არჩევნების საკითხიც განიხილეს. ამიერიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები იმ შემთხვევაში ჩატარდება, თუ ამას ფეხბურთის ფედერაციის სუბიექტთა ორი მესამედი მოითხოვს. სფფ-ს დამფუძნებელი და თბილისის „დინამოს" მედიაოფიცერი მამუკა კვარაცხელია აღნიშნული ცვლილებას არ ეთანხმება.

მამუკა კვარაცხელია:

— ის, ვინც ფეხბურთში ფიგურირებს და ჯანსაღ სიტყვას იტყვის, აღმასკომის წევრი უნდა იყოს. კარგია რომ დღეს რომან ფიფია გაწევრიანდა, მაგრამ, სამწუხაროდ, აღმასკომში ფუტსალიდან წევრი არ არის. აუცილებელია, აღმასკომმა წერილობით მიმართოს პარლამენტს. მათხოვრულად მარტო ფული კი არ უნდა ითხოვონ, არამედ მოითხოვონ, რომ ბიზნესმენები, რომლებიც ქართულ ფეხბურთში ფულს ჩადებენ, შეღავათები დაუწესდეთ. ამის შესახებ ფხაკაძემ ძალიან კარგად ჩამოაყალიბა. თუ სახელმწიფოს ფული არ ჰყოფნის, მაშინ ბიზნესმენები უნდა წაახალისოს, რომ ქართული ფეხბურთი განვითარდეს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ყრილობაზე დავაყენე, აფხაზეთის გუნდების აღდგენაა. ცხინვალის გუნდი, „სპარტაკი" არსებობს, ასევე „გაგრა", რომელსაც ბესო ჩიხრაძე ასპონსორებს, ადამიანი, რომელიც თავის ცოლ-შვილს აკლებს და გუნდს ზედ ჰყვება. ეს ყველაფერი ქართულ ფეხბურთს გაუწევს პოპულარიზაციას.

ამასთან, უნდა მოხდეს რეგიონებში ყველა საფეხბურთო მოედნის აღრიცხვა. მკაცრად უნდა გაკონტროლდეს, ნებართვის გარეშე არათუ შენობები არ უნდა აშენდეს, არამედ ბალახიც კი არ უნდა მოწყვიტონ.

ამ დღეებში ამ ყველაფერს წერილობით ჩამოვაყალიბებ და სფფ-ს გავუგზავნი.

# ზესტაფონელები ფეხბურთის დაბრუნებას ითხოვენ, გეგუჩაძე ბრუნდება

როდესაც სასტუმრო „ჰოლიდეი ინში" სფფ-ის 22-ე ყრილობა მიმდინარეობდა, გარეთ „ზესტაფონის" 150-მდე ფანი საპროტესტო აქციას მართავდა და კლუბის გადარჩენას ითხოვდა.

სფფ-ის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა მომიტინგეებსაც შეხვდა, დახმარებასა და სპორტის სამინისტროსთან შუამდგომლობასაც დაჰპირდა.

**ზვიად სიჭინავა:**

— გულშემატკივრებთან შეხვედრით კმაყოფილი როგორ უნდა ვიყო, როცა ქვეყნის ორგზის ჩემპიონის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას და გუნდი შესაძლოა უმაღლეს ლიგას გამოაკლდეს. ზესტაფონელ ქომაგებს კიდევ ერთხელ ავუხსენით, რომ უამრავი წერილი გვაქვს გაგზავნილი მთავრობაშიც, სპორტის სამინისტროშიც, ადგილობრივ მუნიციპალიტეტშიც. კიდევ დავურეკავ ილია კოკაიას, ადგილზეც ჩავალთ და ყველაფერს გავაკეთებთ გუნდის გადასარჩენად. „ზესტაფონი" ღირსია იმისა, რომ უმაღლეს ლიგაში თამაშობდეს და ჩვენს ქვეყანას ევროთასებზე წარმოადგენდეს.

**კოტე ბოჭორიშვილი, ზესტაფონის გულშემატკივართა კლუბის ლიდერი:**

— მართალია, მძიმე ვითარებაში ვიმყოფებით, თუმცა იმედს არ ვკარგავთ, რომ ფეხბურთის ფედერაცია გვერდში დაგვიდგება და „ზესტაფონი" ისევ საქართველოს საუკეთესო გუნდებს შორის ისევ ითამაშებს. ზვიად სიჭინავამ ჩვენს მუნიციპალიტეტსაც გაუგზავნა წერილი, მაგრამ მათ ამ პროექტისთვის საკმარისი თანხა არ გააჩნიათ. ჩვენ მაინც გვჯერა და თბილისშიც ამ იმედით ჩამოვედით, რომ საჭირო სახსრები გამოინახება და გუნდი არ დაიშლება.

**სერგო ფუტკარაძე, ზესტაფონის პრესსამსახურის ხელმძღვანელი:**

— ბოლო დროს გავრცელდა ინფორმაცია ჩვენი გუნდის ვითომდა ავსტრიული შეკრებისა და თითქოს აზერბაიჯანელი ლეგიონერის დამატების თაობაზე. გეტყვით, რომ ეს სიმართლეს არ შეეფერება, შეკრება კი არა, გუნდს ჯერ ვარჯიშიც არ დაუწყია. დენის დავალიანებას ვერ ვისტუმრებთ, საბანკო ანგარიშები დაყადაღებული გვაქვს, რომელ შეკრებაზეა საუბარი.

**კობა კობაიძე, „დინამოს" ფან-კლუბის წევრი:**

— მე, ზოგადად, ქართულ ფეხბურთს ვუცხადებ მხარდაჭერას. უბრალოდ, დღეს ამ კონკრეტულ გუნდს უჭირს. მოვითხოვთ, „ზესტაფონთან" ერთად ყველა იმ გუნდს დაეხმარონ, ვინც ფინანსურ კრიზის განიცდის. თუ აფინანსებ ერთს, მაშინ ყველა უნდა დააფინანსო. ამ შემთხვევაში „დილა" დააფინანსეს მეტით, ვიდრე სხვა რომელიმე კლუბი. ვსვამ კითხვას, რა დააშავეს ფოთის „კოლხეთმა", „ზუგდიდმა", „მეტალურგმა", „ვიტ ჯორჯიამ", „სიონმა" და ა.შ. მადლობა ღმერთს, დღეს „დინამოს" არ უჭირს, ჰყავს პატრონი, მაგრამ საჭიროა, კერძო კლუბი გათავისუფლდეს გადასახადებისგან. მესმის ილია კოკაიას ქმედების, ადამიანი 9 წელია გუნდს აკეთებს. „ზესტაფონის" ბაზა ნანახი მაქვს და არ მინდა, განადგურდეს. თუ ჩემპიონატში ძლიერი კონკურენტი არ გვეყოლება, რა აზრი აქვს. ჩვენ გვახსოვს ცალი ფეხით მოგებული ჩემპიონატი. რა შედეგიც გამოიღო ამან ევროპაზე, მოგეხსენებათ. აუცილებელია, რომ საქართველოს ჩემპიონატი გაძლიერდეს და გვყავდეს რამდენიმე ძლიერი გუნდი. ამ შემთხვევაში ექნება აზრი ევროპაზე გასვლას?

როგორც ჩანს, „ზესტაფონში" ცვლილებები მართლაც იქნება და, გულშემატკივართა გასახარად, გუნდი კვლავ ითამაშებს უმაღლეს ლიგაში. კლუბში სიახლეებისთვის უკვე ემზადებიან. როგორც ცნობილი გახდა, მათ მომავალ სეზონში გამოცდილი სპეციალისტი გია გეგუჩაძე გაწვრთნის.

შეგახსენებთ, რომ 48 წლის გია გეგუჩაძე ბოლოს ქუთაისის „ტორპედოს" თავკაცი გახლდათ, მანამდე კი, 3 წლის განმავლობაში, ის სწორედ ზესტაფონურ კლუბს წვრთნიდა და მასთან ერთად იმერლები საქართველოს ჩემპიონებიც გახდნენ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ფოლკლორის ცენტრი ახალ პროექტს იწყებს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი ახალ პროექტს იწყებს, რომლის პრეზენტაციაც რეგიონებში გაიმართება. 2, 3 და 4 ივლისს იმერეთში, გურიასა და აჭარაში ჩატარდება ღონისძიება, რომელიც მიეძღვნება თემას „რეკომენდაციები რეგიონების კულტურის სამსახურების შესახებ“.

მსგავსი შეხვედრა უკვე შედგა კახეთში, სადაც დემოკრატიული განვითარების ცენტრში, კახეთის რეგიონის – საგარეჯო, გურჯაანი, თელავი, ყვარელი, ახმეტა, ლაგოდეხი, სიღნაღი, დედოფლისწყარო – კულტურის ცენტრებისა და კულტურის სამსახურის მუშაკთათვის, გაიმართა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ახალი პროექტის პრეზენტაცია.

წარდგინებას ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. რეკომენდაციების მნიშვნელობაზე შეკრებილთ ესაუბრა საქართველოს ფოლკლორის ცენტრის დირექტორის მოადგილე სოფიო ლობჟანიძე. საქართველოს ფოლკლორის ცენტრის სპეციალისტებმა და პროექტის ხელმძღვანელებმა ეთერ თათარაიძემ, ოთარ კაპანაძემ და უჩა პატარიძემ თავთავიანთი დარგების მიხედვით გააანალიზეს რეკომენდაციების თითოეული დებულება ანუ მუხლი და მისი შესრულების აუცილებლობა.

ამავე პროექტის წარდგინება შედგა რუსთავის მერიაშიც. შეკრებას ესწრებოდნენ რუსთავისა და ქვემო ქართლის რეგიონის ფოლკლორის ცენტრებისა და და კულტურის სამსახურების მუშაკები. რეკომენდაციები წარადგინეს საქართველოს ფოლკლორის ცენტრის დირექტორმა გიორგი უშიკიშვილმა და რეგიონებთან ურთიერთობის კოორდინატორმა ოთარ კაპანაძემ.

– დარბაზის აქტიურობამ ცხადყო, თუ რაოდენ დროულია საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მხრიდან ასეთი რეკომენდაციების შემუშავება და რეგიონების ფოლკლორის სპეციალისტებისათვის მიწოდება, – განაცხადა გიორგი უშიკიშვილმა.

ფოლკლორის ცენტრის შემოქმედებით ბაღში პირველ ივლისს 90-იანი წლების ცნობილი ტელეწამყვანის პოეტ ლალი ხვედელიანის პოეზიის საღამო შედგება. შეკრებილი საზოგადოება მოისმენს პოეტის მიერ შექმნილ ახალ და ძველ ნაწარმოებებს.

საკუთარი შემოქმედების წაკითხვას ველარ შეძლებს მსმენელისთვის ცნობილი ხევსური მელექსე მამუკა არაბული, რომელიც ცენტრის ცნობით, გასულ კვირას გარდაიცვალა. იგი ფოლკლორის ეროვნული პრემიის ლაურეატი იყო და „თაველექათ მამუკად“ იწოდებოდა.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხალხური შემოქმედების ბაღში გაიმართა „ფოლკლორის ეროვნული სკოლის“ კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვების საზეიმო კონცერტი და დიპლომების გადაცემა.

საღამო გახსნა ფოლკლორის ეროვნული სკოლის დირექტორმა ნატა გულალაშვილმა.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა გიორგი უშიკიშვილმა დიპლომები გადასცა კურსდამთავრებულთა ორ ჯგუფს (პედაგოგები ელზა გაუარაშვილი, ლევან ჟღენტი).

კონცერტში, ფოლკლორის ეროვნული სკოლის მოწაფეებთან ერთად, მონაწილეობდა ქუთაისის ფოლკლორის ცენტრთან არსებული ფოლკლორის ეროვნული სკოლის მოსწავლეები (ფოლკლორის ცენტრის დირექტორი ზეინაბ ბურჯანაძე, პედაგოგები ქეთევან ბანცაძე და ლევან გერსამია).

ფოლკლორის ცენტრი არც თავის ამაგდარ და იუბილარ ხელოვანებს ივიწყებს. გასულ კვირას 76 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ ქორეოგრაფსა და ქორეოლოგს რეზო ჭანიშვილს. ის საქართველოს ქორეორგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ქორეოგრაფიული ანსამბლის „მერანის“ დამაარსებელი და უცვლელი ხელმძღვანელია.

– ჩვენი ცენტრი ულოცავს ბატონ რეზო ჭანიშვილს დაბადების დღეს. უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და შემოქმედებით სიხარულს, – აცხადებს ცენტრის ხელმძღვანელი.



საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს არც ქორეოგრაფიული ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელის უჩა დვალიშვილის დაბადების დღე და 60 წლის იუბილე დავიწყებია.

– ჩვენი ცენტრის სახელით ვულოცავ ბატონ უჩას დაბადების დღეს და 60 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და შემოქმედებით სიხარულს. ბატონ უჩა დვალიშვილის ღვაწლი და დამსახურება დიდია ქართული ხალხური ცეკვის წინაშე: ქორეოგრაფია – ქორეოლოგიის აღორძინების, წინსვლისა და მომავალი თაობის აღზრდის საქმეში, – განაცხადა გიორგი უშიკიშვილმა.

საქართველოში კიდევ ერთი ცნობილი და ღირსეული ქორეოგრაფი ფრიდონ სულაბერიძე რუსთაველის პრემიის ლაურეატი გახდა.

– საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი ქართული ცეკვის რაინდს ფრიდონ სულაბერიძეს ულოცავს რუსთაველის პრემიის ლაურეატობას. ფრიდონ სულაბერიძემ თავისი განუმეორებელი შემოქმედებითა და ღვაწლით, შეუდარებელი „ქართულითა“ და ფრიდონისეული გასმით, ღირსეულად დაიმსახურა ქართულ სინამდვილეში ერთ-ერთი ყველაზე საპატიო და ღირსეული ჯილდო – რუსთაველის პრემია და ყველაზე მთავარი: ქართველი ერის სიყვარული და პატივისცემა, – განაცხადა ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელმა.

ცენტრის საგამოფენო დარბაზი დაეთმო მხატვარ მეგი გვენეტაძის პერსონალურ გამოფენას, სადაც წარმოდგენილი იყო მაღალპროფესიულად, ფილიგრანული მეთოდით შესრულებული 84-მდე ნამუშევარი, მათ შორის, დეკორატიული გრაფიკა, მოხატული ჭურჭელი და სუვენირები.

მრავალფეროვანი ღონისძიებების პარალელურად, ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი უშიკიშვილი აგრძელებს საავტორო გადაცემას, რომლის სტუმრებიც ქართული ფოლკლორული სამყაროს წარმომადგენლები არიან. გიორგი უშიკიშვილის საავტორო გადაცემას უკვე სტუმრობდა ფოლკლორისტი და ფილოლოგი ელენე გოგიაშვილი.

საგანგებო გადაცემა მიუძღვნა ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელმა ეთნომუსიკოლოგისა და ეთნოლოგის გიგი გარაყანიძის გარდაცვალების წლისთავს.

– გიორგი გარაყანიძემ, ახალგაზრდობის მიუხედავად, ღრმა კვალი დატოვა ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობასა და ქართული ეთნომუსიკის თეატრის საწყისების შესწავლაში, ამიტომაც ჩვენ გადაცემაში სტუმრად მოვიწვიეთ ანსამბლ „მთიების“ წევრები მაგდა კევლიშვილი (გიგი გარაყანიძის მეუღლე) და ჯოკია გუგავა, – განმარტა ცენტრის ხელმძღვანელმა.

სეზონის ბოლო და შემაჯამებელი გადაცემა განსაკუთრებული სტუმრებით დაკომპლექტდა: მუსიკოლოგიის დოქტორი, პროფესორი თამაზ გაბისონია, ქორეოგრაფი, ქორეოლოგი, პროფესორი, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე – რეზო ჭანიშვილი და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ფოლკლორისტი ამირან არაბული.

## საერთაშორისო

# აშშ-ში ათეიზმს პირველი ძეგლი გაუხსნეს

აქტივისტების ჯგუფმა ქალაქ სტარკში (ფლორიდის შტატი) ათეიზმს პირველი ძეგლი გაუხსნა: ადგილობრივი ათეისტები ასე შეარიგეს იმასთან, რომ ქალაქში ათი მცნების ძეგლი დგას.

„ამერიკელი ათეისტების“ ჯგუფმა ადრე სასამართლოს მიმართა მოთხოვნით, რომ ადგილობრივი ქრისტიანული თემის მიერ დადგმული ძეგლი აეღოთ. ათეისტებმა განაცხადეს, რომ უშუალოდ საოლქო სასამართლოსთან ძეგლის განთავსება, ამერიკული სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად პრინციპს – ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფას არღვევს.




სასამართლომ ვანდალიზმი არ დაუშვა, მაგრამ ბალანსისთვის ათეისტებს საკუთარი ძეგლის დამონტაჟების უფლება მისცა. ახლა ძეგლები სასამართლოს შენობასთან, ერთმანეთის გვერდიგვერდ დგას – ათეიზმის ძეგლის გახსნას ქრისტიანული თემის პროტესტი თან სდევდა.

როგორც ათეისტები ამტკიცებენ, ეს აშშ-ში ულმერთობის პირველი ძეგლია, რომელიც სახელმწიფო მიწაზე მდებარეობს. ძეგლი გრანიტის სკამს და პოსტამენტს წარმოადგენს.

გ. მ.

# კითხვის დღე გალაკტიონს მიეძღვნა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

სიტკბო მის სახელზე მოგართვით, ბრძანა მისმა უწმინდესობამ.

ილია მეორემ ბიბლიოთეკაში შეკრებილ საზოგადოებას ტკბილეული მიართვა. ტრადიციულად, კითხვის დღეს ლიტერატურული კონკურსიც მოეწყო. თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში გამარჯვებულები წიგნებით დააჯილდოვეს, რომელიც მაღაზიათა ქსელმა „ბიბლუსმა“ დააწესა. საუკეთესოები „ჩემი რჩეულის“ სერიიდან გალაკტიონის ტომებით დაჯილდოვდნენ. ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულ გუნდს საზოგადოებრივმა რადიომ საშუალება მისცა, გალაკტიონის ერთ-ერთი ლექსი ჩაწეროს, რომელიც შემდგომ რადიოეთერში იტრიალებს.

ილია მეორე ინიციატივით, რომ შაბათი კითხვის დღედ დაწესებულიყო, სულ ახლახან გამოვიდა. საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში „წიგნის მეგობრების“ კლუბის პრეზენტაციაც მოეწყო. შეხვედრას მისი უწმინდესობაც დაესწრო. მან წიგნის კითხვის მნიშვნელობაზე ისაუბრა და შეკრებილ საზოგადოებას კურთხევა მისცა, დღეში ბიბლიის ერთი თავი წაიკითხონ.

– ბიბლია წიგნთა შორის პირველი წიგნია. აუცილებელია პატარებს წიგნის კითხვა შევაყვაროთ და ეს უნდა მოხდეს ზღაპრების მეშვეობით. ბევრ მწერალს ვთხოვე, დაეწერათ ზღაპრები, თუმცა მათ ლექსების წერა უფრო ეადვილებათ. ზღაპარში სიბრძნე უნდა იყოს და სიკეთე უნდა იმარჯვებდეს. მინდა გავიხსენო ჩემი სტუდენტობის წლები რუსეთის სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში. მაშინ სტუდენტთა ერთი ნაწილი ზეპირად იმახსოვრებდა ლექციებს, ნაწილი კი ბიბლიოთეკაში დადიოდა და წიგნებს კითხულობდა. მათ შორის ძალიან დიდი განსხვავება იყო. ჩვენი სასწავლებლები ახალგაზრდებს ვიწრო ცოდნას აძლევენ. სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ცოდნის მიღება პირიქით, ფართოვდება. წიგნის დღედ შაბათი რომ დაწესდა არ ნიშნავს, რომ წიგნი მხოლოდ შაბათს უნდა წავიკითხოთ. მსურს ოჯახებში ლიტერატურული საღამოებიც მოეწყოს, რომლის დროსაც რამდენიმე ოჯახი ერთად შეიკრიბება, მიირთმევენ ჩაის. წიგნის კითხვა ადამიანს ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში დაეხმარება, რაც ჩვენს ცხოვრებაში ანალიტიკური უნარისთვის აუცილებელია, – განაცხადა საქართველოს პატრიარქმა.

ამავე საღამოზე მსახიობმა გოგი ხარაბაძემ აუდიოწიგნების პრეზენტაცია მოაწყო.

– დისკებზე გამოიცა ბიბლია, სახარება, ქართველი კლასიკოსების აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის პოეზიის აუდიოჩანაწერები და ახალგაზრდებს მოუწოდებ, რომ მათ მოუსმინონ. ახლახან გამოიცა ზღაპრები ბავშვებისათვის აუდიოდისკებზე. ორ დისკზე ჩაწერილია ქართული ზღაპრები, ასევე ინდური, ჩინური და ევროპული ზღაპრები, – აღნიშნა მსახიობმა.

როგორც მისმა უწმინდესობამ ბრძანა, საზოგადოებას წერა-კითხვის კულტურა აკლია:

– 10 უმაღლესი სასწავლებელი რომ დაამთავროს ადამიანმა, თუ წიგნის კითხვა არ იცის, ეს სასწავლებლები ვერაფერს მოუტანს, ამიტომ ამ საკითხს უნდა მიხედოთ. წიგნს ძალიან დიდი ძალა აქვს და ადამიანმა ის არ უნდა დაივიწყოს. წიგნი უნდა იყოს თქვენი მუდმივი თანამგზავრი და პირველი მეგობარი. შაბათს განსაკუთრებით უნდა ვილოცოთ და ვიკითხოთ, თუმცა როცა თავისუფალი დრო გვაქვს, ყოველთვის უნდა ჩავხედოთ წიგნს და ამოვწეროთ ბრძნული გამონათქვამები. ტელევიზორმა და ინტერნეტმა დღეს ძალიან გაიტაცა ჩვენი ახალგაზრდობა. ბევრი ვიცით, მაგრამ არა სიღრმისეულად. როგორც პეპელა დაფრინავს ერთი ყვავილიდან მეორეზე, ისე ვართ. საზოგადოებას წერა-კითხვის კულტურა აკლია და არის შემთხვევები, როდესაც ადამიანი უმაღლესს ამთავრებს, თუმცა არ იცის, სად დასვას სასვენი ნიშნები ან როგორ გამოიყენოს ციტირება. ხშირია, როდესაც ადამიანი იწერს სხვა წიგნიდან და თავის ნათქვამად მიიწერს, რაც დაუშვებელია. შესაძლოა, გაგიჩნდეთ კითხვა, რომელი წიგნებიდან უნდა დაიწყოთ. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ბიბლია. იქ არის დიდი სიღრმე, სიბრძნე, სულიერება და ცხოვრების წესები. დღეში თითო თავი უნდა წაიკითხოთ. ჩვენი დიდი წინაპრები გრიგოლ ღვთისმეტყველი, ბასილი დიდი და იოანე ოქროპირი სწავლობდნენ და კითხულობდნენ ფილოსოფიურ წიგნებს და ამან დიდი შედეგი გამოიღო. ვისაც არ დაუწყია კითხვა, აუცილებლად დაიწყეთ, – აღნიშნა ილია მეორემ.




# სკანვორდი



1. პატარა ჭრელი ჩიტი; 2. ყაზახეთის დედაქალაქი 3. მარჩელო ...; 4. ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 5. მსახიობი; 6. ყვავილი; 7. კომში; 8. თავდები; 9. მდინარე ციმბირში; 10. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 11. ტყის მსხალი; 12. ომის უკუსიდიდე (ფიზ.); 13. პოლიციის წინამორბედი; 14. ხანა, ეპოქა; 15. ცირკის მოედანი; 16. ზმნის წარსული დრო; 17. მიწების მორწყვის სისტემა; 18. საწერი ქაღალდის რაოდენობის საზომი ერთეული; 19. სინათლის სიკაშკაშის ერთეული; 20. ... გიბსონი; 21. ფრანგული საწებლიანი საჭმელი; 22. საოპერო სოლო სიმღერა; 23. შვლის ნაშიერი; 24. მაუგლის მეგობარი გველი; 25. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი ამჟამინდელ თურქეთში; 26. ხაჭაპურის სახეობა; 27. ესპანურ-პორტუგალიური სამანძიანი ხომალდი; 28. აზრის გამოთქმა, გამოხმაურება; 29. შტატი აშშ-ში; 30. ნამუსი; 31. მწვავე ინფექციური დაავადება.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კომედია; 2. ბუღა; 3. დუვრი; 4. პითონი; 6. ჩოქბჯენი; 9. ბეკონი; 13. პოპლიკა; 14. გაუტამა; 15. მწყერი; 17. სევრი; 18. ტვინი; 20. ბიზე.

**თარაზულად:** 1. კობზარი; 5. აიაჩო; 7. ბულიმია; 8. მაღრიბი; 10. ეპოქა; 11. რანჩო; 12. ასკილი; 16. საბენა; 17. სკოტი; 19. პერო; 21. ბეკინა; 22. არსენა; 23. დინარი; 24. საუზმე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პაემანი; 2. ჭანები; 3. ფსალმუნი; 4. რაფინადი; 7. ყანდარელი; 8. ჟოეკვარა; 12. ნატამალი; 14. დიაგრამა; 16. რუსთავი; 17. პანკისი; 19. იავა; 20. აურა.

**თარაზულად:** 5. კავკასია; 6. დისპერსია; 9. პანამა; 10. ბოხუმი; 11. მედეა; 13. ნაიკი; 15. ლინატე; 18. რუმბა; 21. ბაკურიანი; 22. აბსურდი; 23. რაშკული.

# აკა მორჩილაძე ლიტერატურულ ღამეში ჩაერთვება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ის კვლევების ფრანგულ ინსტიტუტთან თანამშრომლობით საქართველოს ფრანგულმა ინსტიტუტმა, თბილისის საზოგადოებრივი კვლევის ცენტრთან და საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად ჩაატარა ანტუანეტა მარას (კალიარის უნივერსიტეტი) კონფერენცია თემაზე „ლინგვისტური უმცირესობები, ირედენტიზმი და ერის ფორმირება იტალიაში. კონფერენცია წარიმართა ფრანგულ ენაზე, ქართული სინქრონული თარგმანით. მისი მოდერატორობა ითავა თამარ მახარობლიძემ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სრულმა პროფესორმა.– ანტუანეტა მარამ დოქტორის ხარისხი ლინგვისტიკის განხრით პავის უნივერსიტეტში მოიპოვა. მან საკუთარ თეზისში გააანალიზა უმცირესობათა ენების შესუსტებისა და კვდომის ფენომენი (განსაკუთრებით მოლიზის სლავური ენებისა). ორი წელია მარა კალიარის უნივერსიტეტის თანამედროვე ენების დიდაქტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორია. კვლევებს წარმართავს როგორც სოციო-ლინგვისტიკის, ასევე გლოტო-დიდაქტიკის მიმართულებით. თუმცა ის წმინდად ლინგვისტური საკითხებით არის დაინტერესებული, ასევე პოლიტიკურ ლინგვისტიკაზეც მუშაობს; განსაკუთრებით კი ლინგვისტურ უმცირესობებში ლინგვისტური განათლების გავრცელების პრობლემებზე. ამასთან, ანტუანეტა გახლავთ თეორიული კვლევების ავტორი ენების წარმოშობასა და მათი ათვისების თავისებურებებზე, – აღნიშნა ფრანგული უნივერსიტეტის წარმომადგენელმა.

ფრანგულმა ინსტიტუტმა ეროვნულ მუზეუმში მორიგი კონფერენცია გამართა. ამჯერად შეკრებილ საზოგადოებას ესაუბრა ედიტ იბერი თემაზე „ფრანგები მე-19 საუკუნის იმერეთსა და სამეგრელოში“, მოდერატორი ჟილ კარასო, საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი. კონფერენცია წარიმართა ფრანგულ ენაზე, ქართული სინქრონული თარგმანით და მასზე დასწრება ნებისმიერ მსურველს თავისუფლად შეეძლო.

– ედიტ იბერი თურქების, ოტომანების, ბალკანელებისა და ცენტრალური აზიის კვლევის ცენტრთან არსებული რუსული, კავკასიური და ცენტრალურ ევროპული ხალხების კვლევის ცენტრის ასოცირებული წევრია. ისტორიის მესამე ციკლზე მან დაიცვა დოქტორის ხარისხი თემაზე „აღმოსავლეთის ხალხების პირველი კონგრესი“. ერთ ერთ გამომცემლობაში გაკეთებული პროფესიული კარიერის შემდეგ, სადაც მას ეკავა ენციკლოპედიებისა და ლექსიკონების რედაქციის, მათ შორის, ისტორიის, პოლიტიკის, რელიგიებისა და თავდაცვის სექტორებში, გენერალური მდივნის თანამდებობა, უკვე 10 წელია აგრძელებს კვლევებს კავკასიის მუსლიმანების, განსაკუთრებით მათი ინტელიგენციის, ისტორიასა და, აგრეთვე, ცარისტული პერიოდის ბოლოს რუსულ ორიენტალიზმზე, – აღნიშნავს მარიამ კვესელავა.

ფრანგულმა კინოკლუბმა კინოს მოყვარულებს შესთავაზა სტან ნოიმანის „ასტრონომის თვალი“, რომელიც ჟანრობრივად ისტორიული დრამაა.

– ფილმის სიუჟეტი ვითარდება 1610 წლის ზაფხულში. გალილეის მიერ გამოგონილი ერთ-ერთი პირველი ტელესკოპი გერმანული იმპერიის დედაქალაქ პრაღამდე აღწევს.

რუდოლფ მე-2 ის ასტრონომს, ჟან კეპლერს მიეცა, როგორც იქნა, შესაძლებლობა, ათი ღამის განმავლობაში გამოიკვლიოს ცა ამ ახალი გამოგონების საშუალებით და დაინახოს ის, რაც ჯერ მანამდე არავის დაუნახავს. ტერასა, სადაც კეპლერმა თავისი ობსერვატორია განათავსა, საიმპერიო კარის შეხვედრების ადგილად გადაიქცა. ღამიდან ღამემდე აქ მოდიან როგორც სპექტაკლზე, ტელესკოპში საჭვრეტად, იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულების მოსაწყობად. და ამ საერთო ფორიაქის შუაგულში, ჟან კეპლერი დაუღალავად მიჰყვება საკუთარ გაკვალულ გზას მეცნიერებასა და ცრურწმენას, თავისუფლებასა და შეუწყნარებლობას შორის. ფილმში მონაწილეობენ მსახიობები დენი ლავან (იოჰან კეპლერი), ელიზ კარონ (პრინცესა), მაქს ბესეტ დე მალგლევ (ბიჭუნა) და ერი რუტიე (ბერნარ). ფილმის რეჟისორია ფრანგი სტანისლავ ნიუმანი. ის პრაღაში დაიბადა, მაგრამ ცხოვრობს პარიზში და რიშარ კოპანთან ერთად უძღვება კოლექციას. ძირითადად დოკუმენტალისტია, მაგრამ, ამავე დროს, კითხულობს ლექციებს კოინოსკოლა ფემისში, – ამბობს მარიამ კვესელავა.

საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის მედიათეკა აგრძელებს თვის რჩეული წიგნის დასახელებას. მისი წარმომადგენლის განმარტებით, წიგნი უნდა ეკუთვნოდეს თანამედროვე ავტორს და შეიძლება იყოს რომანი, პოეტური კრებული, თეატრალური პიესა, ესეი, გამოფენის კატალოგი, ფოტოალბომი.

– ყველაზე ხშირად დასახელებული წიგნი თვის პირველ რიცხვში გამოცხადდება მკითხველთა რჩეულ წიგნად, ხოლო თვის პირველ პარასკევს მედიათეკაში მოხდება შეკრება და შთაბეჭდილებების გაზიარება წიგნის შესახებ ფრანგული ლიტერატურის სპეციალისტის თანდასწრებით. გარდა ამისა, ჩვენ ყველა დაინტერესებულ მსურველს ვიწვევთ ნიცაში ენის კურსებზე 11 – 24 აგვისტოს. მისი სრული ფასი 3900 ლარია, – აცხადებს მარიამ კვესელავა.

# ხორვატია ევროკავშირის 28-ე წევრი ქვეყანა გახდება

ხორვატიაში ფართომასშტაბიანი საზეიმო ღონისძიებები მიმდინარეობს. ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკის წევრი, ამჟამად დამოუკიდებელი ქვეყანა ხორვატია ევროკავშირში გაწევრიანებას ზეიმობს. ამის შესახებ ინფორმაციას „ბი-ბი-სი“ ავრცელებს. დღეს, ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში ევროპული ქვეყნების ლიდერები ჩადიან. ხვალ, 1-ლ ივლისს ხოვატია ოფიციალურად გახდება ევროკავშირის 28-ე წევრი ქვეყანა.




ქვეყნის ყველა მსხვილი პოლიტიკური პარტია და სამოქალაქო საზოგადოების დიდი ნაწილი მხარს უჭერს ხორვატიის ევროკავშირში გაწევრიანებას, თუმცა, როგორც „ბი-ბი-სის“ კორესპონდენტი აღნიშნავს, დიდი სიხარული რიგით მოქალაქეებს შორის არ შეიმჩნევა. ქვეყანაში უმუშევრობის დონე რეკორდულ ნიშნულს აღწევს. ხორვატიას მოუწია ძალიან მძიმე რეფორმების გადატანა და ამის ფონზე გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ რიგითი ხორვატების აღტაცება ევროკავშირით, ოდნავ გაფერმკრთალებულია.

ევროკავშირი გაფართოების პოლიტიკას განაგრძობს. ხორვატია ალიანსის 28-ე წევრი იქნება. ევროპის გაერთიანება საკუთარ რიგებში მისაღებად ოფიციალურ მოლაპარაკებებს იწყებს სერბეთთან და ასევე აპირებს, კოსოვოს მიანიჭოს ასოცირებული წევრის სტატუსი. გარდა ამისა, შემოდგომაზე თურქეთის ალიანსში გაწევრიანების მოლაპარაკებების ახალი რაუნდი დაიწყება.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერების გადაწყვეტილებით, ალიანსი უახლოეს თვეებში დაიწყებს ოფიციალურ მოლაპარაკებებს სერბეთთან მისი ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე.

სერბეთის ალიანსში გაწევრიანების განაცხადი დიდი ხნის განმავლობაში არ განიხილებოდა კოსოვოს საკითხთან არსებული გარემოებების გამო.

ევროპული საბჭო სერბეთთან მოლაპარაკების საერთო გეგმას არაუგვიანეს 2014 წლის იანვარში წარმოადგენს. ევროპული საბჭოს თავმჯდომარე ჰერმან ვან რომპუის თქმით, ოფიციალური მოლაპარაკებები სერბეთთან სწორედ ამ დროს დაიწყება.

ევროკავშირი ასევე მზადაა დაიწყოს მოლაპარაკებები კოსოვოსთვის ასოცირების შეთანხმების თაობაზე. ასოცირებული წევრობა სხვა ქვეყნებთან შედარებით კოსოვოს მისცემს მთელ რიგ პრივილეგიებს ევროკავშირთან სავაჭრო თუ სხვა ურთიერთობებისას. გარდა ამისა, ასოცირებული წევრობის შემდეგ სრულუფლებიან წევრობამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯიღა იქნება დარჩენილი.

შეგახსენებთ, რომ აპრილში სერბეთისა და კოსოვოს პრემიერ-მინისტრებმა, ევროკავშირის შუამდგომლობით, ხელი მოაწერეს შეთანხმებას მრავალწლიანი დაპირისპირების შემდეგ სიტუაციის ნორმალიზების თაობაზე. სწორედ ამის შემდეგ ევროკომისიამ მოუწოდა ევროკავშირს მიელო გადაწყვეტილება სერბეთის ალიანსში გასაწევრიანებლად ოფიციალური მოლაპარაკებების დაწყების შესახებ.

28 ივნისს გამართულ სამიტზე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებმა 2014 წლის 1 იანვრიდან ლატვიის ევროზონაში გაწევრიანებასაც დაუჭირეს მხარი. აღნიშნულის შესახებ, ჟურნალისტებს ლატვიის პრემიერ-მინისტრის პრესმდივანმა განუცხადა.

ნორმუნდ პანკეს თქმით: „ახლა ბრიუსელში მყოფი პრემიერი მილოცვებს იღებს“.

საბოლოო გადაწყვეტილება, ლატვიის ევროზონაში შესვლასთან დაკავშირებით, 9 ივლისს ევროკავშირის ფინანსთა მინისტრების საბჭოს სხდომაზე უნდა მიიღონ.

როგორც ცნობილია, ლატვიის ევროზონაში გაწევრიანებას მოსახლეობის 60%-ზე მეტი ეწინააღმდეგება.

# ჩრდილოეთი კორეის რაკეტები სეულამდე მიაღწევს




ჩრდილოეთ კორეამ სამხრეთ საზღარზე ახალი გამშვები სარაკეტო დანადგარები განალაგა, აცხადებენ სამხრეთ კორეული მედიასაშუალებები.

მასში ნათქვამია, რომ ეს რაკეტები 70 კმ-მდე ფრენის სიშორეს ფლობენ, ასე რომ, სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე დარტყმების განხორციელებისთვის შეიძლება გამოიყენონ, იტყობინება „ინტერფაქსი“.

სამხრეთ კორეის თავდაცვის სამინისტრომ ეს ინფორმაცია არ დაადასტურა.

ინკოგნიტო წყაროები აცხადებენ, რომ ჩრდილოეთ კორეა საზღვარზე საარტილერიო დანადგარებსაც ცვლის: მოძველებულებს ახალი, 240 მმ. კალიბრიანი დანადგარებით ცვლიან.

# ევროპარლამენტი აშშ სადაზვერვო სამსახურის საქმიანობით უკმაყოფილებას გამოთქვამს

ევროპარლამენტის პრეზიდენტის მარტინ შულცის განცხადებით, ახალი ბრალდებები იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო სამსახური აწარმოებდა ევროპელი პოლიტიკოსების ელექტრონულ თვალთვალს, შესაძლოა, ძალიან უარყოფითად აისახოს მხარეების სამომავლო თანამშრომლობაზე. ამის შესახებ ინფორმაციას „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

სკანდალი ევროპაში მას შემდეგ აგორდა, რაც პოპულარულმა გერმანულმა გამოცემა „შპიგელმა“ გამოაქვეყნა სტატია, სადაც საუბარია ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალური სამსახურის გაქცეული თანამშრომლის ედუარდ სნოუდენის მიერ წარმოდგენილ ახალ დოკუმენტებზე. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტის თანახმად, ამერიკის სადაზრვერო სამსახურმა სათვალთვალო მოწყობილობები დაამონტაჟა ვაშინგტონსა და გაეროში ევროკავშირის წარმომადგენლობების ოფისებში. აღნიშნული დოკუმენტების თანახმად, ამერიკის სპეცსამსახურები ასევე აწარმოებდნენ ევროპელი პოლიტიკოსების ელექტრონული მიმოწერის თვალთვალს.

თავის მხრივ, გერმანიის იუსტიციის მინისტრმა საბინა ლოიტხოისერ-შნარენბერგერმა დღეს, ამერიკის შეერთებული შტატებისგან განმარტება მოითხოვა, რაც უკავშირდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებულ ცნობას იმის შესახებ, რომ ვაშინგტონი ევროკავშირის ოფისების მოსმენებს აწარმოებდა. ამის შესახებ „ფრანს-პრესი“ იუწყება.

ისტორია ედუარდ სნოუდენის გარშემო დღითიდღე ახალ-ახალ სკანდალებს აგორებს. თავად ედუარდ სნოუდენი კი, რომელსაც ამერიკის სადაზვერვო სამსახურის საქმიანობის შესახებ საიდუმლო ინფორმაციის გავრცელების გამო სახელმწიფო ღალატისა და ჯაშუშობის ბრალდებით, სასამართლომ დაუსწრებლად შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა, ამ დრომდე თავშესაფარ ეძებს მესამე ქვეყანაში. ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურების ყოფილ თანამშრომელი მოსკოვის „შერემეტევოს“ აეროპორტის სატრანზიტო ფრენის ზონაში იმყოფება. ოფიციალური ვაშინგტონი დაჟინებით მოითხოვს სნოუდენის ამერიკის შეერთებულ შტატებში დაუყოვნებლივ ექსტრადირებას.



ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ეკვადორის პრეზიდენტთან რაფაელ კორეასთან სატელეფონო საუბარში აშშ სპეციალური სამსახურიების გაქცეული თანამშრომლის ედუარდ სნოუდენისთვის თავშესაფრის მინიჭების საკითხი განიხილა. ამის შესახებ ინფორმაციას „ბი-ბი-სი“ ავრცელებს. როგორც ცნობილია სნოუდენი თავშესაფრის მინიჭების თხოვნით სწორედ ეკვადორს მიმართავს.

ეკვადორის ლიდერის განცხადებით, ჯო ბაიდენმა მას სთხოვა, უარი უთხრას ედუარდ სნოუდენს თავშესაფრის მინიჭებაზე. თავის მხრივ, ოფიციალურმა ვაშინგტონმა საუბრის დეტალების გაჟღერებისგან თავი შეიკავა. კორეამ ასევე აღნიშნა, სნოუდენის მომავალი ბედი დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებაზე.

# ეგვიპტეში პრეზიდენტის გადადგომას ითხოვენ




ეგვიპტეში ათასობით დემონსტრანტი მასობრივ საპროტესტო აქციებში მონაწილეობის მიღებას აპირებს. „ბი-ბი-სის“ ცნობით, ისინი ეგვიპტის პრეზიდენტის მოჰამედ მურსის გადადგომას ითხოვენ.

მოწინააღმდეგეები მურსის ეკონომიკური პრობლემების გადაუჭრელობაში, ასევე მოქალაქეების უსაფრთხოების დაუცველობაში ადანაშაულებენ.

ოპოზიციის ინფორმაციით, 22 მილიონ ადამიანზე მეტმა, პეტიციას მოაწერ ხელი, რომლითაც ისინი ქვეყანაში ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს ითხოვენ.

აღნიშნული აქციის პარალელურად, აქციის გამართვას პრეზიდენტ მურსის მომხრეებიც აპირებენ.

ეგვიპტის არმია ხალხს აფრთხილებს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ისინი ჩარევას არ გამორიცხავენ.

მოჰამედ მურსი ეგვიპტის „თავისუფლებისა და სამართლიანობის პარტიის“ ლიდერია. 2000-2005 წლებში იყო ეგვიპტის პარლამენტის წევრი.

2012 წლის 24 ივნისს ეგვიპტის საარჩევნო კომისიამ მუჰამედ მურსი გამოაცხადა ქვეყნის ახალ პრეზიდენტად. კომისიის თანახმად, მორსიმ მცირე უპირატესობით აჯობა კენჭისყრაზე თავის მეტოქეს, აჰმედ შაფიკს – რომელიც ბოლო პრემიერ-მინისტრი იყო პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის მთავრობაში. კომისიის ცნობით, მორსიმ ხმათა 51.7 % მოიპოვა, შაფიკს კი 48.3 % ერგო.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 1 ივლისი**

07.30 „ჩვენი დილა“ (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ (პ/ე) 12.35 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „ჭორიკანა“ 17.00 „გურმანია“ 18.00 დ/ფ „ძვლების მკვლევარები“ 19.05 ტ/სერ „ნუ შეწყვეტ ოცნებას“ 21.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ 22.00 ტ/სერ „ნიკიტა“ 23.00 მხ/ფ „კარგი გერმანელი“ (ჯ.კლუნი) 01.00 „დღეს ორის ნახევარზე“

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები“ — „ბერნი“ 09.00 მხ/ფ „მე არ ვლაპარაკობ ინგლისურად“ (პ. ვილაჯო) 10.40 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები“ — „საფრანგეთი“ 11.10 მხ/ფ „კუზიანი“ (ჟ.მარე) 13.00, 16.00 დ/ფ „ადამიანის პლანეტა“ 3-4 ნაწ. 14.00 „ეპიცენტრი“ (შაბ. გ/ჩვ) 15.00, 17.00, 21.00 „ბრიფინგის დრო“ 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ 20.00 „მოამბე“ (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) (პ/ე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი“ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი“ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ფულთან თამაში (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „მაგნატები“. 19.05 მთავარი ფაქტორი 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 მთავარი ფაქტორი (პ/ე) (გაგრძელება) 23.00 სერ. „ლიკვიდაცია“ 9 სერ. 00.15 მხ/ფ. „გამოსასყიდი“ (მ.ბელო)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 შერეკილები. 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი“ 20.05 სერ „ერთგულების ძალა“ 22.00 „საქართველოს ვარსკვლავი“ 00.00 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 00.30 შიშის ფაქტორი 01.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები.

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.55 მხ/ფ „ვინ შეკაზმავს ცხენს“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.05 მხ/ფ „ჩვენი ეზო“ 13.30 „შუადღე“ ერთსულოვნებაზე 14.30 საქართველო არის ესე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 სპექტაკლი - „პატარა უფლისწული“ 16.40 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 17.05 დოკ/ფ „რუსთაველის ნაკვალევზე“ 18.10 ტელეზღაპარი 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „ხევისბერი გოჩა“ 20.40 ძილი ნებისა 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 22.25 საუბრები ლიტერატურაზე 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ/ფ „რა გაცინებს?!“ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 დოკ/ფ „ლაზეთის ბულბული“ 02.10 ირაო

მაესტრო 7.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 11.00, 22.20, 1.30 მაგთიფანი 12.50, 23.00, 3.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი“ 16.00 სერიალი „შტორმი“ 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ 19.00 სერიალი „1001 ღამე“ 22.00, 0.30, 5.30 „ყოველდღიური აბები“

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


1 ივლისი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6509

ევრო — 2,1566

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5160

100 რუსული რუბლი — 5,0472

**ამინდის პროგნოზი 1 ივლისისთვის**





# მალე! მალე! მალე! მალე! მალე! მალე!

## სერია „ეს სამყაროა“ „ახალ თაობასთან“ ერთად



გამოგონებები | რაინდები და ციხე-კოშკები | მწერები და ობობები | მფრინავები | ოკეანეები | პოლარული სამყარო | რეპტილიები | ტროპიკული ტყეები | ზვიგენები

# მ ა ლ ე !

## ლეგენდარული „მგლის ბილიკი“

## „ახალ თაობასთან“ ერთად


## აშშ-ში ჰაერის ტემპერატურამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია



აშშ-ში ძლიერ სიცხეს ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ათობით ადამიანი კი იძულებული გახდა, სამედიცინო დახმარებისთვის მიემართა.

„ბი-ბი-სის“ ცნობით, აშშ-ის დასავლეთით ჰაერის ტემპერატურამ რეკორდულ მაჩვენებელს, დაახლოებით 50 გრადუსს მიაღწია. რამდენიმე დღეა გაუსაძლისი სიცხეები კალიფორნიაში, ნევადასა და არიზონაშია.

ნევადას შტატში, კერძოდ ლას-ვეგასში სიცხისგან ხანშიშესული მამაკაცი დაიღუპა. ის უკონდიციონერო სახლში ცხოვრობდა.

ამას გარდა, ძლიერი სიცხის გამო 34 ადამინის ჰოსპიტალიზირებაც გახდა საჭირო. ხელისუფლება მოსახლეობას აფრთხილებს დღის სათებში ღია სივრცეში ყოფნას მოერიდონ.

დღეს, სინოპტიკოსები ტემპერატურის 57 გრადუსამდე მატებას ელოდებიან. მეტეოროლოგები არნახულ სიცხეს იმით ხსნიან, რომ რეგიონის თავზე ანტიციკლონია. ასეთი მაღალი სიცხე 100 წლის წინ, კალიფორნიაში „სიკვდილის ველზე“ დაფიქსირდა.

ხელისუფალნი შიშობენ, რომ სიცხე ავიამიმოსვლაში შეფერხებებს გამოიწვევს. ავიალაინერების უმეტესობას ფრენა შეუძლია 52 გრადუსამდე ტემპერატურაზე, 47 გრადუსს ზემოთ აფრენისთვის არახელსაყრელი პირობები იქმნება. ავიაკომპანია „იუეს ეირვეისის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კომპანია ამინდის პირობებს აკვირდება.

გ. მ.

## კანდიდატთა სია ცნობილია



გუშინ, გვიან ღამით, დასრულდა კონფედერატთა თასის მორიგი გათამაშება. მანამდე კი ფიფამ იმ 6 ფეხბურთელის სია გამოაქვეყნა, რომლებიც ტურნირის საუკეთესო მოთამაშის წოდებისთვის იბრძოლებენ. გასაკვირი არაა, რომ ექვსივე მათგანი ნახევარფინალში გასული გუნდის წევრია, თუმცა, სავარაუდოდ, ის გამარჯვებული გუნდიდან იქნება.

საუკეთესოთა შორის ორ-ორი წარმომადგენელი ჰყავთ ფინალისტებს, ბრაზილიასა და ესპანეთს, ხოლო იტალიიდან და ურუგვაიდან საუკეთესოს წოდებისთვის თითო ფეხბურთელია.

კონფედერაციის თასის 2013 წლის გათამაშების საუკეთესო ფეხბურთელობის კანდიდატები არიან: ანდრეს ინიესტა, სერხიო რამოსი (ორივე ესპანეთი), ნეიმარი, პაულინიო (ორივე ბრაზილია), ანდრეა პირლო (იტალია), ლუის სუარესი (ურუგვაი).

აქვე გაგაცნობთ კონფედერაციათა თასის წინა გათამაშებების საუკეთესო ფეხბურთელების ჩამონათვალს: 1997 წელი – დენილსონი (ბრაზილია); 1999 – რონალდინიო (ბრაზილია); 2001 – რობერ პირესი (საფრანგეთი); 2003 – ტიერი ანრი (საფრანგეთი); 2005 – ადრიანო (ბრაზილია); 2009 – კაკა (ბრაზილია).

მ. ჟ.

## ასტროპროგნოზი 1 ივლისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** – ფულს შოულობთ, ნავაჭრი იღბლიანი აღმოჩნდება. **კურო** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **კირჩხიბი** – ახალი პროექტი გაამართლებს, ფული გაქვთ. **ლომი** – შემოთავაზება სარფიანი აღმოჩნდება, ამდენს არ ელოდით. **ქალწული** – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ. **სასწორი** – საღამოს ახალ ამბავს გაიგებთ, ხვალ დილით – კიდევ უკეთესს. **ღრიანკალი** – პატარა დაბრკოლებას ადვილად გადალახავთ. **მშვილდოსანი** – სხვებს ნუ აჰყვებით, თავს უკეთ იგრძნობთ. **თხის რქა** – საქმიანი შეხვედრა სასიამოვნოდ დასრულდება, გახარებული ხართ. **მერწყული** – გადაიღალეთ, მაგრამ სამაგიეროდ საქმე გაკეთდა. **თევზები** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, ყველა საქმეს აწესრიგებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ერთგვარი ნაყინი; 6. გეოდეზიური კუთხმზომი ხელსაწყო; 9. ნაღვლიანი მუსიკალური წყობა; 10. „მაიტა ...! (ფილმი); 11. მახინჯი ქონდრისკაცი დასავლეთევროპულ მითოლოგიაში; 13. დროშა; 15. ქოჩრიანი თუთიყუში; 18. ლუთერანული ეკლესია; 21. მცირე პლანეტებიდან ერთ-ერთი; 22. ახალი ქვის ხანა; 23. უკრაინული სიმებიანი საკრავი.

**შვეულად:** 1. სამკურნალო დაწესებულება; 2. დესპოტი მმართველი; 3. რაიმეს მომწყობი, ორგანიზატორი; 4. გეომეტრიული სხეული; 7. ძვირფასბეწვიანი მღრღნელი ცხოველი; 8. მამა-შვილი კინორეჟისორების გვარი; 12. მკვრივი აგური, სისველეს რომ არ იწოვს; 14. კბილის ექიმი; 16. ურანის თანამგზავრი; 17. სახურავი მასალა 19. სასწორის თეფში; 20. გუმანი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*



# აკა მორჩილაძე ლიტერატურულ ღამეში ჩაერთვება

ეკა ირემაშვილი

5 ივლისს მწერალთა სახლში ლიტერატურული ღამე გაიმართება. მას ორგანიზებას უწევს საქართველოში მოღვაწე ევროპული გაერთიანების წარმომადგენლობა, მისი ძირითადი მოქმედი წევრები, ქვეყნის სამი ევროპული კულტურის ინსტიტუტი – გოეთეს ინსტიტუტი, ბრიტანული საბჭო და ფრანგული ინსტიტუტი.

– ეს ღონისძიება იმართება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით და მას უმასპინძლებს არტ ნუვოს ბრწყინვალედ რესტავრირებული მწერალთა სახლი. ლიტერატურული ღამის ეს პირველი გამოშვება ოთხ ევროპელ ავტორს უმასპინძლებს: გერმანელ გიუნტერ ოჰნემუსს, ბრიტანელ ჯეიმს ჰოპკინს, ფრანგ ინგრიდ ტობუას და ქართველ აკა მორჩილაძეს. მათი ტექსტებს ორიგინალში და ქართულად წაიკითხავენ. შესვენებებზე კი რეზო და გიორგი კიკნაძეების მიერ დაკრული ჯაზი გაჟღერდება. ლიტერატურული ღამე ევროპული ლიტერატურის შეხვედრის ადგილს ქმნის და ქართველ მკითხველს ოთხი ქვეყნის თანამედროვე ავტორების გასაცნობად იწვევს. აღნიშნული ღონისძიების მიზანია, საკუთარი წვლილი შეიტანოს ევროპულ კულტურულ სივრცესთან საქართველოს დაახლოებაში, – განაცხადა ფრანგული ინსტიტუტის წარმომადგენელმა მარიამ კვესელავამ.

მისივე თქმით, ღონისძიება ქართულად ჩატარდება და მასზე დასწრება თავისუფალია.

საქართველოს ფრანგულმა ინსტიტუტმა ახალი პროექტი წამოიწყო, რომელიც ფრანგული სამზარეულოს პოპულარიზაციას ემსახურება.

– პროექტი სამზარეულოს სახელოსნო ფრანგულად ტარდება საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის, ყოფილი ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის მიერ. საქართველოში საფრანგეთის საელჩოს კულტურის სამსახურს, პატივი აქვს წარმოგიდგინოთ სამზარეულოს სახელოსნოები ფრანგულად, რომლებიც გაიმართება ამ ზაფხულს საქართველოს კულინარიის აკადემიაში. აღნიშნული სამზარეულოს სახელოსნო ფრანგულად საქართველოში სიახლეს წარმოადგენს. სამზარეულოს პირველ სახელოსნოზე 3 საათზე მეტი ხნის განმავლობაში მონაწილეებს ჰქონდათ საშუალება ფრანგი მასწავლებლის დახმარებით მოემზადებინათ ფრანგული ტრადიციული კერძები და შემდეგ ერთად დაეგემოვნებინათ. ეს არის საუკეთესო შანსი ფრანგული გასტრონომიის აღმოსაჩენად და ეს ყველაფერი მოლიერის ენაზე. პირველი სახელოსნოსთვის ბრწყინვალე მენიუ შეირჩა. აქ იყო ბევრი კულინარიული სიურპრიზი. აღნიშნული სახელოსნო ყველა მსურველისთვისაა ხელმისაწვდომი. საჭირო არ არის ფრანგულად გამართულად საუბრობდეთ, რამდენიმე საბაზო სიტყვის ცოდნაც საკმარისია. მასწავლებელს შეუძლია რეცეპტებისა და ინსტრუქციების თარგმნა ინგლისურ და რუსულ ენებზე. მათ, ვინც შეძლებს, ისაუბრებენ ფრანგულად ვახშმის განმავლობაში და სხვებთან ერთად დააგემოვნებენ საუკეთესო ღვინოს და მომზადებულ ფრანგულ კერძებს სასიამოვნო გარემოში. ერთი სახელოსნოს ღირებულებაა 70 ლარი, რაც მოიცავს სამზარეულოს გაკვეთილს, ვახშამსა და სასაუბრო გაკვეთილს ფრანგულად, – განმარტა მარიამ კვესელავამ.



ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში ფრანგულმა ინსტიტუტმა გამართა სემინარი „დემოკრატია და მმართველობა კავკასიაში: კონსტიტუციონალისტური მოძრაობების მემკვიდრეობა“, რომელიც ასევე ორგანიზებული იყო ანატოლიის კვლევების ფრანგული ინსტიტუტის მიერ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის მხარდაჭერით.

– ამ სემინარმა თავი მოუყარა სოციალური მეცნიერებების სფეროში მოღვაწე და რეგიონზე (კავკასია, რუსეთი, ირანი) მომუშავე რვა მკვლევარს და მიზნად დაისახა, ჩაღრმავებოდა სამხრეთ კავკასიის სამი რესპუბლიკის (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი 1918-1921 წლებში) იდეოლოგიურ წანამძღვრებს, რომლებიც გაცილებით ნაკლებად არის ცნობილი, ვიდრე ბოლშევიზმის გამარჯვების გარიჟრაჟსა და ზემოხსენებული რესპუბლიკების რუსეთის გავლენის ქვეშ მოქცევის პერიოდის რევოლუციური მოძრაობები. რაც შეეხება განსახილველ საკითხებსა და მომხსენებლებს, სემინარზე წარმოდგენილი იყო ოსმალეთისა და ირანის შემთხვევები – ერდალ კეინარი (ანატოლიის კვლევების სტამბოლის ფრანგული ინსტიტუტი) და კრისტიან ბრომგერგერი (პროვანსის უნივერსიტეტი); კავკასიელთა შორის ურთიერთობები – ეტიენ პეირა (პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლის (სიანს პო) ისტორიის ცენტრი) და კლერ მურადიანი (სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი-სოციალური მეცნიერებების პარიზის უმაღლესი სკოლა); რუსული გავლენა – იაგო გოჩელეიშვილი (კორნელის უნივერსიტეტი, ნიუ იორკი) და ალტაი გოიუშოვი (ბაქოს უნივერსიტეტი); ევროპული განმანათლებლობა თანამედროვე ქართულ სახელმწიფოში – მარინა მუსხელიშვილი (საზოგადოების კვლევის ცენტრი, თბილისი) და თორნიკე გორდაძე (პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლის (სიანს პო) საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრი). მოდერატორი ჟილ ოტიე (ანატოლიის კვლევების ბაქოს ფრანგული ინსტიტუტი). პრეზენტაციები წარიმართა ფრანგულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე, ფრანგულ-ქართული სინქრონული თარგმანით, – განმარტა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა.

საერთაშორისო კონფერენციების ციკლის „კავკასიური სივრცე-მუდმივობა და ევოლუცია“ ფარგლებში ანატოლი-

გაგრძელება მე-11 გვერდზე